



# ბატონიშვილის ბიბლიოთეკა

ციტირებისთვის:

*გოკიელი ფ., ცივილისტური მტუდიები, მოგონებები, თბილისი, 2017*

ელექტრონული იურიდიული ბიბლიოთეკა [www.princelibrary.ge](http://www.princelibrary.ge)

შექმნილია USAID/PROLoG-ის ფინანსური ხელშეწყობით



სულხან-საბა ორბელიანის  
უნივერსიტეტი



**USAID**  
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა  
საქართველოში (PROLoG)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის  
ცივილისტური აზრის ისტორიის ინსტიტუტი

დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი

**ფატი გოკიელი**

**ცივილისტური უტუდიეზი**

**მომონეზეზი**

შესავალი წერილი თ. ნინიძის

გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

UDC(უდკ)341.9+821.353.1-94  
გ-631

კოტე ანთაძე

რედაქტორები

თედო ნინიძე

მინდია უგრეხელიძე

© ფატი გოკიელი, 2017

© თედო ნინიძე, 2017

ISBN 978-9941-0-9495-8

## ფატი გოკიელის ცივილისტური ესსეების კონტაქტაბისათვის

ფატი გოკიელს, გასული საუკუნის მეორე ნახევარში, მისი თანამედროვენი იცნობდნენ როგორც ლიტერატურათმცოდნეს, უმაღლესი სკოლების პედაგოგს დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის განხრით, მხატვრული თარგმანების ავტორს; ცოტამ თუ იცოდა, რომ იგი, როგორც ინტელექტუალი, ცნობიერების სხვა, ლიტერატურათმცოდნეობისაგან განსხვავებულ სფეროში ჩამოყალიბდა.

წინამდებარე კრებულში, რომელსაც „ცივილისტური შტუდიები“ ვუნოდეთ, პირველად იბეჭდება ფატი გოკიელის ესსეები ცივილისტიკის – სამოქალაქო სამართლის პრობლემებზე. სწორედ სამოქალაქო სამართლის მეცნიერებას ეუფლებოდა იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასპირანტურაში, სადაც მისი მეცნიერ-ხელმძღვანელი პროფესორი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი იყო.

თუ რატომ გაქრა ფატი გოკიელის სახელი ქართული სამართალმცოდნეობის ანალებიდან, ამ და სხვა კითხვებზე პასუხს მკითხველი ავტორის მოგონებებში იპოვის, რომლებიც ამავე კრებულში იბეჭდება.

ესსეების ერთი ნაწილი, თუმცა ასპირანტურაში სწავლის პერიოდში უშუალო აკადემიური მიზნებისთვის იწერებოდა, დღესაც ინარჩუნებს შემეცნებით ღირებულებას სამართლის თეორიის პრობლემებით დაინტერესებული მკითხველისათვის. რაც შეეხება მოგონებებს, მიგვაჩნია, რომ მათი მნიშვნელობა სცილდება პროფესიულ ფარგლებს და საყურადღებო დოკუმენტებია ქართული ჰუმანიტარული კულტურისათვის.

ავტორის თეორიული ინტენციის საგნები – უფლება, იურიდიული პირი, ბრუნვიდან ამოღებული ნივთები წარმოადგენენ, ერთი მხრივ, ცივილისტური აზრის ისტორიის გამჭოლ თემებს, ამავე დროს თანამედროვე კერძო და საჯარო სამართლის საერთო იურიდიული კატეგორიებია. ჩვენი წინათქმა თავის ამოცანას შეასრულებს, თუ მკითხველის ყურადღებას შეაჩერებს ფატი გოკიელის ესსეების კონტექსტებზე – ავტორის მიერ წამოჭრილი პრობლემების თეორიულ წინამძღვრებზე და ხსენებული თემების

რეფლექსიებზე თანამედროვე დოქტრინებსა და კანონ-მდებლობებში.

პირველი ესსე — „სამართალი სუბიექტური საზრისით“, წარმოადგენს ასპირანტთა სემინარში 1924 წელს წაკითხულ მოხსენებას. აქვე ვიტყვი, რომ კონცეპტი „სამართალი სუბიექტური საზრისით“ არ არის იურიდიული შინაარსი ტერმინისა „სუბიექტური სამართალი“. ეს უკანასკნელი პროფესიული სივრციდან წარმატებით გააძევა ქართულმა „უფლებამ“, რაც, თავის მხრივ, არ იძლევა ამ უკანასკნელით „სუბიექტური საზრისით სამართლის“ ჩანაცვლების საფუძველს. უფლების ცნების ქვეშ მოიაზრება სამართლებრივი ურთიერთობის ერთი ელემენტი. „სამართალი სუბიექტური საზრისით“ გულისხმობს ნორმას სუბიექტივისტურ პოზიციაში, როგორც პროფესორი იროდიონ სურგულაძე იტყვის — „ნორმას აღსრულებითობის მდგომარეობაში“. ეს რაც შეეხება ტერმინს.

ფატი გოკიელის ესსე იწერებოდა უფლების შესახებ ორი ურთიერთგამომრიცხავი პარადიგმის არსებობის ფონზე. პირველი ასაბუთებდა, მეორე კი საერთოდ ვერ ხედავდა უფლების ადგილს სამართლებრივი რეგულირების მექანიზმში. განვიხილოთ ეს პარადიგმები უფრო დაწვრილებით.

პანდექტიკა — რომის სამართალზე დამყარებული სამოქალაქო სამართლის მეცნიერება, უფლების ცნების ქვეშ მოიაზრებს ინდივიდის „ნების ძალაუფლებას“. უფლების ეს გაგება მომდინარეობს ფრიდრიხ კარლ სავინიდან, რომელიც სამართლის ისტორიული სკოლის მეთაური იყო და სამართლის ძირითად წყაროდ ჩვეულებებს აღიარებდა. მისი კონცეფციით ქონებრივ ურთიერთობათა ერთ ნაწილში, სანივთო სამართალში, უფლება გვევლინება, როგორც ინდივიდის ბატონობა ნივთზე, მეორე ნაწილში, ვალდებულებით ურთიერთობებში – როგორც ერთი მხარის, კრედიტორის ბატონობა მეორე მხარის, მოვალის ნებაზე. სავინის მოწაფის, გეორგ ფრიდრიხ პუხტას დროიდან პანდექტიკაში მყარად მკვიდრდება სამართლებრივი ურთიერთობების მიმართ, ჩვეულებების ნაცვლად, ფორმალურად მკაცრად განსაზღვრული, ობიექტური სამართლის პრიორიტეტის იდეა, რის შედეგადაც იქმნება პარადოქსული ვითარება ცივილისტურ დოგმატიკაში: სავინის წყალობით მთელი ცივილისტიკა, მისი ყველა ძირითადი ცნება

აგებულია უფლების ცნების გათვალისწინებით, მაშინ, როცა ახალი თეორია აღიარებს არა უფლების, არამედ ობიექტური სამართლის ნორმის უპირატეს მნიშვნელობას.

ნებელობის მომენტზე აგებული უფლების ცნების „დეკონსტრუქციას“ ახდენს ავგუსტ ტონი, რომელმაც 1878 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „სამართლის ნორმა და უფლება“ დააფუძნა „იმპერატივების თეორია“ და სათავე დაუდო სამართლებრივი რეგულირების მექანიზმში უფლების ადგილის უარყოფის პარადიგმას. თუ უფლება ნებადართულობაა, რომელ სფეროში მოქმედებს ნებადართულობა, რომელიც უზრუნველყოფილი არ არის მავალდებელი ან ამკრძალავი ნორმებით? იგი არ მოქმედებს სანივთო სამართალში, რადგან მესაკუთრის მიმართება ნივთთან უზრუნველყოფილია ყველა არამესაკუთრის მოვალეობით – თავი შეიკავონ სხვისი ქონების ხელყოფისაგან. გამოდის, რომ მესაკუთრის ნების ბატონობა სხვა არაფერია, თუ არა სამართლის ნორმით განსაზღვრული აკრძალვა, რომლის დარღვევა იწვევს ნორმით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას. აქ უფლებას დამოუკიდებელი იურიდიული შინაარსი არ გააჩნია. სანივთო სამართლებრივი რეგულირების მექანიზმში უფლების ადგილი არ ჩანს, ვიდრე არ მოხდება იმ პირის ინდივიდუალიზაცია, ვინც სხვისი ნივთი ხელყო. სანივთო სამართალში დადასტურებული სქემის არსებობა ტონს გადააქვს ვალდებულებით სამართალში; საბოლოოდ მიდის დასკვნამდე, რომლის თანახმად, ერთადერთი სფერო, სადაც სამართლებრივი შედეგი დგება უკვე უფლებით აღჭურვილი სუბიექტის ინიციატივით, არის სარჩელი, რომლის წარდგენის მეშვეობით მოსარჩელე იცავს სამართლის ნორმას, ანუ იმპერატივს. ეს ხდება მხოლოდ მაშინ, როცა ნორმის მოთხოვნები ირღვევა. ასე გადადის უფლების ადგილი ცხოვრებისეული ურთიერთობის რეგულირების სფეროდან სამართლებრივი ნორმის დაცვის სფეროში.<sup>1</sup>

<sup>1</sup> დანვრილებით იხ., Август Тон, Правовая норма и субъективное право. Исследования по общей теории права, Вестник гражданского права, 2010 №4 და შემდეგი ნომრები, იმპერატივების თეორიის შესახებ ვრცელი ინტერპრეტაცია — С.В. Третьяков, Некоторые аспекты формирования основных теоретических моделей структуры субъективного частного права, Вестник гражданского права, 2007, №3 გვ. 242-260.

რა ლოგიკური დასკვნების საფუძველს იძლევა იმპერატივების თეორია? ნებადართულობა, როგორც რეგულირების ელემენტი, ირელევანტურია სამართლისათვის. ზოგადად პრობლემური ხდება სანივთო უფლება. იგივე მდგომარეობაში ექცევა მოთხოვნის უფლება ვალდებულებით ურთიერთობაში, რადგან ამ უკანასკნელის არსს ავტორი ხედავს იმპერატივში – შეასრულო მოქმედების მოვალეობა. მოთხოვნის უფლება არის მხოლოდ იმპერატივის რეფლექსია, ანარეკლი. იგი დამოუკიდებელ მნიშვნელობას იძენს მოვალის მიმართ წარდგენილი სარჩელის სახით. ამდენად, ნებადართულობის [საკუთარ მოქმედებაზე უფლების] ამოღება უფლების სტრუქტურულიდან ეჭვის ქვეშ აყენებს კერძო სამართლის ფუძემდებლურ ცნებებს. ეს კატეგორიები და ცნებები, თავის მხრივ, ქმნიან სამოქალაქოსამართლებრივი ინსტიტუტების საკანონმდებლო სისტემატიზაციის საფუძველს და ამ სფეროში სამართლებრივი რეგულირების ბაზას. გარემოება, რომ სუბიექტის სამართლებრივი შესაძლებლობების შინაარსი განისაზღვრება შესაბამისი სამართლებრივი ნორმებით და არ განისაზღვრება სამართლის სუბიექტის მიხედულობით, ქმნის ხელსაყრელ ნიადაგს სახელმწიფოებრივი ინტერვენციონიზმისა და ეკონომიკის დირისტული რეგულირებისათვის.

უფლების ცნების შინაარსში ნებადართულობის როლის საკითხი უფლების თეორიის უმთავრესი საკითხი გახდა. აღსანიშნავია, რომ იმპერატივების თეორიამ უაღრესად ავტორიტეტული მხარდამჭერი იპოვა დიდი ავსტრიელი თეორეტიკოსის ჰანს კელზენის სახით. ზოგადად, იმპერატივების თეორია დღემდე რჩება გავლენიან მიმართულებად როგორც კერძო, ისე განსაკუთრებით, საჯარო სამართალში. თუმცა, რაც შეეხება უფლების კატეგორიას, მისი თანამედროვე შინაარსის დაფუძნებაში გადამწყვეტია გერმანელი პროფესორის პაულ ერტმანის როლი, რომელმაც დამაჯერებლად დაასაბუთა უფლების რთული, მრავალელემენტური სტრუქტურის არსებობა თავის ცნობილ სტატიაში „კერძო უფლებების სტრუქტურის შესახებ“.

პაულ ერტმანმა ცხადყო, რომ ყოველი სახის უფლებას აქვს შინაგანი და გარეგანი მხარეები. სანივთო უფლების შინაგანი მხარეს წარმოადგენს სფერო, რომელიც ექსკლუზიურია სწორედ

უფლებამოსილისათვის ამ უკანასკნელის ქცევითი შესაძლებლობების თვალსაზრისით. ესაა უფლებამოსილის მიმართება უშუალოდ ნივთთან. სანივთო უფლების გარეგანი მხარეა უფლებამოსილის მიმართება სხვა პირებთან. ამ დებულებებში თითქოს ახალი არაფერია. ისინი ემყარებიან პანდექტიკისტიკის კლასიკურ მოძღვრებას. პრინციპულად ახალი პაულ ერტმანის თეორიულ კონსტრუქციაში იყო უფლების ორელემენტებიანი სტრუქტურის გადატანა ვალდებულებით სამართალზე. ვალდებულებით ურთიერთობებში კრედიტორის უფლების შინაგანი მხარეა მოთხოვნა მოვალის მიმართ, გარეგანი მხარე — უფლებამოსილის სპეციფიური მიმართება მესამე პირებისადმი. რაში მდგომარეობს ეს სპეციფიურობა? ყოველი კერძო უფლება უფლებამოსილ სუბიექტს ანიჭებს ექსკლუზიური ხასიათის სამართლებრივ შესაძლებლობას; არავის, უფლებამოსილი სუბიექტის გარდა, არ შეიძლება პრეტენზია ჰქონდეს იმავე უფლების ქონაზე. უფლებამოსილის ეს მდგომარეობა გამოიხატება უფლების მისდამი კუთვნილებაში, რაც გავლენას ახდენს სხვათა — არაუფლებამოსილ პირთა, მდგომარეობაზე. ამ არაუფლებამოსილ პირებს არ შეუძლიათ შეასრულონ იურიდიული მნიშვნელობის მქონე მოქმედებები სხვისი უფლებით, საკუთარი სახელითა და საკუთარი ინიციატივით. თუკი ასეთი მოქმედება შესრულდება, იგი არ ჩაითვლება იურიდიული თვალსაზრისით ნამდვილ მოქმედებად. პაულ ერტმანის სტატიაში განვითარებულმა ორმა ძირითადმა იდეამ [ყველა უფლების სტრუქტურაში შინაგანი და გარეგანი მხარეების და უფლებამოსილი პირისათვის უფლების ექსკლუზივის] დიდი გავლენა მოახდინა უფლების თეორიის შემდგომ განვითარებაზე და უზრუნველყო ამ თეორიის საკვანძო დებულებების მოდიფიცირება.<sup>2</sup>

ზემოაღნიშნულ თემატიკას ეთმობა ფატი გოკიელის მოხსენების ძირითადი შინაარსი. თავისთავად ცხადია, რომ პაულ ერტმანის დებულებები ასპირანტის მოხსენებაში ვერ აისახებოდა იმ უბრალო მიზეზების გამო, რომ გერმანელი პროფესორის სტატია ერთი წლის

---

<sup>2</sup> Паул Эртман, О структуре субъективных частных прав, Вестник гражданского права, 2007, №3, გვ. 217-241. ერტმანის თეორიის და უფლების სტრუქტურის შესახებ თანამედროვე თეორიების ინტერპრეტაცია და კრიტიკა იხილეთ ტრეტიაკოვის ზემოთ მითითებულ სტატიაში.



შემდეგ, 1925 წელს გამოქვეყნდა. უნდა აღინიშნოს, რომ ასპირანტის მოხსენებაში პანდექტიკური იდეების პროტაგონისტებად გვევლინებიან ბერნჰარდ ვინდშაიდი და რუდოლფ ფონ იერინგი, იმპერატივების თეორიის დებულებებისა – ავგუსტ ტონი და ჰანს კელზენი. მოხსენებაში მოცემულია უფლების ცნების შესახებ გეორგ ელინეკის შეხედულებების ინტერპრეტაცია, რომელიც ემყარება ამ უკანასკნელის მონოგრაფიას — „საჯარო უფლებათა სისტემისათვის“, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კონსტიტუციონალიზმის თანამედროვე დოგმატიკის ჩამოყალიბებაში.

ფატი გოკიელი უფლების კონცეპტის შესახებ საკუთარ მოსაზრებას აგებს ბუნებითი სამართლის მოძღვრებებზე, კერძოდ იმანუილ კანტის „პრაქტიკული გონების კრიტიკის“ დებულებებზე დაყრდნობით, თუმცა იმ დროისათვის კანტი ბუნებითი სამართლის მოძღვრების წარმომადგენლად არ ითვლებოდა.

როგორც ფატი გოკიელის პირადი არქივიდან ირკვევა, იურიდიული პირის პრობლემის შესახებ 1923-24 წლებში ასპირანტთა სემინარში მას ოთხი მოხსენება წაუკითხავს: „იურიდიული პირი“, „სავინის თეორია იურიდიული პირის შესახებ“, „მარსელ პლანიოლის თეორია“ და „რენე დემოგის თეორია“.

იურიდიული პირის პრობლემის ირგვლივ როგორც კერძო, ისე საჯარო სამართლის მეცნიერებაში დიდძალი ლიტერატურა არსებობს გლოსატორებიდან მოკიდებული დღემდე. „ვერ დავასახელებთ ისეთ იურისტ თეორეტიკოსს, რომელსაც ამ საკითხისათვის ყურადღება არ მიექცის“ — იტყვის 1928 წელს პროფ. გიორგი ნანეიშვილი თავის სტატიაში „იურიდიული სუბიექტი“, რომელიც პირველად „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბეში“ დაიბეჭდა. ასპირანტთა სემინარში წაკითხული მოხსენებისადმი, მით უფრო ამ თემაზე, პრობლემის ახლებური გააზრების მოთხოვნის წაყენება მეტისმეტი იქნებოდა. თუმცა იურიდიული პირის შესახებ ძირითადი თეორიების პროტაგონისტთა შეხედულებების ურთიერთშეჯერებით ასპირანტი იძლევა მეცნიერულ პანორამას, რომელიც შეუნელებელი ინტერესით იკითხება. რატომ იქნებოდა ეს მოხსენებები საინტერესო იმ დროს და რატომ შეიძლება მიიქციონ ყურადღება ახლა, თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ მათი პირველი საჯარო პუბლიკაციიდან?

აღნიშნული თეორიების ძირითადი თემა იურიდიული პირის რეალობის პრობლემაა. მეოცე საუკუნის 20-იანი წლების მეცნიერებაში ოთხი პარადიგმაა: პირველი უარყოფს იურიდიული პირის რეალობას; მეორე, პირიქით, ასაბუთებს იურიდიული პირის რეალობას; მესამე უარყოფს საერთოდ იურიდიული პირის ინსტიტუტის არსებობის აუცილებლობას; მეოთხე ასაბუთებს იურიდიული პირის კატეგორიის ინსტრუმენტულ ღირებულებას. პირველი სათავეს იღებს შუა საუკუნეების კანონისტების შეხედულებებიდან და საბოლოოდ ჩამოყალიბდა სავინის „ფიქციის თეორიის“ სახით; მეორე — გლოსატორებიდან და საბოლოოდ ყალიბდება ოტო ფონ გირკეს გერმანისტულ თეორიაში; მესამე განვითარებას პოულობს ალიოზ ფონ ბრინცის „იურიდიული პირის, როგორც მიზნობრივი ქონების“ თეორიაში; მეოთხე ჩამოყალიბებულ სახეს იძენს ფრანგი კომპარატივისტის რენე დავიდის ფრანგული შედარებითი სამართლის ენციკლოპედიისთვის დაწერილ სტატიაში და ცნობილია „იურიდიული პირის, როგორც ტექნიკური რეალობის“ თეორიის სახელწოდებით.

დავას ამ თეორიებს შორის დღეს სქოლასტური ხასიათი ექნებოდა, იურიდიული პირის ფიქცია — რეალობის პრობლემის გადწყვეტა რომ არ უკავშირდებოდეს პრაქტიკულ ამოცანას — სახელმწიფოს ხელისუფლებითი უფლებამოსილების განსაზღვრას იურიდიული პირის მიმართ. თუ იურიდიული პირი ფიქციაა, მისი როგორც დაფუძნება, ისე უფლებაუნარიანობა დამოკიდებულია სახელმწიფო ხელისუფლებაზე; თუ რეალობაა — ხსენებულ სფეროებში ხელისუფლების ჩარევა მინიმალური უნდა იყოს. ხელისუფლების თემა მუდმივად რჩება ჭეშმარიტი ღირებულებების მქონედ „ფიქცია-რეალობის“ დისკუსიებში; განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება სოციალურ ჯგუფებს, გაერთიანებებს, ე.წ. კოლექტიურ ინსტანციებს.

კრებულში მკითხველი განსაკუთრებული ინტერესით გაეცნობა მარსელ პლანიოლის და რენე დემოგის თეორიების ავტორისეულ ინტერპრეტაციას და კრიტიკას. მარსელ პლანიოლის თეორია ავტორს განხილული აქვს როგორც იურიდიული პირის ინსტიტუტის უარყოფისა და კოლექტიური საკუთრების ინსტიტუტით მისი ჩანაცვლების ცდა. რენე დემოგის თეორიაში იურიდიული პირი წარმოდგენილია როგორც ტექნიკური რეალობა.

როცა აღნიშნული თეორიების მიმართ თანამედროვე მკითხველის ინტენციაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს სამი გარემოება. პირველი; როგორც საბჭოური, ისე პოსტსაბჭოური პერიოდის მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებში ხსენებულ ავტორთა შეხედულებებს შედარებით ნაკლები ეთმობა; მეორე; მარსელ პლანიოლის თეორიაში მთელი რელიეფურობითაა წარმოდგენილი კოლექტიური საკუთრების არსი; მესამე; ტექნიკური რეალობის თეორია ყველაზე პოპულარულია იურიდიული პირის შესახებ თეორიებს შორის.

აღსანიშნავია, რომ წარსულის მოძღვრებებს თანამედროვე სამართლის მეცნიერება, სრულიად სამართლიანად, აღარ განიხილავს, როგორც ცდომილებების კრიალოსანს. თითოეული თეორია ფასდება მათი წვლილის მიხედვით თანამედროვე დოგმატიკის ჩამოყალიბებაში. ასე განიხილავს იურიდიული პირის შესახებ ყველა ზემოთჩამოთვლილ სუბიექტივისტურ და ობიექტივისტურ თეორიებს თანამედროვე ფრანგი ადმინისტრაცივისტი ფლორიან ლინდიჩი თავის ფუნდამენტურ მონოგრაფიაში „მორალური სამართალსუბიექტობა ადმინისტრაციულ სამართალში“, სადაც საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ინსტიტუციონალისტური“ კონსტრუქციის ჩამოყალიბებაში მორის ორიუს თეორიასთან ერთად ავტორი ემყარება პლანიოლის, დემოგის მოძღვრებებს.<sup>3</sup>

საქმეში ჩახედულ მკითხველს ჰუსერლის „არსებულისა“ და „რეალურის“ მიმართებას გაახსენებს ფატი გოკიელის სიტყვები: „თვით ფიზიკური პირი სამართლის სუბიექტად ქცევისას კარგავს თავისი ბუნებრივი რეალობის ნაწილს და მაგალითად, ქონებრივი გაცვლა-გამოცვლის სფეროში სამეურნეო ცხოვრების აბსტრაქტულ ცნებად იქცევა. ამიტომ, სუბიექტის ცნება, როგორც კონსტრუქციული პირობითი რამ, იურიდიულ პირს სავსებით შეესაბამება. თავისთავადი, ნებაყოფლობითი ასოციაციების წარმოშობის გამო იურიდიული პირი ინდივიდის შემდგომი განვითარების ბუნებრივი გაგრძელებაა, როდესაც ყოველი კულტურული ადამიანი სოციალურ ცხოვრებაში პირისპირ ხვდება იურიდიულ პირს,

---

<sup>3</sup> იხ., Florian Linditch, Recherche sur la personnalité morale en droit administrative, 1977. ქართული თარგმანი მომზადებულია გამოსაქვეყნებლად.

ვითარცა ცხადად არსებულს და რეალურს, ზედმეტია მის ფიქციურობაზე ლაპარაკი. მეორეს მხრივ, ე.წ. იურიდიული რეალობის ცნებამაც არ უნდა დაგვაშინოს. აქ ჩვენ ვერ დავიმსახურებთ მეტაფიზიკაში გადასვლის საყვედურს. იურიდიული რეალობა, ფიზიკურად არახელშესახები, მაგრამ გარეგანი რეგლამენტაციის მიერ განწესებული, ისეთი ყოველდღიური მოვლენაა თანამედროვე სამართლებრივი შეგნებისთვის, რომ მის მისაწვდომად აბსტრაქციის დიდი ნიჭი საჭირო არ არის“.

როგორც მოგონებებიდან ჩანს, სადისერტაციო თემა — “Res extra commercium” (ბრუნვიდან ამოღებული ნივთები) ასპირანტს მეცნიერ-ხელმძღვანელმა შეურჩია. სადისერტაციო ნაშრომის დასრულება ავტორს არ დასცალდა. ხსენებული სახელწოდების ქვეშ წინამდებარე კრებულში გამოქვეყნებული ესსეები დაუშთავრებელი დისერტაციის ფრაგმენტებია.

ესსეები ეთმობა ზოგადად საჯარო ნივთების თემას, რომელთა სამართლებრივი ბუნების შესახებ დღეისათვის ჩამოყალიბებულია ორი ურთიერთსაპირისპირო მიდგომა: გერმანული „დეულისტური“ და ფრანგული „მონისტური“. ამ მიდგომების საფუძველზე ფორმირებულმა გერმანულმა და ფრანგულმა კონსტრუქციებმა მნიშვნელოვნად განსაზღვრეს კონტინენტური ევროპის სამართლებრივი ოჯახის ქვეყნების დაჯგუფება გერმანულ და ფრანგულ სისტემებად. რამდენიმე სიტყვა ამ კონსტრუქციების არსებითი ხასიათის დეტალების შესახებ.

რა იურიდიული შინაარსისაა ადამიანთა ძალაუფლება ღმერთისათვის შეწირულ ნივთებზე, ასევე სასაფლაოებზე, გზებზე, მოედნებზე, პარკებზე, მდინარეებზე, ზღვის ნაპირებზე, მოკლედ ყველა იმ ქონებაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს. ამ ტიპის საგნების წრე ფართოვდება საზოგადოების განვითარებასთან ერთად. ისინი წარმოადგენენ საკუთრების უფლების ობიექტებს, თუ მათ მიმართ უნდა მოქმედებდნენ კერძოსამართლებრივი ფორმებისაგან განსხვავებული იურიდიული ფორმები?

გერმანული იურისპრუდენცია, რომელიც რომის სამართალს დიდხანს გერმანული სამართლის ნაწილად მოიაზრებდა, ზემოთ დასმულ კითხვებზე ვერ პოულობდა ერთმნიშვნელოვან პასუხებს

რომის სამართალში. ამ უკანასკნელში შეიძლება დასაყრდენი ელემენტების პოვნა საჯარო ნივთებზე, როგორც კერძო, ისე საჯარო სამართლებრივი ნორმების კონსტრუირებისათვის. ჩამოყალიბდა თეორია, რომლის თანახმად საჯარო ნივთები რომის სამართალში წარმოადგენენ ჩვეულებრივი საკუთრების უფლების ობიექტებს, ოღონდ მათზე სახელმწიფოს კერძო საკუთრება ხორციელდება საგნების განსაკუთრებული საზოგადოებრივი დანიშნულების გამო. ამ თეორიამ იპოვა მონინალმდეგეები შვეიცარიელი რომანისტის ფრიდრიხ ფონ კელლერისა და რუდოლფ იერინგის სახით. ეს უკანასკნელი მიიჩნევდნენ, რომ საჯარო ნივთები წარმოადგენენ არა სახელმწიფოს კერძო უფლების, არამედ სახელმწიფოს საჯარო ხელისუფლების, მისი „უზენაესი უფლების“ ობიექტებს. ეს თეორია ვერ დამკვიდრდა გერმანულ დოქტრინაში. სამაგიეროდ ჩამოყალიბდა ე.წ. „დუალისტური კონცეფცია“, რომლის თანახმად, საჯარო ნივთებზე სახელმწიფოს უფლება აგებულია საკუთრების კერძოსამართლებრივ კონსტრუქციაზე, ამასთან, საჯარო ნივთების გამოყენება ხორციელდება საჯარო კანონმდებლობით დადგენილი წესით. საჯარო ნივთების ბედი არ წყდება კერძოსამართლებრივი აქტებით. დუალისტური კონცეფცია ცნობილია როგორც „მოდფიცირებული კერძო საკუთრების“ გერმანული დოქტრინა. საჯარო ნივთების კატეგორია მოიცავს როგორც სახელმწიფოს, ისე ეკლესიების, აგრეთვე, კერძო პირთა იმ ქონებას, რომლებიც განსაზღვრულია საჯარო სარგებლობისათვის. ეს პრინციპი განსხვავდება რომის სამართლის მიდგომისაგან, რომელიც საჯარო ნივთების ცალკე კატეგორიად გამოცალკევებას ახდენდა ძირითადად სახელმწიფოსა თუ თემისათვის მათი კუთვნილების ნიშნით.<sup>4</sup>

როგორც სპეციალისტები მიუთითებენ, „მოდფიცირებული კერძო სამართლის“ დოქტრინის საფუძველზე მოხდა საჯაროსანივთო სამართლის ფორმირება, რომელიც მიეკუთვნება უკვე ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სფეროს, თუმცა, საფრანგეთისგან განსხვავებით, არ მომხდარა კერძოსამართლებრივი რეგულირების ჩანაცვლება საჯარო სამართლით.

საფრანგეთში საჯარო ნივთების „მონისტური დოქტრინის“ ჩამოყალიბება ხდება საფრანგეთის რევოლუციის გავლენით.

---

<sup>4</sup> მოცემულ საკითხზე იხ., ა. ვინნიცკის ნაშრომი — Институт публичных вещей в германском праве. Вестник гражданского права. 2013, №2, გვ. 187-201.

დოქტრინის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, აგრეთვე, პრუდონის ტრაქტატმა საკუთრების შესახებ. ფრანგული კონცეფციის მთავარი ამოსავალი პოსტულატია თეზისი – საჯარო ნივთი საჯარო საკუთრებაა. პრუდონი საჯარო საკუთრების ქვეშ მოიაზრებდა ხელშეუხებელ, არაგასხვისებად სიკეთეებს, რომლებიც იმყოფებიან განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი დაცვის ქვეშ, გათვალისწინებული არიან არა შემოსავლის მისაღებად, არამედ საყოველთაო სარგებლობისთვის. ასეთი ობიექტების საპირისპიროა სახელმწიფოს ის ქონება, რომლებიც გათვალისწინებულია მოგების მიღების მიზნით. სახელმწიფოს ორი სახის საკუთრების გამიჯვნა მყარად დამკვიდრდა ფრანგულ საჯარო და კერძო სამართალში. საჯარო ნივთები მოიცავს არა მხოლოდ საერთო სარგებლობის ქონებას, არამედ ობიექტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საჯარო დანესებულებების ფუნქციას.<sup>5</sup>

სამართლის სისტემის თვალსაზრისით, საჯარო საკუთრებითი ურთიერთობები თანამედროვე საფრანგეთში წესრიგდება ე.წ. ადმინისტრაციულ-ქონებრივი სამართლით, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართლის ინსტიტუტს. ეს ურთიერთობები საფრანგეთში პრაქტიკულად მთლიანად რეგულირდება სპეციალური საჯაროსამართლებრივი კანონმდებლობით.<sup>6</sup>

ფატი გოკიელის ესეებში მოცემულია ზემოთ აღნიშნული გერმანული და ფრანგული დოქტრინების გენეზისი. ავტორის პოზიცია ფრანგული დოქტრინის არგუმენტირებული დასაბუთებულობისკენ იხრება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ იმდროინდელი რეალიები ჯერ კიდევ არ იძლევა მათი იურიდიულ ფორმებში სრულყოფილი ასახვის საფუძველს. აღსანიშნავია, რომ როცა ნარკვევები იწერებოდა, საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ არ ჩანს საჯარო ნივთის თემაზე სპეციალური მონოგრაფიები. 1927 წელს, როცა ფატი გოკიელი იძულებული ხდება, მიატოვოს დაწყებული სამუშაო, ირკუტსკში გამოდის ნ. კარაჯე-ისკროვის შესანიშნავი მონოგრაფია — „საჯარო ნივთები“.<sup>7</sup>

<sup>5</sup> მონისტური დოქტრინის შესახებ დანვრილებით იხ. ვინნიცკის Институт публичной собственности в праве Франции, Испании и Италии, Вестник гражданского права, 2013 №4, გვ. 215-231.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> Карадже-Искров Н.П.; Публичные вещи. Вып. 1. Иркутск, 1927.

მხოლოდ ორი ათეული წლის შემდეგ ჩამოყალიბდება საბჭოური დოქტრინა ანატოლი ვენედიქტოვის ცნობილ მონოგრაფიაში, რომელიც ავტორს აღიარებას მოუტანს. თუმცა სოციალისტური საკუთრების ბუნება ბუნდოვანი დარჩება. დოქტრინა ნაწილობრივ გაიმეორებს ფრანგულ რევოლუციურ რიტორიკას: სოციალისტური საკუთრება ხალხის მონაპოვარია, ამასთან, მესაკუთრე სახელმწიფოა. როგორც სოციალისტური, ისე პირადი საკუთრება შეადგენს საკუთრების ურთიერთგანსხვავებულ ფორმებს. თანამედროვე ქართული დოქტრინა არ აღიარებს საკუთრების ორი ფორმის არსებობას და მიიჩნევს, რომ საჯარო ნივთების მესაკუთრე სახელმწიფოა და ამ უკანასკნელის, როგორც მესაკუთრის, უფლებები ძირითადად საკუთრების ცივილისტურ კონსტრუქციაში მოიაზრება.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ფატი გოკიელის ესეე ფლაინერის კონცეფციის შესახებ. ამ უკანასკნელმა ჩამოაყალიბა საჯარო ნივთზე ყოველი ინდივიდის საჯარო სარგებლობის უფლების კონსტრუქცია. ეს უფლება მოიცავს სახელმწიფოს მიერ ინდივიდის უზრუნველყოფილ შესაძლებლობას, ისარგებლოს საჯარო ნივთით, გზებით დანყებული, დამთავრებული ფეხზე დასადგომი ადგილით ეკლესიაში. საგულისხმოა, რომ საჯარო ნივთით სარგებლობის ამ კონსტრუქციამ უაღრესად საინტერესო ასახვა ჰპოვა გერმანულ საჯარო სამართალში.

წინათქმის დასასრულს მათ შესახებ, ვისი როლიც განსაკუთრებულია ამ კრებულის მომზადებაში. კრებულის გამოცემის კეთილშობილი იდეა ეკუთვნის პროფესორ მინდია უგრეხელიძეს. მანვე გასწია კრებულის პირველი რედაქტორის შრომა.

ღრმა პატივისცემით მინდა მოვიგონო ფატი გოკიელის ვაჟი, ან განსვენებული კოტე ანთაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ბატონი მინდიას რეკომენდაციით ბატონმა კოტემ გამაცნო ფატი გოკიელის პირადი არქივი 1987 წელს, თვითონ გადაბეჭდა ხელნაწერები.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გამოვხატო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორის, სამართლის დოქტორის დიმიტრი გეგენავას, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების — ქეთევან ფიცხე-

## **წინათქმის ვაგვიერ**

ლაურის, იზა კასრელიშვილის, გვანცა ლაშხიას, თამარ მამარ-  
დაშვილის, ლინდა გიორგაძისა და თამარ მახათაძის მიმართ, რომ-  
ლებმაც ტექნიკური დახმარება გაწოდეს კრებულის გამოსაცემად  
მომზადებაში.

**თელო წინიქი**





## სარჩევი

### იურიდიული ესეები

სამართალი სუბიექტური საზრისით .....	1
იურიდიული პირის პრობლემა.....	17

### RES EXTRA COMMERCIIUM

Традиционное учение писателей пандектного права о публичной вещи.....	67
Флайнер о юридической природе публичной вещи .....	114
Французская доктрина публичного имущества .....	123

### მოგონებები

ჩვენი რექტორი ივანე ჯავახიშვილი .....	153
პირველი ფილოსოფიური სემინარი პროფესორ შალვა ნუცუბიძის ხელმძღვანელობით.....	156
ლუარსაბ ანდრონიკაშვილი.....	163



## სამართალი სუბიექტური საზრისით

რომაელები ამბობდნენ: *Omne jus hominum causa constitutum est.*<sup>1</sup> ადამიანის უფლებების აღიარება, მათთვის იურიდიული მნიშვნელობის მინიჭება სამართლის ჰუმანური, მისი არსების გამამართლებელი მიზანია.

სამართლის მეცნიერება მონოდებულია თეორიულად განსაზღვროს უფლების არსი, მისი ბუნება, რასაც ლოგიკურად უკავშირდება მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი – უფლებისა და სამართლის დამოკიდებულების საკითხი.

ჩვენი მიზანია უფლების რაობის შესახებ თეორიების ანალიზი. გზადაგზა შევეხებით სამართალთან უფლების მიმართების საკითხსაც.

.

იურისპრუდენციის აკვანი რომია. მან მოგვცა სამოქალაქო სამართლის, ესე იგი სამოქალაქო უფლებების სისტემა, რომლის საფუძველზე თეორიული დასკვნები უნდა აგებულიყო.

მაგრამ უფლების რაობის შესახებ ასეთი ფილოსოფიური თეორია რომში არ შექმნილა. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, ისაა რომ რომაული აზროვნება განყენებული იურიდიული პრობლემებით დაინტერესებული არ ყოფილა; მეორეც, როცა რომაელები იურიდიულ ურთიერთობებს განიხილავდნენ, მათ ნაკლებად აინტერესებდათ ურთიერთობის პირველი ელემენტი – უფლება, მათი განსაკუთრებული ინტერესის საგანს მეორე ელემენტი – მოვალეობა წარმოადგენდა.

ეპოქაში, როცა სამართალი რკინის დისციპლინით აერთიანებდა ხალხს, რომელი იურისტებისთვის უფლებაზე უფრო მნიშვნელოვანი მოვალეობა იყო, რომლითაც იბოჭებოდა ადამიანი. *Juris vinculum* - სამართლის კვანძი, ბორკილი – იმ დროის ტიპური გამოთქმაა.

უფლების რაობაზე პირველ თეორიულ შეხედულებათა ძიებაში დიდი ქრონოლოგიური ნახტომის გაკეთება მოგვიწევს – თვრამეტი საუკუნის გავლა დუმილით.

---

<sup>1</sup> ყოველი სამართალი დაწესებულია ადამიანის სასიკეთოდ (ლათ.).

XVII-XVIII საუკუნეებში ბუნებითი სამართლის ცნობილი სკოლა წარმოიშვა, რომელმაც უფლების პრობლემას თავისებური პასუხი გასცა. ამ სკოლას მრავალი წარმომადგენელი ჰყავდა. უფლების ბუნებისადმი მათ აერთიანებთ სამი საერთო ტენდენცია: პირველი, უფლება ადამიანში იმთავითვე არსებული, ბუნებრივი მოვლენაა, რომელიც ადამიანს მისი ადამიანობის გამო აქვს; მეორე, უფლებები, ამავე დროს, ნაკარნახევია ზნეობრივი ნორმებით, ისინი ზნეობრივად და სასურველი და უშუალოდ ზნეობრივი ნორმებიდან გამომდინარეობს; მესამე, ბუნებითი უფლებების შინაარსს უმთავრესად თავისუფლებები და მათი გარანტიები შეადგენს.

ბუნებითი სამართლის სკოლის ყველაზე ტიპურ წარმომადგენლად იმანუელ კანტი მიმაჩნია, რადგან ტენდენცია ნითელი ძაფივით გასდევს მის მოძღვრებას. ჩვეულებრივ, კანტი არ ითვლება ამ სკოლის ტიპურ წარმომადგენლად.

არის ორი რამ ამ ქვეყანაზე, რაც ჩვენს სულს მუდამ აღტაცებით და გაკვირვებით ავსებს – ამბობს კანტი – ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩვენს ზემოთ და მორალური კანონი ჩვენში. შესაბამისად, არსებობს ორგვარი კანონმდებლობა – ბუნების და ზნეობის. რომელი კანონმდებლობის სფეროს განეკუთვნება სამართალი? ცხადია, ზნეობრივის. ის ნაწილია ზნეობრივი სამყაროსი. სამართალი არ არის ფიზიკური აუცილებლობის ნაკადში გამოხატული. იგი თავისუფლების კატეგორიის ერთ-ერთი გამოვლინებაა. თავისუფლების კანონებს შეისწავლის ეთიკა. მაშასადამე, სამართალიც უშუალოდ მასთან ყოფილა დაკავშირებული; მაგრამ – არა ყოველი სამართალი, არის დადებითი, კონკრეტული სამართალი, რომელიც ნიადაგ იცვლება დროისა და ადგილის მიხედვით. მის სავალდებულობას გარეგანი კანონმდებლობა ქმნის, მისი ასრულების მოტივი გარეგანი იძულებაა. მაგრამ, არსებობს მეორე, საყოველთაო, მარადიული, ბუნებითი სამართალი, რომლის წყარო გონებაა; მისი სავალდებულობა შეგნებულია თავისუფალი, კეთილი ნებით, ყოველგვარი გარეგნული იძულების გარეშე და სრულდება კანონისადმი წმინდა პატივისცემის გრძნობის გამო. ასეთია ბუნებითი სამართალი, სწორედ ამავე ნიშნების მატარებელია კანტის ზნეობრივი კანონი.

საინტერესოა, როგორ შეესაბამება ზემოხსენებულ წანამძღვრებს ბუნებრივი უფლება. სამართალი – ამბობს კანტი – ისეთი

პირობების ერთიანობაა, რომლის შემწეობით შეიძლება ვინმეს თვითნებითი (გარეგანი, მოქმედებითი) თავისუფლება შევუსაბამოთ სხვის თავისუფლებას, საყოველთაო კანონის თანახმად, ამიტომ ჩემი მოქმედების თავისუფლება მხოლოდ მაშინ არის ბუნებობისამართლებრივი ხასიათის, თუ იგი ხელს არ უშლის სხვის თავისუფლებას საყოველთაო კანონის თანახმად.

უფლება პირის გარეგანი თავისუფლებაა. ეს არის ერთადერთი, იმთავითვე მოცემული უფლება, რომელიც ადამიანს ეკუთვნის მისი ადამიანობის გამო.

კანტს თავისუფლების ძირითადი უფლებებიდან ანალოგიურად გამოჰყავს სხვადასხვა უფლებები – თანასწორობა, ადამიანის *sui juris* – ად ალიარება – ყოველივე ის, რასაც ახლა პიროვნების უფლებებს ვუწოდებთ.

მას შემდეგ, რაც ბუნებითი სამართლის სკოლამ სცადა აეხსნა უფლების არსი აუცილებელი და მარადიული მორალის მიხედვით, საკაცობრიო აზროვნება, თითქოს, მართლა დიალექტიკური აუცილებლობით, სანააღმდეგო პოზიციას იჭერს უფლების ბუნებისადმი. სამართალი საზოგადოდ, და უფლება კერძოდ, არ უნდა ვეძიოთ განყენებული ეთიკის სამყაროში. სამართალი ისაა, რაც უშუალოდ არსებობს, მოქმედებს და ხორციელდება ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამიტომ, თუ უფლების ჭეშმარიტი ბუნების გაგება გვწადია, ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ გარემოებას – როგორ და რა სახით ხორციელდება სამართალი, რა ხასიათის ელემენტები იჩენს თავს სამართლის განხორციელებისას. ამ კითხვაზე ურთიერთგანსხვავებულ პასუხს იძლევა იურისპრუდენციის ორი ცნობილი ავტორი – ვინდშაიდი და იერიინგი.

ყოველი უფლება იმიტომ ხორციელდება, – ამბობს ვინდშაიდი, – რომ პირს სურს იმის ასრულება, რაც მის სასარგებლოდ ობიექტური ნორმითაა დანესებული. სურვილი და აქტივობა იგივე ნებაა. მაშასადამე, უფლება ანუ ნება ყოფილა განსაზღვრული შინაარსის ძალა, რომელსაც პირს აკუთვნებს ობიექტური სამართალი. სამართალი მიიჩნევს, რომ უფლებამოსილი პირის ნება გადამწყვეტია მოვალე პირის ნებისთვის და უკანასკნელმა თავისი მოვალეობა უნდა შეასრულოს ობიექტური სამართლის დანაწესის და უფლებამოსილი პირის სურვილის მიხედვით. მაშასადამე,

ობიექტური ნორმა იცავს – როგორც იერიინგი ფიქრობს – ინტერესისადმი მიმართულ ნებას.

შემდგომმა იურიდიულმა მეცნიერებამ გააკრიტიკა ვინდშაიდის თეორია. საყოველთაოდ ცნობილია ორი არგუმენტი: პირველი ეკუთვნის იერიინგს; ხშირად უფლებები გააჩნიათ ნებისყოფის არმქონეთ; მეორე არგუმენტი ტონისაა: ხშირად უფლება წარმოდგენილია ყოველგვარი ნების გარეშე; მაგალითად, წინათ ქმარი ცოლის მზითვის მესაკუთრე იყო; სულაც არ ჰქონდა მნიშვნელობა, სურდა თუ არა ეს ქმარს.

მეცნიერული თეორიის სასინჯი ქვა არის მისი შედეგები; იმის მიხედვით, თუ როგორ გავიგებთ სამართალს, სამართლის სუბიექტის მიმართ სულ სხვადასხვა შეხედულება გავჩინდება. ვინდშაიდის თეორია სწორედ ამის გამო სიძნელეებს აწყდება. ნება ვინდშაიდს სრულიად სხვადასხვანაირად ესმის. საბოლოოდ, ნება მისთვის კონკრეტული, ინდივიდუალური ფსიქიკის აქტია. თუ ეს ასეა, მაშინ როგორღა ავხსნათ სამოქალაქო სამართალში ისეთი სუბიექტების არსებობა, რომლებიც ფიზიკური პირები არ არიან, მაგრამ გააჩნიათ ინდივიდუალური ნება? ვინდშაიდის თეორიის სრული მოუხერხებლობა სწორედ სამართლის სუბიექტების ანალიზის ფონზე ჩანს. ვინდშაიდის თეორიით სახიფათო მდგომარეობაში ვარდება წარმომადგენლობის ინსტიტუტიც; თუ უფლება სხვა არაფერია, თუ არა ინდივიდუალური ნება, რომელიც ობიექტური ნორმის მიხედვით ხორციელდება, როგორ შეიძლება კონკრეტულად მოცემული ნების გადატანა, რომ წარმომადგენლობის დროს მეორე პირზე უფლების გადაცემა მოხერხდეს?

.

**იერიინგი.** ამ წინააღმდეგობებმა აიძულეს იურიდიული მეცნიერება უფლების ბუნების გასამყდარებლად სხვა გზა ეძია. პრობლემა ის კი არ არის, თუ რის შემწეობით ხორციელდება უფლება, არამედ ის, თუ რა ხორციელდება ნების შემწეობით.

ადამიანისა და საზოგადოების სულიერი ცხოვრებისათვის დამახასიათებელია მიზნების სისტემა, რომელსაც ისინი ახორციელებენ. მისაღწევი მიზანი არის ინტერესი. ობიექტური ნორმის

ფუნქცია ინტერესის იურიდიული დაცვაა. იურიდიულად დაცული ინტერესი არის უფლება, თუმცა, ეს არ ნიშნავს, – ამბობს იერიინგი, – რომ ყოველი ინტერესი, რომელსაც ადამიანი ამწუთიერ მიზნად დაისახავს, ობიექტურმა ნორმამ იურიდიულად დაიცვას და უფლებად აქციოს. ასე რომ იყოს, კანონმდებლობა ქაოტურ მასად გადაიქცეოდა, ყოველი ინტერესი როდია იურიდიულად დაცვის, ანუ უფლებად ქცევის ღირსი. საჭიროა ინტერესების შერჩევა. იერიინგს შერჩევის კრიტერიუმად მიაჩნია მხოლოდ ის ინტერესი, რომელიც მოცემული დროის და პირობებისათვის კანონმდებლის მიერ ჩათვლილია დაცვის ღირსად. ესაა საშუალო ინტერესი *Durchschnittsinteresse*; – რომელიც უნდა წარმოვიდგინოთ დაახლოებით სტატისტიკის საშუალო რიცხვის ანალოგიით.

იერიინგის ეს მსჯელობა შინაგან წინააღმდეგობებს შეიცავს, რაზედაც სამართლიანად გაამახვილეს ყურადღება მისმა კრიტიკოსებმა. იერიინგი აღიარებს, რომ უფლება არის არა წარმავალი, არამედ საშუალო, ობიექტური ინტერესი, რომელიც დაცული უნდა იქნეს ნორმით.

კელზენის თვალსაზრისით, ამ დებულებით იერიინგი საკუთარი სისტემის ამოსავალ დებულებებთან უიმედო წინააღმდეგობებში ჩავარდა, რადგან საშუალო ინტერესი უკვე აღარ არის ინტერესი. იგი მხოლოდ კერძო ინტერესების ურთიერთმიმართებაა განსაზღვრულ გარემოში და პირობებში. გამოდის, რომ სამართალი იცავს არა ინტერესს, არამედ ამ ურთიერთმიმართებას. ასევე გამოდის, რომ უფლება ყოფილა არა დაცული ინტერესი, არამედ დაცული ურთიერთდამოკიდებულება ინტერესებისა. იერიინგის ძირითადი პრეზუმფცია კი ის იყო, რომ სამართალი იცავს ადამიანის მიზნებს. მიზანი გამოხატულებას პოულობს ინტერესში. მიზანი სუბსტანციაა, ურთიერთდამოკიდებულება კი ვერასდროს მიზანი ვერ იქნება, რადგან იგი მიმართებითი კატეგორიაა და არა სუბსტანცია.

ტონის უმთავრესი შენიშვნა იერიინგის თეორიის მიმართ ისაა, რომ იერიინგი უფლებას ახასიათებს არაიურიდიული ცნებებით. უფლების იერიინგისეული ანალიზი არ არის იურიდიული. უფლება არის არა დაცული ინტერესი, არამედ ინტერესის დასაცავი საშუალება, რადგან ინტერესი, მიზანი სამართლის მიღმაა, სამართლის საშუალებაა და არა მიზანთა სისტემა. უფლება დაცვაა და არა



დაცული. სადაც დაცვა თავდება, იქ იწყება მიღწეული ინტერესით სარგებლობა. ისე, როგორც სხვაა მარანი და სხვაა ბოქლომი, რომლითაც მარანი იკეტება.

არის მეცნიერული კრიტიკის ზემოხმობილი ავტორებისაგან განსხვავებული გზა და ჩვენ მას მივმართავთ. ესაა კრიტიკა თეორიის ამოსავალი წერტილებისა, მისი საფუძვლებისა, მიუხედავად იმისა, რომ ნებისა და ინტერესის თეორიები სხვადასხვა შინაარსისაა, მათი ამოსავალი წერტილი ერთია, ესაა შეურიგებელი პოზიცია ბუნებითი სამართლის სკოლისადმი. თავის წიგნში „ბრძოლა სამართლისათვის“ იერიინგი პირდაპირ ამბობს – სამართლის მნიშვნელობის პირველი და ერთადერთი პირობა არის მისი განხორციელება. მხოლოდ ის, რაც ნიადაგ ხორციელდება და გვახსენებს თავის არსებობას, არის ჭეშმარიტი სამართალი; ყველა დანარჩენი არის ცხედარი სამართლისა, ვინდშიადიც მსგავსი თვალსაზრისიდან გამოდის. ინტერესიც, ნებაც ის ფსიქიკური განცდებია, რომლებიც ან ცალ-ცალკე ან სხვადასხვა კომბინაციებში ვლინდება სამართლის განხორციელებისას, მაგრამ სამართლის განხორციელება, ისე როგორც დარღვევა, არის არა თავად სამართალი, არამედ მისი განხორციელება ან დარღვევა, ასევე უფლებების მიმართაც. ისე როგორც ერთია სწორი აზროვნების ლოგიკური კანონი და დავარღვევთ თუ არა მას კამათში, ლოგიკური კანონის ჭეშმარიტებას ამით არც არაფერი დააკლდება, არც მიემატება. როცა იურიდიული მეცნიერების თეორიას ვსწავლობთ, განსაზღვრული მეცნიერული მეთოდების მეშვეობით მისი ბუნების გაგება გვწადია. აქ მოვლენის სისტემატური ანალიზია საჭირო და არა მისი სოციოლოგიურ, პოლიტიკურ ან სამართლებრივი პოლიტიკის სფეროში გადაყვანა. სამართალს არსებობის საკუთარი სფერო აქვს. რა ვუყოთ, რომ ეს მხოლოდ გონებით მისაწვდომი სფეროა და არა ისეთი, რომელიც ემპირიულად შეიძლება შემოწმდეს. ეს მის რეალობას არაფერს აკლებს. განა თვითონ იერიინგი არ ამბობს – მეცნიერების მეშჩანია, ვისაც მხოლოდ იმის სჯერა, რაც ხელშესახებიაო. კონკრეტული რეალობის დაბლობსა და ნორმატიული მორალის მთებს შორის მდებარეობს ის ველი, რომელიც სამართლის სამფლობელოა. ყოველი არსი სწორედ იმიტომაა არსი, რომ სადმე მას აქვს საკუთარი სფერო ყოფადობისა.

სამართალიც არ აცდენია ამ ბედნიერ იღბალს და მხოლოდ ამ პირობითაა შესაძლებელი იურიდიული მეცნიერება და თუ მის საუკეთესო წარმომადგენლებიც ვერ ხედავენ სამართლის ყოფიერების თავისთავად სფეროს, ზოგჯერ მას ეთიკის ნაწილად მიიჩნევენ (ბუნებითი სამართლის სკოლა). ზოგჯერ კონკრეტულად განხორციელებულ, უკვე მომხდარის ნაწილად (იერინგი, ვინდშაიდი), ეს ფაქტიც ორივე ზემოხსენებული სფეროსადმი სამართლის სფეროს თავისებური დამოკიდებულებით აიხსნება. სამართალი ხომ ის პრიზმაა, რომელიც იკრებს წმინდა მორალის ცხოველმყოფელ სხივებს, რომ შემდეგ მისი სინათლე რეალური ცხოვრებისათვის აუცილებელი გახდეს. სამართლის ბუნების გამომჟღავნება, როგორც საკუთარი ყოფიერების გვარის მატარებლისა (Seinsai) თანამედროვე მეცნიერების მიზანია. აქვე გადანყდება უფლების საკითხიც. უფლება და სამართალი კორელატიური ცნებებია. ისინი ერთმანეთზეა დამოკიდებული, ერთმანეთს გულისხმობენ და განაპირობებენ. ამ კორელაციის ბუნების ღრმა წვდომა უნდა მოახდინოს იურიდიულმა ლოგიკამ. როგორც სამართლის, ისე უფლების ბუნების გამომჟღავნება მათი საკუთარი რეალიების არეალში მეცნიერების უახლოესი ამოცანაა.

**ელინეკი.** იმის კვლევას, თუ რაში ხედავს მეცნიერი უფლების არსს, წინ უნდა უსწრებდეს ფილოსოფიური ძიება – თუ რა მიაჩნია მას სამართლის რეალობად საერთოდ, რა ბუნებისაა მისთვის სამართალი. ელინეკის აზრთა მსვლელობაში ჩვენ პირველად ვხვდებით იმ პოზიციას, რომელიც წინა თეორიებისათვის უცხო იყო. არ არსებობს ისეთი ყოფიერება, რეალობა, რომელსაც სამართლის მეცნიერება სწავლობს. იურისპრუდენციას არა აქვს თავისი კვლევის საგანი. მაგრამ მარტო ის როდია ასეთ დაჩაგრულ მდგომარეობაში. ყოველი მეცნიერების ობიექტი საბოლოო ანგარიშში ერთი და იგივეა. სხვადასხვაა მხოლოდ თვალსაზრისი, რომლითაც ისინი უდგებიან ამა თუ იმ ობიექტის კვლევას. მეცნიერებას სპეციფიკურ ბუნებას ანიჭებს არა საერთო საგანი, არამედ სწორედ მისი თავისებური თვალსაზრისი (Standspunkt) ამ

საგნის მიმართ. მაგალითად, ფიზიკას, ფსიქოლოგიას და ესთეტიკას რეალობაში შესაძლოა ერთი და იგივე შესასწავლი საგანი გააჩნდეს. ვთქვათ, მუსიკალური სიმფონია. ფიზიკა მასში ბგერების ტალღებს ხედავს, ფსიქოლოგია – შეგრძნებების, გრძნობების გადამზულ ნაკადს, ესთეტიკა – უღრმეს განცდას სილამაზისა.

ასევეა სამართლის მეცნიერებაშიც. სამართლის მიზანი არის არა არსებული, არამედ ცხოვრების მონესრიგების ნორმები. თეორიული კვლევა–ძიების მიზანია არა ნორმები, არამედ არსებული ცხოვრება ისე, როგორც არის. აქ არა მათი ობიექტების, არამედ მხოლოდ თვალსაზრისების სხვაობაა. საკუთრება – წმინდა თეორიული თვალთახედვით – ფსიქოლოგიური პროცესია, რომელშიც არის ელემენტები მიჩემების, ბატონობის და სხვა. იურიდიული თვალსაზრისით საკუთრება მის შესახებ ნორმების ერთიანობაა.

“Nicht was ist das Eigentum, sondern ure ist zu denken ist die Weise wissentschaftlicher juristische Fragestellung. Die juristischen Begriffe haben keine Werenheiten zum Objekt, die juristische Welt ist eine reine Gedenkenwelt.”

მაგრამ ის არ არის ფიქცია, რადგან ფიქცია ემყარება მხოლოდ გამოგონებას, იურიდიულ თვალსაზრისს კი შეესაბამება მხოლოდ მომხდარი რამ გარეგან თუ შინაგან სამყაროში.

რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ელინეკის ამ ძირითად პრეზუმფციას უფლების პრობლემისათვის? პირველი, უფლება არ არის დამოუკიდებლად არსებული სუბსტანცია. გარეგან სამყაროში მას შეესაბამება მხოლოდ ფსიქიკური განცდები, ერთი მხრივ უფლებამოსილის, მეორე მხრივ, მოვალის და ფიზიკური აქტები, რომლებიც ამ განცდების გამო ხდება. უფლება არის თვალსაზრისი, განჭვრეტის სპეციფიკური, იურიდიული, მეთოდოლოგიური მანერა, რომლიც უზრუნველყოფს იურიდიული მიზნის – ნორმების შექმნას, მეორე, თუ იურისპრუდენციასა და სხვა მეცნიერებათა შორის განსხვავება მეთოდოლოგიურ მიდგომაშია და არა საგანში, დაუშვებელია სხვა მეცნიერებათა მეთოდოლოგიის იურისპრუდენციაში გადმოტანა და უფლების პრობლემის განხილვა, როგორც ისტორიულად წარმოშობილი სოციალური მოვლენისა. ეს ისტორიის და სოციოლოგიის საქმეა. იურისპრუდენციამ უფლება უნდა შეისწავლოს დოგმატურად, სისტემატურად და არა მისი ქმნადობის

პროცესში. მან უფლება უნდა შეისწავლოს, როგორც დამთავრებული ფენომენი.

ჩვენთვის სრულიად მიუღებელია ელინეკის ეს ძირითადი პრეზუმფცია. მეცნიერების ყოველ დარგს გააჩნია არსებობის ორი პირობა – დამოუკიდებელი საგანი და თავისებური მეთოდი. თუ მაინცდამაინც ერთ–ერთი უნდა ვიმსხვერპლოთ, უფრო ადვილი წარმოსადგენია, სხვა მეცნიერებიდან ვისესხოთ ჭეშმარიტების მიღწევის მეთოდი, ვიდრე არ გაგვაჩნდეს თავისთავად ეს ჭეშმარიტება. მაშინ ხომ არც მეცნიერება იქნება. თვით მეთოდი, თვალსაზრისი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ხასიათის ჭეშმარიტებაა მისალწვევი. ამას ამტკიცებს თვით ელინეკის მაგალითიც: ბგერათა ფიზიკური ტალღები, ფსიქიკური პროცესების ნაკადი და ესთეტიკური განცდა, არა მხოლოდ თვალსაზრისებია, ე.ი. ობიექტით გამოწვეული, არამედ ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებელი, სპეციფიკური რეალობები. ეს როდია ერთი და იგივე სიმფონია. არც ფიზიკოსის, არც ფსიქოლოგისთვის სიმფონია არ არსებობს, სიმფონია არსებობს მხოლოდ ესთეტიკოსთვის, რომელიც შეისმენს ხმების დენას, მთლიანობის სახით და ჩანვდება მის იდეას. ასევეა სამართალშიც, გრძნობები საკუთრების, ქონების გამო არა თვალსაზრისია, არამედ ფსიქიკური რეალობა – ფსიქოლოგიის საგანი, საკუთრების იურიდიული ინსტიტუტი კი სპეციფიკური იურიდიული რეალობაა. ასევეა უფლებაც.

ნების და ინტერესის თეორიების ურთიერთკრიტიკამ გამოავლინა თითოეული მათგანის ცალმხრივობა და უკმარისობა იმის ასახსნელად, რასაც ცხოვრება და კანონმდებლობა უფლებად მიიჩნევდა. ამიტომაც წარმოიშვა ნებისა და ინტერესის თეორიების ერთგვარი სინთეზის საჭიროება. ამ ტენდენციის გამომხატველია ორი მეცნიერი, ორივე საჯარო სამართლის პრობლემების მკვლევარი – ბერნაციკი და ელინეკი.

ელინეკთან უფლება იყოფა ორ კატეგორიად – კერძო და საჯარო უფლებებად. პირველი კერძო სამართალშია, მეორე – საჯარო სამართალში. ელინეკის კვლევის საგანი ძირითადად საჯარო უფლებებია, თუმცა იგი ზოგადად იხილავს კერძო უფლებებსაც.

უფლება მოიცავს ორ ელემენტს – ნებას და ინტერესს. საინტერესოა ამ ელემენტების ურთიერთდამოკიდებულება ელინეკის თვალსაზრისით. ადამიანის ყოველ ნებელობით აქტს უნდა

ჰქონდეს თავისი შინაარსი: არა მარტო გსურს, არამედ გსურს რაიმე; ისე როგორც, არა მარტო ხედავ, არამედ ხედავ რაიმეს. ნების ეს შინაარსი არის მისი მიზანი – სიკეთე, სუბიექტურად განხილული ინტერესი. სამართლის მიზანი არის ინტერესის დაცვა – იმეორებს იერინგის თვალსაზრისს ელინეკი, მაგრამ არა იმისა, რომელიც მოცემულ მომენტში, მოცემულ სუბიექტს მიაჩნია ინტერესად, არამედ იმისა, რაც კანონმდებელს, მოცემულ დროში გაბატონებული შეგნების მიხედვით, მიაჩნია საშუალო ინტერესად (Durchschnittsinteresse). ამიტომ ცდება ვინდშიაიდი, როცა ამბობს, თითქოს ნება იყოს უფლება. ის მხოლოდ საშუალებაა უფლების განხორციელების და ცარიელია, თუ არ ექნა განსაზღვრული შინაარსი, მიზანი – ინტერესი, მეორე მხრივ, იერინგიც ცდება, უფლება არ არის მართოდ იურდიულად დაცული ინტერესი, საჭიროა ნება, რომელიც მისცემს მიმართულებას ინტერესს, იქნება მისი განხორციელების ფორმა. ამიტომ უფლება უნდა განიმარტოს, როგორც ადამიანის ნების აღიარების მეშვეობით დაცული ინტერესი ანუ სიკეთე. ნების აღიარება არის უფლების ფორმალური მომენტი, ინტერესი – მატერიალური, ერთობლიობაში ისინი სინთეზურ მთლიანობას ქმნიან.

ჩვენ არ შევუდგებით ელინეკის მოძღვრების კრიტიკას და იმის გამოკვლევას, თუ რაოდენ ღრმად ჩანდა იგი უფლების ბუნებას. ამისთვის მოგვიხდებოდა ყველა იმ კრიტიკული შენიშვნის გამეორება, რომელიც ცალ-ცალკე გამოვთქვით ვინდშიაიდის და იერინგის თეორიათა შესახებ, რადგან არსებითად ელინეკის თეორიაში გადმოინაცვლა იმ ხარვეზებმა, რაც ორივე თეორიას ცალ-ცალკე გააჩნდა.

შევუდგეთ შემდეგ საკითხს. ჩვენ ვთქვით, რომ მეცნიერული ტრადიცია საერთოდ უფლებას ჰყოფს საჯარო და კერძო უფლებებად იმის მიხედვით, იგი სამოქალაქო ბრუნვის სხვა წევრის მიმართ ხორციელდება თუ სახელმწიფოს მიმართ. მაგალითად, ჩემი უფლება გასესხებული ფულის უკან დაბრუნებაზე კერძო უფლებაა, პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა – საჯარო უფლება. ელინეკისთვის აუცილებელ ამოცანას წარმოადგენს ერთმანეთისაგან კერძო და საჯარო უფლების გამიჯვნის, მათი ურთიერთდაპირისპირების საფუძვლის გამონახვა.

სამართლებრივი წყობა სხვადასხვანაირად ახდენს ჩვენი ქცევის განწესებას – ამბობს ელინეკი. ამ სხვაობათა შორის უნდა გამოვყოთ ინდივიდის მიმართ სახელმწიფოს დამოკიდებულების ორი უმთავრესი სახე: პირველი, როცა სახელმწიფომდე ესა თუ ის ქცევა უკვე შედიოდა ინდივიდის ბუნებრივ თავისუფლებაში, სახელმწიფომ კი აღიარა ის, ნება დართო და იურიდიული ძალაც მიანიჭა. ასეთ ქცევას ვუნოდოთ იურიდიული გაბედევა (*Rechtliche dürfen*), მეორე, ის შემთხვევაა, როცა ქცევა სრულიად უცხოა ბუნებრივი თავისუფლებისათვის, სახელმწიფო მას აწესებს და აძლევს მასიურ ძალას; ასეთი უნარი არის სამართლებრივი შეძლება (*Rechtliche können*). თითოეული სახის უფლების დარღვევას განსხვავებული შედეგი მოჰყვება. თუ დაირღვა *Rechtliche dürfen*–ი, მაგალითად, ადამიანს ხელი შეუშალებს საკუთრებაში, შედეგი იქნება დასჯა ან ზარალის ანაზღაურება. თუ დაირღვა *Rechtliche können*–ი, მაგალითად, ხელშეკრულება დადო მცირეწლოვანმა, ეს ფაქტი იურიდიულად არარა იქნება, შესაძლოა *können*–ის მოსაზრება *dürfen*–ის გარეშე? შეიძლება. მაგალითად, მცირეწლოვანის ქცევა შედის ადამიანის ბუნებრივი თავისუფლების სფეროში, *dürfen*–ი არ მოიაზრება *können*–ის გარეშე. საკუთრების პირობაა, რომ იგი ცნოს სახელმწიფომ, როგორც იურიდიულად ძალოვანი და დაიცვას. კერძო უფლება მოიცავს *dürfen*–საც და *können*–საც. აქ სახეზეა ადამიანის ბუნებრივი თავისუფლება აღიარებული, ნებადართული ნორმების მიერ, მაგრამ მას აქვს სახელმწიფოს მიერ მინიჭებული ძალაც. საჯარო უფლება კი შეიცავს მხოლოდ *können*–ს. აქ არის ქცევა, რომელსაც მომავალში მიენიჭა იურიდიული ძალა, თუ წაერთვა, თვით ქცევაც იურიდიულად უაზრო ფაქტად იქცევა. აქედან ცხადია, რომ კერძო და საჯარო უფლება ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული, შინაარსობრივად ერთმანეთის საპირისპიროა და სრულიად სხვადასხვა ფესვებისანი არიან.

დაპირისპირება კერძო და საჯარო უფლებას შორის იქედან გამომდინარეობს, რომ მათი ძირი, მათი გამომხატველი ქცევა – იურიდიული *dürfen*–ი და *können*–ი სხვადასხვაა. ელინეკმა ვერ გამოიხატა ჭეშმარიტი სადემარკაციო ხაზი კერძო და საჯარო უფლებებს შორის, რადგან განსხვავება *dürfen*–ისა და *können*–ის ცნებებს შორის კრიტიკას ვერ უძლებს. ჩვენი კრიტიკა, რომელსაც

ეხლა მოვიტანთ, კელზენის არგუმენტებს ეყრდნობა. შევეცდებით ერთგვარად განვავითაროთ უკვე არსებული არგუმენტები.

ძირითადი შენიშვნა, რომელსაც ელინეკის თეორია იმსახურებს, ისაა, რომ აქ საბოლოოდ გარკვეული არ არის, თუ რა კატეგორიის ცნებებია მისი „იურიდიული გაბედვა და შეძლება“. ხან ეს უფლებისადმი ინდივიდის დამოკიდებულებაა, ხან ადამიანის ქმედება, ქცევა, ხან კი დამოკიდებულება ინდივიდებს შორის, ხანაც უნარი. ესენი კი სრულიად ურთიერთგანსხვავებული მოვლენებია. იურიდიულ გაბედვას და შეძლებას შორის ელინეკი უმთავრეს განსხვავებას იმაში ხედავს, რომ პირველი თავისთავადი, ადამიანის ბუნებრივი თავისუფლების სფეროში არსებული ქცევაა, მეორე კი – ან დაფუძნებული. „ბუნებრივი თავისუფლების“ ცნების მეტაფიზიკურ ხასიათს რომ თავი ვანებოთ, მართალია კელზენი, როცა ამბობს, რომ სახელმწიფოს არ ძალუძს შექმნას ახალი ქმედება. ფიზიკური პროცესები, რომლებსაც ადამიანი ბუნებრივად ჩაიდენს, მექანიკის სფეროს განეკუთვნება და სახელმწიფოს ინიციატივით ვერც შემცირდება, ვერც გამრავლდება. ამიტომ können-ის დროს სახელმწიფო არ ქმნის ახალ ქმედებას. ყუთში კენჭის ჩაგდება არჩევნების უფლების აღიარებამდეც იყო შესაძლებელი, ოღონდ აღიარებამდე იყო მექანიკური ფაქტი, შემდეგ კი იურიდიული მნიშვნელობა მიენიჭა, მაგრამ იგივე პროცესი ხდება dürfen-ის დროსაც. მესამე და უმთავრესი კრიტიკული არგუმენტი ისაა, რომ საბოლოოდ dürfen-ი და können-ი არ წარმოადგენს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ, ურთიერთდაპირისპირებულ რეალიებს, როგორც ეს ელინეკს მიაჩნია. ისინი არ წარმოადგენენ კარდინალურად განსხვავებულ დამოკიდებულებებს. ამიტომ ელინეკმა ვერ შეძლო სადემარკაციო ხაზის გავლება კერძო და საჯარო უფლებებს შორის. ყოველი ბუნებრივი, ნინაუფლებრივი მოქმედება, ვიდრე მისი იურიდიული კვალიფიკაცია არ მომხდარა, ე.ი. ვიდრე მისთვის რაიმე იურიდიული მნიშვნელობა არ მიგვიწერია, თავისთავად არც dürfen-ია და können-ი. თუ იმას ვიტყვით, რომ იურიდიულ გაბედვაში ბუნებრივი თავისუფლება იყო და შემდეგ იგი მხოლოდ აღიარებულ იქნა, ე.ი. თუ dürfen-ს მოვაცლით იურიდიულ ძალოვანებას, დაგვრჩება იურიდიული უაზრო მოქმედება. ეს იურიდიული ძალოვანება კი არის არა თავისთავადი, არამედ სახელმწიფოს მიერ მიკუთვნებული; ე.ი.

dürfen-ის მთელი არსი ყოფილა können-ში. ეს ყოფილა მისი უმთავრესი არსებითი პირობა. მეორე მხრივ, არც können-ია იურიდიული ძალის მიკუთვნება ცარიელი წერტილისათვის. აქაც არის ბუნებრივი მოქმედება, რომელსაც იურიდიული ძალა ენიჭება. ამიტომ საბოლოოდ dürfen-ი და können-ი, ორივე ერთნაირად შეიცავს მოქმედებისა და იურიდიული ძალის მომენტებსაც და იურიდიულად მნიშვნელოვანი სწორედ უკანასკნელია.

ყოველი უფლება წანამძღვრად გულისხმობს სამართლებრივი ნყობილების არსებობას, რომლითაც იგი არის შექმნილი, აღიარებული და მეტწილად დაცული. ადამიანის ცხოვრება მალღდება ბუნებრივ პროცესებზე სწორედ სამართლის საშუალებით. ამიტომ “Ohne öffentliches Recht kein Privatrecht” მხოლოდ ის გადააქცევს წმინდა Machtssubject-ს Rechtssubject-ად. ამიტომაც, ცხადია, ლოგიკური პრიმატი სამართლისა უფლების წინაშე. ელინეკის ძირითადი შეცდომა ისაა, რომ თითქოს უფლება თავისთავად იყოს შიშველი ძალა და მხოლოდ სამართალი აძლევს მას იურიდიულ მნიშვნელობას, ასე რომ იყოს, სამართალს არა მარტო ლოგიკური პრიმატი უნდა მივაკუთვნოთ, არამედ ის ამომწურველად უნდა ჩავთვალოთ. უფლება კი უნდა მივიჩნიოთ არა იურიდიულ კატეგორიად, არამედ ფაქტობრივ ძალად, მაგრამ საქმე ასე როდია. როცა უფლებაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს მოვლენა, რომელიც მოცემულია იურიდიული ფენომენის სახით. საიდან მიიღო უფლებამ იურიდიული ძალა, ეს სამართლის ისტორიისა და სოციოლოგიის საკითხია და არა სისტემური კვლევისა. ამას თვით ელინეკიც ამბობს; და თუ სისტემური ანალიზისთვის უფლება ისეთივე იურიდიული ხასიათის მატარებელია, როგორც სამართალი, მათ შორის რაიმე ლოგიკურ პრიმატზე ლაპარაკი შეუძლებელია.

•

**კელზენი** პუბლიცისტიკა. ამიტომ მას უმთავრესად საჯარო უფლების პრობლემა აქვს დამუშავებული; ამასთან, რამდენადმე იხილავს საზოგადოდ უფლების საკითხს და მათ შორის, კერძო უფლების საკითხსაც. ჩვენთვის მისი აზრი, თანამედროვე მეცნიერთა შორის, განსაკუთრებით იმიტომაა საინტერესო, რომ



იგი ობიექტივისტია და უფლების წინაშე სამართლის პრიმატს აღიარებს, უფლება მიაჩნია სამართლის ერთ-ერთ მოდიფიკაციად, დამოუკიდებლად არარსებულ კატეგორიად. გაცხადით მის აზრთა დინებას და ვნახოთ, როგორ ლოგიკურ შედეგებამდე მიგვიყვანს კელზენის მოძღვრების საფუძვლები.

ყველა იმ განმარტების უმთავრესი შეცდომა, რომლებიც უფლების შესახებ არსებობს, კელზენის აზრით, ისაა, რომ მათ ვერ მიაგნეს პრობლემის მართებულ დასმას. მეცნიერებაში საკითხის სწორი დასმა უკვე მისი ნახევრად გადაჭრაა. პრობლემის უსწოროდ დასმა კი იმაში მდგომარეობდა, რომ ფიქრობდნენ, თითქოს სამართალსა და უფლებას შორის დიდი სხვაობა იყო. ამავე დროს, უფლება მიაჩნდათ ერთგვარ სუბსტანციად, რასაც იცავს ობიექტური ნორმა, მაშინ, როცა ყოველი სამართალი ფორმალურია, სულ ერთია იგი ობიექტურია თუ სუბიექტური და შეიცავს იმას, თუ როგორ იცავს და არა იმას, თუ რას იცავს.

ობიექტურადაც და სუბიექტურადაც სამართალი არის სოციალური დაცვის ფორმა. მათ შორის განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ობიექტური სამართალი უნდა განვიხილოთ უფლებად თავისთავად, ხოლო უფლების ხსენების დროს, ეს უკანასკნელი განიხილება სუბიექტთან დამოკიდებულებაში. აქ ცხადია, რომ კელზენს ერთადერთ და ძირითად იურიდიულ კატეგორიად მიაჩნია სამართალი, უფლება კი იგივე ობიექტური სამართალია, მხოლოდ აღებული არაა დამოუკიდებლად, არამედ მის მოდიფიკაციაში, განსაზღვრულ მიმართებაში სუბიექტთან.

ამიტომ უფლების პრობლემა ის კი არ არის, როგორ ვეძიოთ მისი თავისებური ბუნება, არამედ ის, რომ გამოვარკვიოთ, თუ როგორ ხდება, რომ ობიექტური ნორმა განსაზღვრულ დამოკიდებულებაში დგება სუბიექტის მიმართ და რა სახისაა ეს დამოკიდებულება. აქ კელზენი მეტად საინტერესო პასუხს იძლევა. ობიექტური ნორმა აწესებს განსაზღვრულ მოვალეობას. ეს სხვისი მოვალეობა ჩემთვის მნიშვნელოვანია, როგორც ჩემი უფლება, რადგან, ამ ნორმის განმარტების საფუძველზე, მე ისეთ დამოკიდებულებაში ვარ ვალდებული პირის მიმართ, რომ მისი მოვალეობა მე მიმეთვლება, როგორც ჩემი უფლება.

კელზენი გრძნობს, რომ ეს არ არის უკანასკნელი პასუხი კითხვაზე, რომ პრობლემის ფესვი სწორედ იმაშია, თუ როდის აქვს

ადგილი ისეთ დამოკიდებულებას, როცა სხვისი მოვალეობა მე უფლებად მიმეთვლება, ასეთი მითვლის პირობა რომ კანონის მიერ ჩემი უფლების იურიდიული ცნობაა, ეს იმთავითვე იგულისხმება, რადგან ჩვენ უფლებაზე ანუ სუბიექტურ სამართალზე გვაქვს საუბარი და არა სუბიექტურ ძალადობაზე. ამიტომ კელზენი განაგრძობს განმარტებას... „უფლებამოსილის დამოკიდებულებაში მე ვდგები მაშინ, როცა კანონში გამოხატული ნება ორ პირს შორის ქცევის შესახებ არის ჩემზე დამოკიდებული, ჩემი პიროვნების გამოვლინებაზე დამოკიდებული“, შემდეგ კელზენს მაგალითიც მოჰყავს: თუ ჩემმა მოვალემ ვალი დროულად არ დამიბრუნა, ჩემი უფლებაა სასამართლოს სარჩელით მივმართო თუ არა.

უკვე ამკარაა, რომ კელზენის ობიექტივიზმი, მთელი მისი მსჯელობის გასწვრივ, თანდათანობითი კლებადობის სახით, ნულამდე დადის დამოკიდებულება სუბიექტივისადმი, ესე იგი უფლების რაობა ის ყოფილა, რომ უფლების გამოყენება–არგამოყენება, განხორციელება–არგანხორციელება დამოკიდებულია უფლებამოსილ პირზე; მივუმატოთ ერთი სიტყვაც – მის სურვილზე. კელზენი ამ სახით იღებს დისპოზიციის შესაძლებლობას უფლებაში, ესე იგი სუბიექტურ სურვილზე უფლების დამოკიდებულებას ანუ ნამდვილ სუბიექტივიზმს.

ყოველი უფლება რომ საბოლოოდ ობიექტური სამართლის მხოლოდ მოდიფიკაციაა, კელზენთან სხვანაირადაც მტკიცდება. კელზენი ამბობს, რომ უშუალოდ უფლება ანესებს მოვალეობას და მხოლოდ შუალობითად მოვალეობის შემწეობით წესდება სხვისი უფლება მოვალეობის შესრულებაზე. ამიტომ მოვალეობა არის სუბიექტური სამართლის აუცილებელი გამოვლინების ფორმა, უფლება კი – მხოლოდ შესაძლებელი. ესე იგი, ობიექტური სამართალი ყოველთვის ანესებს მოვალეობას, უფლება კი შეიძლება არ დაანესოს.

ცხადია, აქ კელზენი მოვალეობის ან უფლების დროულობით პირველობაზე კი არ ლაპარაკობს, არამედ ლოგიკურ დამოკიდებულებაზე. მაგრამ მისი აზრი არ არის ჭეშმარიტი მისივე გამოსავალი წერტილების მიხედვით. მოვალეობის და უფლების დამოკიდებულების გარკვევისას სრულიად ზედმეტია უშუალობისა და შუალობის ცნებები, ანესებს რა მოვალეობას, ობიექტური

ნორმა ამ მოვალეობას განსაზღვრულ პუნქტს, განსაზღვრულ ცენტრს მიაკუთვნებს. უფლების დაფუძნებით წესდება სხვისი მოვალეობაც და მათ ლოგიკურ პრიმატზე კამათი დაემსგავსებოდა შუა საუკუნეების კამათს კვერცხსა და ქათამზე, რადგან მოვალეობა და უფლება კორელატიური ცნებებია და ერთმანეთის გარეშე ლოგიკურად ვერ მოიაზრებიან.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ კელზენს უფლება, ვიდრე ის სრულდება, პოტენციურ მდგომარეობაში მყოფად მიაჩნია, როცა მოვალეობა არ სრულდება, უფლებამოსილ პირს საბაბი ეძლევა სარჩელის მეშვეობით გამოიწვიოს ობიექტურ სამართალში ალტერნატიული შედეგები ანაზღაურების ან დასჯის სახით.

ასეთია უმთავრეს ხაზებში ის შესაძლებელი გადაწყვეტილებანი, რომლებიც მეცნიერული აზროვნების განვითარებამ მოგვცა უფლების ბუნების შესახებ.

1924 წელი.

## იურიდიული პირის პრობლემა

### I

ადამიანის პიროვნების თვითმიზნობა და უმაღლესი ღირებულება თანამედროვე ეთიკის ძირითადი პრინციპი, ამასთანავე ყოველივე კონკრეტულად არსებულის საზომი და შეფასების საშუალებაა. ეს დიადი იდეა წარმოადგენს ჩვენი სამართლებრივი შეგნების საფუძველს და კანონმდებლის უდიდესი მიღწევა იქნება, თუკი მას იურიდიულ ნორმებში გამოხატავს. სხვანაირად მოქცევა კანონმდებელს არც კი შეუძლია. ამიტომ თანამედროვე ეთიკის ძირითადი პრინციპი ამავე დროს სამოქალაქო სამართლის მეცნიერების განვითარების ახალი ტენდენციის გამომსახველად შეიძლება ჩაითვალოს.

აღნიშნულის გამო სამოქალაქო სამართალში განსაკუთრებულ სიმძაფრეს და მნიშვნელობას იძენს სამართლის სუბიექტის პრობლემა.

სამართლის სუბიექტი შეიძლება განიმარტოს, როგორც იურიდიული ურთიერთობის მონაწილე, რომელიც ნებასმეუფლის ან მოვალის როლში გვევლინება. სამართლის სუბიექტის ცნება, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს დიუვერნუა, ხელოვნურია; ის არსებულის იურიდიული გადამუშავებაა, კონკრეტული ცხოვრების მოთხოვნილებებით ნაკარნახევი.

პიროვნების კონსტიტუციური მნიშვნელობის აღიარება თანამედროვე იურისპრუდენციაში არა მარტო იმითაც გამოიხატა, რომ ადამიანს, ვითარცა სამართლის ფიზიკურ სუბიექტს – ერთადერთი ადგილი მიენიჭა. მისი მნიშვნელობის პროგრესულმა ზრდამ სხვა ფორმაშიაც იჩინა თავი. კულტურის ზრდით ვითარდება პიროვნება, იზრდება იმ მრავალფეროვანი მიზნების რიცხვიც, რომლებიც მისთვის აუცილებლად მისაღწევია. მაგრამ საქმე ისაა, რომ ბევრი ამ მიზანთაგანი ვერ მიიღწევა, ბევრი ამ თავისებურებათაგანი ვერ გამოიხატება, თუკი ყოველი ინდივიდი მხოლოდ საკუთარ ძალას დაეყრდნობა. ამიტომ საჭირო ხდება კავშირების და დანესებულებების დაარსება, ამას მოითხოვს პიროვნების მიერ საკუთარი მიზნების მიღწევის ინტერესი. სწორედ აქ, ამ კავშირებში

ისახება სამართლებრივი ურთიერთობის ახალი სუბიექტის პრობლემა, რომელიც ფიზიკური პირის კონცეფციამდე ვერ დაიყვანება. იურიდიული პირი ზოგადად შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც ფიზიკურ პირთა ისეთი კომპლექსი ან დანესებულება, რომელსაც სამართლის ერთი სუბიექტის თვისება მიეკუთვნება. ასეთი განმარტება სავსებით შეესაბამება ფორმალური ლოგიკის კანონებს და, ამასთანავე, მას მხარს დაუჭერენ იმ შეხედულებათა მომხრეებიც კი, რომლებიც იურიდიული პირის ბუნების გაგებაში ერთმანეთს უპირისპირდებიან.

იურიდიული პირის სამართლის სუბიექტად აღიარება, ერთის შეხედვით, თითქოს ეწინააღმდეგება იმ პრინციპს, რომლის თანახმადაც სამართლის სუბიექტი მხოლოდ ადამიანის პიროვნებაა. მაგრამ არსებითად, ეს ასე როდია. როგორც სამართლიანად აღნიშნავს სალეილი, იურიდიული პირი არის ინდივიდუალურ პიროვნებათა შემდგომი გაგრძელება და განვითარება, მათი ყველა თავისებურებათა გაშლის შემდგომი შესაძლებლობა, ანუ, უფრო ხატოვნად, იურიდიული პირი ფიზიკურ პირთა შემდგომი სამართლებრივი ემანაციაა.

უკვე აღვნიშნეთ, რომ თვით სამართლის სუბიექტის ცნება ხელოვნურობით ხასიათდება, ნაყოფია იურიდიული აბსტრაქციისა. მაგრამ ვიდრე ამ აბსტრაქციის სარჩული ფიზიკური, ხორციელად არსებული პირია, იურისპრუდენციაში ე.წ. გულუბრყვილო რეალიზმის მომხრენი დამშვიდებულნი არიან. მაგრამ, როდესაც სამართლის სუბიექტად გამოიკვეთება იურიდიული პირი, ე.ი. ერთს გონებრივ კონსტრუქციას მეორე გონებრივი კონსტრუქცია ემატება, საქმე თავისთავად იცვლება. მატერიალისტური თვალსაზრისი იურიდიულ პირში ხედავს არასარწმუნო, მერყევ დასაყრდენ ნერტილს, და აქ იბადება თეორიები, რომლებიც ცდილობენ შეარიგონ იურიდიული პირის კონკრეტულად არსებობის ფაქტი იმ თეორიულ ნანამძღვართან, რომლის მიხედვითაც მხოლოდ ფიზიკურ პირს შეუძლია სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი იყოს.

ამ თეორიებს ჩვენ ქვემოთ გავარჩევთ; ახლა კი განვიხილოთ მოსაზრებები, რომლებიც უარყოფენ იურიდიული პირის, როგორც სამართლის სუბიექტის ცნებას.

ასეთი შეხედულების ადრეული წარმომადგენელი გუსტავ შვარცია. იურიდიული პირის ირგვლივ ურთიერთსაწინააღმდეგო თეორიების შექმნის ფაქტი, ამბობს შვარცი, იმის მაჩვენებელია, რომ თვით სამართლის სუბიექტის ცნებაა ყალბი და არა ჭეშმარიტი; ის, რაც გარკვეულ ქონებრივ კომპლექსს იურიდიულ მთლიანობას ანიჭებს და სხვა კომპლექსებიდან განასხვავებს, არის არა სუბიექტი, რომელსაც მიეკუთვნება ქონება, არამედ ის იურიდიული მიზანი, რასაც ქონება ემსახურება. ქონება საზოგადოდ ემსახურება არა ვინმეს, არამედ რაიმეს ე.ი. გარკვეულ მიზანს. თუ ადამიანმა, რომლის მიზნებსაც ემსახურება ქონება, ის არაგონიერი მიზნით დახარჯა, მაშინ სახელმწიფო მას ქონებას ართმევს და გადასცემს სხვა მმართველს, რომელიც ქონებას კვლავ ობიექტურად გონიერ დანიშნულებას მისცემს. ამგვარად, ადამიანი არის არა სამართლის სუბიექტი, არამედ სახელმწიფო ზრუნვის ობიექტი (objekt der Staatlichen für Sorge), ერთხელ დაწესებული მიზნებისთვის გადადებული ქონების მმართველი. ამიტომ შვარცი წინადადებას იძლევა სამართლის სუბიექტის ტერმინის მაგიერ იურისპრუდენციაში შემოვიღოთ „სამართლებრივი მიზნის“ ცნება.

ასეთივე შეხედულებას უფრო ცხადი პრაქტიკული ფორმა და ძლიერი თეორიული დასაბუთება მისცა ფრანგმა მეცნიერმა ლეონ დიუგიმ. დიუგის ამოსავალი პოზიცია ასეთია: მთელი თანამედროვე სამართლებრივი ცხოვრება – ამბობს ის, შეიძლება ორი ძირითადი ცნებით ამოიწეროს: ეს არის სახელმწიფოს ძალაუფლების ცნება და ცალკეულ პირთა უფლებანი. ორივე ამ ცნებამ თავისი დრო მოჰყამა და ახლა ერთგვარ ანაქრონიზმს წარმოადგენს. ინდივიდზე გაბატონებული სახელმწიფოს ძალაუფლების იდეა ველარ ეთანხმება თანამედროვე ინდივიდუალისტურ მსოფლმხედველობას. ამიტომ, აცხადებს დიუგი, არსებობს სახელმწიფოს მიერ შემოქმედების ახალი ფორმა, რბილი, მფარველობითი, რომელიც გამოიხატება სოციალური ურთიერთობის დროს ბუნებრივად შექმნილ ობიექტურ ნორმაში, ერთის მხრივ, და დეცენტრალიზაციის, ანუ სინდიკალისტურ მისწრაფებებში, მეორე მხრივ. ასეთივე კვდომის მდგომარეობაშია კერძო პირთა უფლებანი. ავიღოთ მაგალითად, თავისუფლების პრინციპი; ის გულისხმობს, რომ

ყოველივემ უნდა შეასრულოს თავისი სოციალური ფუნქცია; პასიურობის, არაფრის კეთების უფლება არავის არ აქვს. სად არის აქ უფლება? რასაკვირველია, არსად. საკუთრებაც აგრეთვე არის არა უფლება, არამედ სოციალური ფუნქცია – ქონების პატრონს მრავალი მოვალეობა აკისრია და, თუ მან ისინი არ შეასრულა, სახელმწიფო უბიძგებს მესაკუთრეს ამ სოციალური ფუნქციის შესრულებისაკენ. მოკლედ, ყველგან, სადაც ჩვენ უნინ უფლებას ვხედავდით, ახლა მხოლოდ სოციალური ფუნქცია უნდა ვიგულისხმოთ.

დიუგისა და შვარცის შეხედულებები ერთმანეთისგან განსხვავდება იმიტომ, რომ პირველი უარყოფს უფლებას, მეორე კი სამართლის სუბიექტს, მაგრამ მათი მოძღვრების შედეგი ერთნაირია. დიუგი, უფლების უგულებელყოფით, უგულებელყოფს სუბიექტს, როგორც უფლების მატარებელს. შვარცი, როცა უარყოფს სუბიექტს, ამით, ცხადია, უგულებელყოფს უფლებასაც, რადგან ის სუბიექტის გარეშე, ლოგიკურად ვერ მოიაზრება.

ამგვარად, დიუგის და შვარცის მოძღვრებებს, ლოგიკურად მათთვის არასასურველი შედეგები მოყვა; გარდა ამისა, სუბიექტის უფლების უარყოფა დიუგის თავისთავად აიძულებს სიმძიმის ცენტრი სახელმწიფო ძალაუფლებაზე გადაიტანოს, რაც მის მოძღვრებაში ერთგვარ წინააღმდეგობას ქმნის.

ამ თეორიების ხარვეზი ამოსავალ პოზიციაშია, იმ ძირითად პრინციპში, რომელიც მათ, შეგნებულად თუ შეუგნებლად, საფუძვლად უდევთ: ეს არის პიროვნების სრული უარყოფის იდეა. დიუგი პირდაპირ აცხადებს: პიროვნება მიზანი კი არაა, მხოლოდ საშუალებაა, ის ერთ-ერთი ბორბალია დიდი მანქანისა, რომელსაც სოციალური ჰქვია. ასეთი თვალსაზრისი კი, როგორც ამას აღნიშნავს ე. ლასკი, ყოვლად მიუღებელია. არსებობს ორი ეთიკური წინამძღვარი სამართლის პრობლემების გადაჭრისთვის: პერსონალიზმი და ტრანსპერსონალიზმი. პერსონალიზმი აღიარებს, რომ ყოველი სამართლიანი წყობილების უმაღლესი დანიშნულება ისეთი სოციალური წესის შექმნაა, როცა მასში პიროვნების შემოქმედებითი თავისუფლება განხორციელების საუკეთესო პირობებს პოულობს. ტრანსპერსონალიზმის შეხედულებით სახელმწიფო და სამართალი თავიანთ ღირებულებას პიროვნებიდან კი არ იღებს, არა-

მედ სხვა, ზეინდივიდუალური ინსტანციისგან. პიროვნება საშუალებაა სხვა, უზენაესი მთლიანობის ინტერესების მისაღწევად. შვარცის და დიუგის თეორია თეორიულად სწორედ ტრანსპერსონალიზმს ემყარება. ამიტომ მათი შეხედულებების დარღვევა წმინდა ფილოსოფიურ სფეროში უნდა მოხდეს. მაშინ საკითხი პერსონალიზმის სასარგებლოდ გადაწყდება.

ვიდრე იურიდიული პირის ბუნების გამორკვევას შევუდგებოდეთ, განვიხილოთ მისი უმთავრესი სახეობანი, წარმოშობის თანმიმდევრობის მიხედვით.

## II

სხვადასხვა კავშირები და კორპორაციები როდი წარმოადგენენ ახალი სამართლებრივი წესის განვითარების შედეგს. კოლექტივიზმის მრავალი, ერთმანეთისაგან განსხვავებული, ფორმა უკვე კულტურის პირველ საფეხურებს ახასიათებს. ასეთია – გვარი, თემი, რომლის გარეშე წარმოუდგენელი იყო ინდივიდის არსებობა. მაგრამ ყველა ამ კავშირებს ახასიათებდა ერთი რამ – ინდივიდის მიმართ იძულებითი დამოკიდებულება. დაბადებით თუ მდგომარეობით ინდივიდი იყო კავშირის წევრი და ამ კავშირში ნებაყოფლობითი შესვლის ან მისგან გამოსვლის პრინციპი სრულიად უცხოა იმდროინდელი ჩვეულებისა და ტრადიციისთვის.

უკვე ძველ რომში, სადაც ასეთი იძულებითი ორგანიზაციები ბლომად არსებობდა სხვადასხვა თემებისა და გვარების სახით, სამოქალაქო გაცვლა–გამოცვლის და კულტურის ევოლუციის გამო წარმოიშვა პროგრესული მოძრაობა. ეს იმაში გამოიხატა, რომ ცდილობდნენ იძულებითი ორგანიზაციებიდან თავი დაეღწიათ და პიროვნება გამოეყვანათ თვითმოქმედების გზაზე, რაც იმდროინდელი განვითარებული გაცვლა–გამოცვლისთვის აუცილებელი იყო. იძულებითი კავშირების ნაცვლად კი ქმნიდნენ ნებაყოფლობით ასოციაციებს საერთო საქმიანობისათვის, ამ ასოციაციებს სულ სხვადასხვაგვარი ხასიათი და მიზნები ჰქონდა. უგვიანესმა რომაულმა სამართალმა იცის იურიდიული პირის სამი უმთავრესი სახეობა:

ა) Societas - ამხანაგობა. მისთვის დამახასიათებელია ის, რომ ერთი მიზნისთვის შეერთებული პირები არ ითქვიფებიან მათ მიერ



შექმნილ კავშირში; არ ქმნიან მათგან დამოუკიდებელ, კოლეგიის უფლებაუნარიანობას; ამხანაგებს შორის დადებული ხელშეკრულება ანესრიგებს მხოლოდ მათი ურთიერთდამოკიდებულების შინაგან მხარეს; მესამე პირების წინაშე ისინი ცალ-ცალკე გამოდიან მოსარჩელის, მოპასუხის და სხვათა როლში, აქ არ იქმნება ამხანაგობისაგან დამოუკიდებელი ცალკე იურიდიული ცენტრი და, ამასთანავე, ამხანაგობიდან თითოეული წევრის გამოსვლა დალუპვით არ ემუქრება *societas*-ს.

ბ) *Universitas*<sup>2</sup>. აქ კი ფიზიკურ პირთა შეკავშირება ქმნის მათგან დამოუკიდებელ იურიდიულ ცენტრს, რომელსაც თავისი ქონებაც გააჩნია. თვით კორპორაცია წევრებისაგან დამოუკიდებელი *persona*-ა<sup>3</sup>, საკუთარი უფლებაუნარიანობითაა აღჭურვილი. ის თავისი წარმომადგენლების მეშვეობით პასუხს აგებს სასამართლოში, დებს ხელშეკრულებებს. *Universitas*-გან რომელიმე წევრის გამოსვლა არამც თუ სპობს თვით კავშირს, არამედ ოდნავადაც კი არ არღვევს მის მთლიანობას.

გ) დანესებულება (*stiftung*)<sup>4</sup>. ადამიანისთვის აუცილებელი ამა თუ იმ მიზნის მიღწევა შეიძლება მის ძალ-ღონეს აღემატებოდეს. ამიტომ ამ მიზნებს გამოყოფენ გარკვეული ფიზიკური სუბიექტისგან, რათა მის სამსახურს უფრო მუდმივი ხასიათი მიეცეს. გამოიყოფა გარკვეული ქონება, დაინიშნება ორგანო მისი მიზნის შესაბამისად ექსპლოატაციისათვის (მაგალითად, საავადმყოფო). ამგვარად იქმნება ახალი იურიდიული ცენტრი, რომელსაც თავისი, ფიზიკური პირისაგან დამოუკიდებელი უფლებაუნარიანობა გააჩნია.

შუა საუკუნეებმა, სუსტი სამოქალაქო ბრუნვით და შედარებით სუსტი იურიდიული შემოქმედებით, არ იცის იურიდიულ პირთა ესოდენ დაწინაურებული ფორმები. ამ დროს, ერთი მხრივ, ფეოდალიზმის, მეორე მხრივ კი, ამქრობის უკიდურესი განვითარების ხანაში, კვლავ პირვანდელ ძალას პოულობს იძულებითი, მათი

---

<sup>2</sup> (ლათ.) მთლიანობა, ერთიანობა.

<sup>3</sup> (ლათ.) (აქ) პირი.

<sup>4</sup> (გერ.) დანესებულება, რომელიც უზრუნველყოფილია არაკომერციისათვის გამიზნული ქონებით.

წევრების ნების გარეშე წარმოშობილი კავშირებით ე.წ. *collegia necessaria*<sup>5</sup>; მაგალითად, სხვადასხვა წოდებრივი, სარწმუნოებრივი ჯგუფები. ისეთ კავშირებს კი, რომლებშიც პიროვნება თავისუფლად შედის, ე.წ. *collegia voluntaria*<sup>6</sup>-ს მეტად მცირე გასაქანი აქვს. ამ დროს ფართოდაა გავრცელებული იურიდიულ პირთა სამი სახეობა: 1) *collegia personalia*<sup>7</sup> კორპორაციული წყობით, 2) *collegia realia* - ქონების კომპლექსი და 3) *collegia mita*<sup>8</sup> - მათი შერეული ფორმა.

ახალი დრო, რომაული სახის ორგანიზაციების გარდა, ისეთ კავშირებსაც წარმოშობს, რომაული ფორმების ჩარჩოებში რომ ვეღარ თავსდება. მაგალითად ასეთია კავშირი, რომელიც ძველი თემის ნაშთია, მაგრამ საკუთრების სრულ გამოყოფამდე ვერ მისულა. ყოველ წევრს აქვს საკუთრების თავისი წილი, რომელთაგანაც შედგება მთელი ქონება. შესაძლებელია სხვების ხარჯზე ამ წილის ევენტუალური გადიდება. თვით კავშირს არ გააჩნია წევრებისაგან დამოუკიდებელი ქონება. წევრებს არ შეუძლიათ რაიმე გარკვეულ მოქმედების შესრულება, მაგალითად, თავის წილის გაყიდვა, თუ არ იქნა კავშირის თანხმობა. ახალი დროის ორგანიზაცია ვერ თავსდება რომაული *societas*-ის ფორმაში. ის მას ემსგავსება იმით, რომ ქონება აქაც და იქაც ეკუთვნის არა კავშირს, არამედ წევრებს, მაგრამ განსხვავებაც დიდია - ეს კუთვნილება არ არის უშუალოდ ინდივიდუალური, არამედ რაღაც მოდიფიკაციების მატარებელია, ამასთანავე აქ *societas*-ს საწინააღმდეგოდ, წევრის კავშირიდან გამოსვლა არ არღვევს თვით კავშირს. ასეთი ორგანიზაცია არ არის *universitas*. ჭეშმარიტად, ამ ერთობაში როგორც *universitas*-ში, კავშირი განაგრძობს არსებობას წევრების ცვალებადობის დამოუკიდებლად. აქაც, როგორც *universitas*-ში, კავშირს აქვს წევრებისგან დამოუკიდებელი მოქმედების უნარი, მაგრამ დანარჩენი ნიშნები ამ ორგანიზაციის და *universitas*-ის სრულებით არ ეთანხმებიან ურთიერთს. მაგალითად, აქ არ არის *universitas*-თვის კონსტიტუციური კორპორაციის და წევრების ქონების გამიჯვნა.

<sup>5</sup> (ლათ.) ძალაუნებური ამხანაგობა.

<sup>6</sup> (ლათ.) ნებაყოფლობითი ამხანაგობა.

<sup>7</sup> (ლათ.) პირადი ამხანაგობა.

<sup>8</sup> (ლათ.) შერეული ამხანაგობა.

ასეთმა და სხვა მრავალგვარმა თავისებურმა კავშირებმა, რომლებიც რომაელთა კონცეფციას ვერ ურიგდებიან და არსებულ კანონმდებლობისგან თავისებურ კვალიფიკაციას მოითხოვენ, საბაზი მისცეს მეცნიერთა ერთ ჯგუფს ე.წ. გერმანისტებს, ეს ორგანიზაციები მიეჩნიათ თავისებური გერმანული ეროვნული შემოქმედების ნაყოფად და მათ ნიადაგზე ახალი თეორიები აეგოთ.

ახალ დროისთვის კი განსაკუთრებით საინტერესო და ხაზგასასმელია ის, რომ ამ დროს ირღვევა ძველი, იძულებითი ხასიათის კავშირები. გაძლიერებული სახელმწიფო ართმევს მათ ყველა საზოგადო უფლებებს; თვითმოქმედებისაკენ მოწოდებული ინდივიდი კი კვლავ იბრუნებს ამ კავშირისგან თავის კერძო-უფლებრივ ფუნქციებს. ძველი თემები და სხვა კავშირები ან სრულებით ქრებიან, ან რჩებიან მეტად შეცვლილი ფორმით, ან თვისობრივად გარდაიქმნებიან. მაგრამ, ამ პროცესის პარალელურად, კულტურის წინსვლა ართულებს და ამრავალფეროვნებს განთავისუფლებული ინდივიდის მიდრეკილებებს. ამ იდეათა განხორციელებისთვის ინდივიდები, ამჯერად ნებაყოფლობით და თავისუფალი ინიციატივით, ადგენენ სხვადასხვა კავშირებს და ასოციაციებს. ასე ისახება ფართო ასოციაციური თავისუფალი მოძრაობა, რომელიც, რაც დრო გადის, სულ უფრო და ფართო ხასიათს იღებს. თანამედროვე ეპოქა და, საფიქრებელია მთელი ჩვენ წინ მდებარე საუკუნე სწორედ ასეთი თავისუფალი იურიდიული პირის საუკუნეა.

### III

ვიდრე თანამედროვე მოაზროვნეთა თვალსაზრისით იურიდიული პირის ბუნების შესწავლას შევუდგებოდეთ, საინტერესოა ვიცოდეთ, როგორ უყურებდა იურიდიული პირის პრობლემას რომი და შუა საუკუნეები.

ჩვენ უკვე განვიხილეთ იურიდიულ პირთა უმთავრესი სახეობანი, რომაელთა პრაქტიკულმა ცხოვრებამ რომ შეიმუშავა და მათმა გენიამ მკვეთრ იურიდიულ ფორმებში ჩამოასხა. გვრჩება დავუმატოთ შემდეგი: აზრთა შეჯახება თანამედროვე მოაზროვნებს შორის უმთავრესად არის იურიდიული პირის რეალობის საკითხის ირგვლივ. რომმა კი ეს საკითხი ძლიერ უბრალოდ და,

ამასთანავე, მარჯვედ დასძლია. რომელი იურისტებისთვის საკითხი სამოქალაქო უფლებაუნარიანობის და სამართლის სუბიექტად ყოფნის შესახებ დასმული იყო განყენებით ფიზიკური პირის სხვადასხვა საზოგადოებრივი მდგომარეობისგან, ასაკისა და ფიზიკური სიჯანსაღისაგან დამოუკიდებლად. ამიტომ სამოქალაქო უფლებაუნარიანობა და, მაშასადამე, სამართლის რეალური სუბიექტობა ურთიერთობათა სრულიად განსაკუთრებულ სფეროდ იყო მიჩნეული და ეს სფერო ერთიანად მისანდობი იყო როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური სუბიექტისათვის. საკითხის ასე დასმა რომის მთელი მაშინდელი ცივილიზაციით, გაცვლა-გამოცვლის მოცულობითა და ინტენსივობით იყო ნაკარნახევი.

რაც შეეხება იურიდიული პირის ქმედუნარიანობას, რომელი იურისტები აღიარებდნენ, რომ იურიდიულ პირს თავისი, დამოუკიდებელი ნება არ გააჩნია, მაგრამ ეკუთვნის ნების მქონე არსება. ამ არსების უნარი კი ემსახურება კოლეგიას. ამიტომ, თუ კოლეგია არ არის ქმედუნარიანი per se<sup>9</sup>; ის ასეთია - per serum<sup>10</sup>. მიუხედავად იმისა, რომ იურიდიულ პირს არ ახლავს ბუნებრივი ნება, ასეთს ქმნის არა უბრალოდ კავშირის წარმომადგენლობა ე.ი. გარედან მოსული ნებისყოფის უნარი, არამედ თვით კავშირის შემადგენლობაშივე შექმნილი იარაღი (ალფენი). მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ კლასიკოსები ასე ფართოდ ცნობდნენ კორპორაციის სამოქალაქო ქმედუნარიანობას - ისინი უარყოფდნენ მასში წევრებისაგან დამოუკიდებელ ნებას, რომლის ნიადაგზე შესაძლებელი იქნებოდა კავშირის გამონგევა სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობისაკენ.

შუა საუკუნეების დასაწყისში კარგა ხანს არ არსებობდა იურიდიული პირის რაიმე გააზრება. მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდის იურიდიული ცხოვრება სწორედ კავშირების სხვადასხვა ფორმებში იყო ჩამოსხმული, მხოლოდ რომის სამართლის რეცეპციამ აღძრა პირველად სურვილი იურიდიული პირის ბუნების შეგნებულად გაგებისა. მაგრამ გლოსატორების კვლევა-ძიება ვერ გასცდა წმინდა სქოლასტიკურ-კომენტატორულ მსჯელობას და მხოლოდ ბოლონის სკოლის აყვავების ხანაში, XIII ს.-ში, პირველად

<sup>9</sup> (ლათ.) როგორც ასეთი; თავისთავად.

<sup>10</sup> (ლათ.) (აქ) იძულებით; საბოლოოდ; მოგვიანებით.

დაისვა საკითხი იურიდიული პირის თეორიული ბუნების გააზრებისთვის. საკითხის ასე დასმის საბაზი იყო წმინდა პრაქტიკულ ნიდაგზე წამოჭრილი კითხვა - პასუხისმგებელია თუ არა იურიდიული პირი რაიმე სამართალდარღვევისათვის, მისი წევრებისაგან დამოუკიდებლად.

ამ პრობლემაზე ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული პასუხები გასცეს იმ დროის მოაზროვნეებმა: პაპმა ინოკენტი IV-მ და ლეგისტი ბარტოლუსმა.

ინოკენტი IV მთლიანად ეთანხმება კლასიკოსებს. მხოლოდ იურიდიული პირის რეალობის გარკვევისას მას ახალი, რომაელთათვის სრულიად უცხო მომენტი შეაქვს. იურიდიული პირი, ამბობს ის, *nomen intellectual* გონების კონსტრუქციაა, ის ფორმალური უფლებაუნარიანობის მქონეა, მაგრამ არ გააჩნია საკუთარი ნება მისთვის დასახული ცივილური მიზნების მიღმა. იურიდიული პირის ქმედუნარიანობა გამოიხატება მისი წარმომადგენლის მოქმედებაში; ასეთია მისი წევრები და ორგანოები. შუა საუკუნეები სვამს რომაელებისთვის სრულიად უცხო კითხვას: აქვს თუ არა იურიდიულ პირს სული? ინოკენტი IV პასუხობს: არ აქვს, მაშასადამე ის არის *persona representata ficta*<sup>11</sup>.

ინოკენტი IV-ის მიერ იურიდიული პირის ფიქციად ცნობა ბუნებრივი იყო რომაელთა აბსტრაქტული უფლებაუნარიანობის შუა საუკუნეების მსოფლმხედველობასთან შესარიგებლად.

სულ სხვანაირად წყვეტს საკითხს ლეგისტი ბარტოლუსი (XIV ს.). რომაული თვალსაზრისი არ იყო შუა საუკუნეების სინამდვილის შესაფერისი. ამიტომ ძიების სრულიად ახალი გზები დაისახა. ბარტოლუსისთვის, როგორც ყველა იმდროინდელი მოაზროვნისათვის, ჭეშმარიტება იყო, რომ მთელი კაცობრიობა არის ორგანული მთლიანობა. ამ თეოლოგიურ წანამძღვარს დაემატა ის, რომ ბარტოლუსმა კორპორაციის ცნებაში შეიტანა მრავალი ახალი, შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი კავშირები. ეს კავშირები იმთავითვე წარმოშობილი იყო სახელმწიფოს მიერ მათი კრეაციის გარეშე. იურიდიული პირის საკუთრება აქ არ იყო წევრების საკუთრება, მაგრამ წევრებს მასზე მაინც ერთგვარი პრეტენზიები ჰქონდათ. რადგან კავშირის ქონებით სარგებლობდნენ, ამიტომ

---

<sup>11</sup> (ლათ.) წარმოდგენილი პირი, მოსაჩვენებელი.

კავშირის ვალდებულებებზეც პასუხს აგებდნენ. მაგრამ ყველაზე უფრო დამახასიათებელი შუა საუკუნეთა კავშირისთვის ის იყო, რომ მის შინაგან ცხოვრებას განსაზღვრავდა თვით კავშირის იძულებითი ავტორიტეტი - *superiarietas*<sup>12</sup>. ადამიანი კი მას მთლიანად მიეკუთვნებოდა, ის მხოლოდ *multa membra unius corporis*<sup>13</sup> იყო. ასეთ მთლიან, ორგანულ კავშირში არის სული, მაშასადამე, შესაძლებელია თვით კორპორაციის ბოროტი ქმედება, რომელიც შეიძლება შესრულდეს განკარგულებით ან წევრების ქმედებით. მაშასადამე, იურიდიული პირი ისევე პასუხისმგებელია დანაშაულზე, როგორც ფიზიკური პირი — დაასკვნის ბარტოლუსი.

იურიდიული პირის პრობლემა თანამედროვე სამოქალაქო სამართლის მეცნიერების ყველაზე საკამათო პუნქტია. მის ირგვლივ წარმოიშვა მრავალი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული თეორია. თითქმის ყველა მეცნიერი - იურისტი ამ პრობლემას თავისებურად წყვეტს. აზრთა ასეთ შეუთანხმებლობას იწვევს იურიდიული პირის უფლებაუნარიანობის, წარმოშობის პირობების, ქმედუნარიანობის და პასუხისმგებლობის ცნებები. მაგრამ შეხედულებათა შეუთანხმებლობა განსაკუთრებით გამოსჭვივის იურიდიული პირისათვის ყველაზე უფრო მტკივნეულ, მისი რეალობის ბუნების საკითხში. დანარჩენი ცნებები კი ამ პრობლემის გადანყვეტის ირგვლივ და მის შესაბამისად წყდება.

ჩვეულებრივად, მიღებულია იურიდიული პირის ირგვლივ შექმნილ შეხედულებათა ორ დიდ ნაწილად დაყოფა: 1) თეორიები, რომლებიც არ ცნობენ იურიდიული პირის რეალურ არსებობას. 2) თეორიები, რომლებიც ასეთს ცნობენ. მაგრამ ეს კლასიფიკაცია არ არის ზუსტი და ღრმა. აზრთა ასეთი აღრევის საფუძველი უფრო შორს, მოაზროვნე იურისტთა, ასე ვთქვათ, ფსიქოლოგიურ ამოსავალ წერტილებშია.

როდესაც თეორეტიკოსები იურიდიული პირის რეალობაზე ლაპარაკობენ, მათ რეალობის შინაარსი სულ სხვადასხვაგვარად ესმით. თუ კლასიფიკაციის საფუძვლად ამ სხვადასხვაგვარად გაგებულ „რეალობის“ ცნებას ავიღებთ, ჩვენ მივიღებთ იურიდიული პირის ბუნებისათვის შექმნილ თეორიათა ორ დიდ ჯგუფს: თეორიები, რომელთაც რეალობა ესმით, როგორც წმინდა ფიზიკური,

<sup>12</sup> (ლათ.) (აქ) აღმატებული

<sup>13</sup> (ლათ.) (აქ) მრავალი ნაწილი მთლიანი სხეულისა.

ნივთიერი, კონკრეტული ყოფა და თეორიები, რომელთაც „რეალობა“ გაგებელი აქვთ არა ასე ხელშესახებად, არამედ უფრო ინტელექტუალური ან ფსიქოლოგიური მნიშვნელობით.

#### IV

იურიდიული პირის რეალობის პრობლემის ასეთი „მატერიალისტური“, ან უფრო სწორად, „გულუბრყვილო რეალისტური“ დაყენება დამახასიათებელია ორი ჯგუფისთვის, რომლებიც საკითხის გადწყვეტაში ერთმანეთის მოწინააღმდეგეებად ითვლებიან. ესაა ე.წ. რომანისტები და გერმანისტები. რომანისტები ზოგადად იღებენ რომაელ იურისტთა შეხედულებას იურიდიული პირის შესახებ, ოღონდ მასში შეაქვთ ფიქციის ელემენტი, რომელიც უცხო იყო რომაული აზროვნებისათვის. გერმანისტები ცდილობენ ახალი თეორია შექმნან გერმანული ეროვნული იურიდიული შემოქმედების საფუძველზე. ორივე შეხედულების ამოსავალი წერტილი ერთი და იგივეა. სამართლის სუბიექტი, ორივეს აზრით, ნივთიერი, ხორციელად არსებული უნდა იყოს. მაგრამ საერთო ამოსავალი წერტილიდან ეს თეორიები მიდიან სანინაალმდეგო შედეგებამდე. რადგან იურიდიული პირი ასეთი ხორციელი რეალობის მატარებელი არ არის, ამბობენ რომანისტები, ამიტომ იქ, სადაც იურიდიულ პირთან გვაქვს საქმე, უფლების ჭეშმარიტი მატარებლები ფიზიკური პირებია. იურიდიული პირი კი მხოლოდ მოჩვენება და ფიქციაა. რადგან იურიდიული პირი კონკრეტული ნების მქონე ფიზიკურ პირთა კავშირია, ამბობენ გერმანისტები, ის კერძო ნების ნაწილაკებისაგან შემდგარი სოციალური ორგანიზმია, ისეთივე კონკრეტული და ნივთიერი, როგორც ფიზიკური პირი. გავარჩიოთ ორივე მიმართულების წარმომადგენელთა ძირითადი დებულებები.

ა) **რომანისტები.** სავინიმ პირველად განაახლა იურიდიული პირის რომაული გაგება და მასში ფიქციის მომენტი აღიარა. მის შეხედულებათა შემდგომი განმგრძობი რ. იერიხგია. ეძებს რა სამართლის ყოველ სუბიექტში რეალურ, ხელშესახებ არსს, ის ველარ ჰპოვებს ასეთს იურიდიულ პირში. ამიტომ იურიდიული პირი მხოლოდ გონების კონცეფციაა. ის არის ფიქცია, ე.ი. პირობითი კონსტრუქცია, პრაქტიკული სინამდვილისთვის შექმნილი. უფლებათა ნამდვილი მატარებლები ე.ი. სამართლის ჭეშმარიტი სუბიექტები აქ

ფიზიკური პირები, კოლეგიის წევრები (თუ საქმე კორპორაციათან გვაქვს) ან დესტინატარებია, ე.ი. ისინი, ვისაც მიეკუთვნება სამართლის მიერ უზრუნველყოფილი სიკეთე, თუ ჩვენს წინაშე დანებსებულებაა. რაც შეეხება იურიდიული პირის მოქმედების უნარს, „თავისი ბუნებით იურიდიული პირები არ არიან ქმედუნარიანობის მქონენი“ (სავინი); ცხადია, ასეთი „უსუბიექტო უფლების“ ცნება ძლიერ ეწინააღმდეგება ჩვენს სამართლებრივ ფსიქიკას. პეტრაჟიციკი მართალია, როდესაც ამბობს, რომ „ისეთი მოვალეობა, სადაც ვალდებული არავინაა, მოვალეობა არ არის. ისეთი უფლება, რომლის მეუფლე არავინაა უფლება არ არის“.

ასეთია ის თეორიები, რომლებიც სამართლის სუბიექტის ნივთიერი ყოფიდან გამომდინარეობენ და თავისებური ლოგიკური სწორხაზოვანობით მიდიან იურიდიული პირის რეალობის სრულ უარყოფამდე.

**ბ) გერმანისტები:** გერმანისტებისთვის დამახასიათებელია ორი ძირითადი ტენდენცია: 1) კერძო და საჯარო სამართალს შორის მიჯნის მოსპობის მისწრაფება, 2) სურვილი, რომაულ იურიდიულ პირთა ინსტიტუტის მაგიერ წმინდა გერმანული თავისებური ინსტიტუტის შექმნისა.

გერმანისტების ყველაზე ადრეული წარმომადგენელი ბეზელერია. უკვე ძველი გერმანული თემის (Gemeinde) ცნებაში, ბეზელერის შეხედულებით, ჩასახულია ერთგვარი გადახრა რომაული იურიდიული პირის ცნებისაგან, ხოლო ე.წ. Genossenschaften<sup>14</sup> ხომ სრულებით თავისებურ, რომაულ კონსტრუქციებისგან განსხვავებულ ორგანიზაციებს წარმოადგენენ. აქ წევრების უფლება ორგანულად ჩაენება მთლიანი კავშირის უფლებას. ქონების მფლობელობის მიმართაც მასში მოცემულია რალაც საშუალო რომაულ universitas-ს და societas-ს შორის. გერმანისტების მეთაური ო. გირკეც თავის დასაყრდენ წერტილად გერმანულ ეროვნულ მთლიანობას და თავისებურებას აღიარებს. ამიტომ ის გერმანული ეროვნული შემოქმედების უშუალო ამოცანად არაგერმანულ, რომაულ შეგნებაში გამომუშავებული თეორიების განდევნას მიიჩნევს. გირკეც არსებითად ნივთიერ „გულუბრყვილო ნიადაგზე“ დგას: სამართლის სუბიექტი ხორციელად არსებული, კონკრეტული

---

<sup>14</sup> (გერ.) ამხანაგობა.



სუბიექტი უნდა იყოს. მაგრამ, თუ რომაულ ნიადაგზე მდგომმა მეცნიერებმა, ამავე ამოსავალი წერტილიდან იურიდიული პირი უარყვეს და იგი ფიქციად ან „არარად“ გამოაცხადეს, გირკეს მორიგი მიზანია, დაამტკიცოს და დაასაბუთოს იურიდიულ პირთა სწორედ ასეთი კონკრეტული, ფიზიკური არსებობა. ის პრაქტიკული მასალა, რომლითაც გირკე ხელმძღვანელობს კვლევა-ძიების დროს, არის არა რომაულ იურიდიულ პირთა ტიპები, არამედ გერმანული Genossenschaften. მათი თავისებურება გამოიხატება ამ კორპორაციებში კერძო და საჯარო სამართალს შორის მიჯნის ერთგვარ ნაშლაში. მათ ავტონომიურ წყობაში და მეტადრე ამ კორპორაციების თავისუფლად წარმოშობაში, სახელმწიფოს მიერ კრეაციის აქტის გარეშე. ასეთი Genossenschaften ისეთივე რეალური, მთლიანი ნების მატარებელია, როგორც ადამიანი. „ჩვენი დროის ღირსად, დასაბუთებულად და ჭეშმარიტად პროგრესულად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ის მსოფლმხედველობა - ამბობს გირკე, (Deutsches Privatrecht გვ. 468), რომელიც გერმანულმა სულმა მრავალსაუკუნოებრივ ბრძოლაში გამოიმუშავა. ინდივიდუალზე მაღლა არსებობას განაგრძობენ სხვადასხვა წესის და რანგის კავშირები. ისინი ისტორიული სინამდვილის რეალური არსებანი არიან. ეს კავშირები იგივე სოციალური ორგანიზმებია და ყოველი მათგანი ერთი მთელი, საზოგადო ცხოვრების მონაწილეა“. ამგვარად, იურიდიულ პირს აქ ეძლევა სრული რეალობა და უფლებაუნარიანობა.

ვნახოთ, როგორ წყვეტს გირკე იურიდიული პირის ქმედუნარიანობის საკითხს. მისი შეხედულებით, იურიდიულ პირს ახასიათებს ცალკე წევრების ნებისყოფათა ნაწილაკებისაგან შემდგარი რეალური ნება. ცხადია, ასეთი ნებით აღჭურვილ იურიდიულ პირს აქვს როგორც ფართო მოქმედების უნარი, ისე პასუხისმგებლობის ვალდებულებაც.

გერმანისტებისგან განცალკევებით დგას, მაგრამ საკითხის გადაწყვეტას იზიარებს ცნობილი პანდექტიისტი დერნბურგი; ის გარეგან გრძნობათა დამოწმებასაც კი მიმართავს იურიდიულ პირთა რეალური არსებობის დასამტკიცებლად. „იურიდიული პირის წარმოდგენა ფიქცია როდია, არამედ არსებული მოვლენის შესაბამისი ცნებაა. მაგალითად, თემის ცნება დაკავშირებულია მი-

ნასთან და ადამიანებთან, რომლებიც გარკვეულ ურთიერთდამოკიდებულებაში არიან. მაშასადამე, ეს წარმოდგენა რეალობას შეესაბამება.

V

**თანამედროვე ფრანგ მიცნიერთა შინაფულებანი. მარსელ პლანიოლის თეორია იურიდიული პირის შესახებ.** პლანიოლის თეორიული კონცეფციის თავისებურება უკვე იმაში გამოიხატება, რომ აქ მას *genus*<sup>15</sup> უახლოეს გვარად სამართლის სუბიექტი არ აქვს აღებული. ჩვეულებრივად სამართლის თეორეტიკოსები სუბიექტის ცნებაში ასხვავებენ სამართლის ფიზიკურ და არა ფიზიკურ ე.ი. წმინდა იურიდიულ სუბიექტს. მეორე საკითხია, როდესაც თეორეტიკოსები უარყოფენ თვით სამართლის სუბიექტის ან უფლების ცნებას, როგორც მაგალითად, შვარცი, დიუგი და სხვები. აქ უკვე იურიდიულ პირზე აღარც არის საუბარი, რადგან თვით სამართლის სუბიექტიც ყალბ, არასაჭირო კონსტრუქციად არის მიჩნეული. მესამე საკითხია, როდესაც თეორეტიკოსები სათანადო ადგილს ანიჭებენ იურიდიულ ფენომენტა და ურთიერთობათა სისტემაში, მაგრამ თანახმა არ არიან სწორედ იურიდიულ პირს მიანერონ სამართლის სუბიექტისათვის საჭირო ატრიბუტები. ასეთ შემთხვევაში იურიდიული პირის შესახებ შეხედულებები გამოთქმულია აზრთა სულ სხვა კონტექსტში და არა სამართლის სუბიექტის შესახებ განყოფილებაში. სწორედ ამგვარ ხასიათს ატარებს პლანიოლის კონცეფცია. ამთავითვე უნდა დავიმახსოვროთ, რომ პლანიოლის აზრით, შესაძლებელია მხოლოდ სამართლის ერთადერთი სუბიექტები არსებობდნენ - კონკრეტული, ფიზიკური პირები, სხვა სუბიექტები სამართალმა არ იცის. ეს წინასწარი ცნობა ალბათ ბევრს აფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს იერინგის თეორიის ერთ-ერთ მოდიფიკაციასთან. თვითონ პლანიოლიც ამბობს, რომ მისი თეორია სავსებით ეთანხმება იერინგის შეხედულებებს: ორივენი მიიჩნევენ, რომ სამართლის ქეშმარიტი დესტინატარებიც მხოლოდ კერძო პირები არიან და ეს იმიტომ, რომ „იურიდიულ პირს არ აქვს არც ინტერესი, არც მიზანი“, განმარტავს

---

<sup>15</sup> ლათ. (აქ) გვარი.

პლანიოლი. „იერინგს სურს თქვას, რომ იურიდიული პირი არ არის სამართლის ქვეშეშედი სუბიექტი. ის მხოლოდ მართვის პრაქტიკითაა ნაკარნახევი, და მატერიალური ქონება, რომელიც ამ იურიდიულ კონსტრუქციას ეკუთვნის, აცხოველებს ამ ფიქციას. ეს ქონება ეკუთვნის რეალურ პირებს, იურიდიული პირი კი, ასე ვთქვათ, მათი განვრცობილი გამოხატულებაა, პრაქტიკული ცხოვრებისთვის ხელსაყრელი ფორმულაა“. მაგრამ ჯერ ერთი, უნდა ითქვას, რომ იერინგი არსად არ ლაპარაკობს ქონებაზე, დოვლათზე, საკუთრებაზე, რომელიც არის ქვეშეშედიად ხორციელი, შუაგული, საორიენტაციო წერტილი და რომლის გასწვრივაც შენდება იურიდიული პირის ფიქცია. ეს მხოლოდ პლანიოლის აზრია და არა იერინგისა. შემდეგ, თუ იერინგი უარყოფს იურიდიულ პირს, როგორც სამართლის სუბიექტს, ეს იმიტომ, რომ ასეთი ხელოვნური კონსტრუქციისთვის ვერ მიუწერია ვერც რეალური ინტერესი, ვერც კონკრეტული მიზანი. მართალია, იურიდიულ პირს არა აქვს ფსიქოლოგიური ნებისყოფა, რომელიც მხოლოდ ადამიანს ახასიათებს და რომელიც გერმანულ Willenstheorie-ს<sup>16</sup> უფლების არსებით ელემენტად მიაჩნდა. ამ თეორიის მომხრეების შეხედულებით, გადადის რა ეს რეალური ნებისყოფა იურიდიულ ნიდაგზე, იღებს რა კანონის სანქციას, ის უფლებაუნარიანობად გადაიქცევა. მაგრამ იერინგი თვითონ ილაშქრებდა ასეთ შეხედულების წინააღმდეგ. ბავშვებს და შეშლილებს, ამბობდა ის, არ აქვთ ნებისყოფა, მაგრამ ისინი სამართლის სუბიექტებად ითვლებიან, ეს იმიტომ, რომ მათ აქვთ ინტერესები, რომლებიც დაცული უნდა იქნენ. აქედან კი იერინგი დაასკვნის, თუ სამართალი არ არსებობს დასაცავი ინდივიდუალური ინტერესის გარეშე, ადამიანი კი არის ერთადერთი მისი მატარებელი, მაშინ იურიდიული პირის ნება-უფლებანიც რეალურად ეკუთვნის მხოლოდ მათ, ვინც არიან დესტინატარები ე.ი. წევრები იურიდიული პირისა. აქამდე შეიძლებოდა პლანიოლის და იერინგის თეორიების ანალოგიაზე ლაპარაკი. მაგრამ ამის შემდეგ საქმე რთულდება: იერინგი არ არის ისე რადიკალური, როგორც ფრანგი მეცნიერი; ის აღიარებს, რომ იურიდიული პირის იდეას ტექნიკური სარგებლიანობა მოაქვს. აქ ის

---

<sup>16</sup> (გერ.) ნების თეორია.

აუცილებლად არის, „Hinter dem Aftersubjekt steht das Wahres“<sup>17</sup>, მაგრამ ეს Aftersubjekt ტექნიკურად აუცილებელი საშუალებაა იურიდიული ფენომენის გამოსახატავად. ის აუცილებელია სამართლის სფეროში, როგორც ტექნიკური გამოთქმა. ეს არის მხოლოდ დაახლოება, სიმბოლო მატერიალური რეალობისა“. არსებობს მეცნიერთა ჯგუფი, რომელიც იერიზის აზრს ავითარებს - ერთი მხრივ აღიარებს, რომ იურიდიულ პირს აქვს ასეთი ინტერესების გარკვეული ცენტრი, მიზანთა კომპლექსი და ამ ცენტრის ირგვლივ ხდება მისი რეალობის აღიარება. და თუ იერიზმა არ მიაწერა მას ინტერესი და მიზანი, ეს იმიტომ, რომ ის არსებითად ისევე Willenstheorie-ს ნიადაგზე იდგა ე.ი. ამ შემთხვევაში აღიარებდა, რომ მხოლოდ კონკრეტულ ნებას ახასიათებს მიზანი და ინტერესი. მეორე მხრივ, მეცნიერთა ეს ჯგუფი აღიარებს, რომ მთელი იურიდიული რეალობა არსებითად After — რეალობაა და ამიტომ იურიდიული პირის კონცეფცია არა მარტო ზედმეტია, როგორც ამას პლანიოლი ფიქრობს, არამედ იურიდიული და სოციალური აუცილებლობით არის ნაკარნახევი. იურიდიული რეალობის ბუნებას ჩვენ შემდეგ დავუბრუნდებით, ახლა კი — განვიხილეთ რა პლანიოლის თეორიის დამოკიდებულება სხვა, დაპირისპირებულ თუ ანალოგიურ შეხედულებებთან, გადავიდეთ ამ თეორიის უშუალო ანალიზზე.

პლანიოლის აზრთა წყობის ამოსავალი წერტილი და საფუძველი არის საკუთრების სხვადასხვა ფორმების ანალიზი და ურთიერთგამიჯვნა. ჯერ კიდევ ბარტოლუსმა განაცხადა, რომ „ჩვენ შეგვიძლია სამგვარად ვიყოთ მინდვრის ან ჯოგის მესაკუთრეები: ინდივიდუალურად, ანუ როცა ყოველი არის ცალკე ნაწილის მესაკუთრე; განუყოფლად, ანუ როცა თითოეულს აქვს საკუთრებაში მინდვრის ან ჯოგის გამოუყოფელი ნაწილი და კოლექტიურად, ანუ როცა მესაკუთრენი ვართ ჩვენ ყველანი, განხილულნი ისე, თითქოს ერთი არსება ვიყოთ“. პლანიოლიც საკუთრების ამ სამი სხვადასხვა სახეობის დაპირისპირების ნიადაგზე დგას. ან, უფრო სწორად, განუყოფელი საკუთრება, რომლის საფუძველი მაინც ცალკე ნაწილების ავტონომიაა, ინდივიდუალურ საკუთრებასთან დაახლოვებულად მიაჩნია; აქაც ყოველ ნაწილს, ნივთიერად სხვებთან შერეულს, ჰყავს თავისი ცალკე მესაკუთრე,

<sup>17</sup> (გერ.) ქვესუბიექტის უკან დგას ნამდვილი.

ეს მესაკუთრე სხვებისაგან დამოუკიდებელია და მას შეუძლია, როგორც სურს, ისე მოიხმაროს თავისი ნაწილი. ასე რომ, განუყოფელი საკუთრება თითქოს იმანენტურად მიისწრაფვის დამოუკიდებლობისაკენ, გაყოფისაკენ. სულ სხვაა კოლექტიური საკუთრება. ეს საკუთრების თავისებური მდგომარეობაა; საინტერესოა ვკითხოთ პლანიოლის, - რაში მდგომარეობს თავისებურება ამ კოლექტიურ საკუთრებისა? და აი აქ, მნიშვნელოვანი რამ ირკვევა — ორი პირობა დაახასიათებს კოლექტიურ საკუთრებას; უფრო მეტი ჭეშმარიტებისათვის მოვიყვანო ტექსტს: „კოლექტიურ საკუთრებას თვითონ, თავის თავშივე აქვს დაბოლოება, მიზანი და ის ეფუძნება იმ პირთა აუცილებელ შეჯგუფებას, რომელთაც ეს საკუთრება ეკუთვნის“ (გვ. 946). გავარჩიოთ ორივე პირობა კოლექტიურ საკუთრების არსებობისა. საკუთრებას ახასიათებს არა მის გარეშე მდგარი, მაგალითად, როგორც ბრინჯის მიზნობრივ ქონებას, არამედ მასშივე სუფივი, ასე ვთქვათ, იმანენტური მიზანი, საზრისი და დაბოლოება. შესაძლებელია ასეთი რამ? - ცხადია, არა. ყოველგვარ მატერიალურ ნივთთა კომპლექსი ინერტული, პასიური რამ არის თავისთავად. რომელიმე იურიდიული ინსტიტუტის სახელწოდებით აღბეჭდილი, ვთქვათ, საკუთრებად მონათლული — ის მაინც არ იცვლის თავის ბუნებას. შესაძლებელია მთელის მოცულობით აღებული ეს ქონება მოხმარდეს რაიმე გარეშე, კანონის სანქციით ნაკარნახევ მიზანს (ბრინჯი) — ეს საგანთა ლოგიკას არ ეწინააღმდეგება. მაგრამ როდესაც ჩვენ მას შიგნივ ვასულიერებთ, იმანენტურ საზრისს მივანერთ, ეს უდიდესი და სრულებით ზედმეტი აბსტრაქცია და ფიქციაა. ბევრად უფრო მარტივი იქნებოდა გველიარებინა, რომ აქ გარკვეული მიზნების, ინტერესების კომპლექსი არსებობს, რომელთაც სეპარატული და ავტონომიური ხასიათის გამო დამოუკიდებელ ნებაუფლებს მინერა ესაჭიროება. საკუთრება, ქონება კი გამოიყენება ამ ინტერესების მიხედვით. მეორე პირობა კოლექტიური საკუთრებისა უფრო სავალალოა თეორიისთვის. კოლექტიური საკუთრების თავისებურება იმით აიხსნება, რომ მას საფუძვლად უდევს იმ პირთა აუცილებელი შეჯგუფება, რომელთაც ეს საკუთრება ეკუთვნის. აქ პლანიოლი დიდის წინდახედულებით უხვევს გვერდს ამ პირობის შემდგომ დეტალიზაციას. როგორი ხასიათის, როგორი ბუნების უნდა იყოს კოლექტიურ მესაკუთრეთა

ეს აუცილებელი შეჯგუფება? რა საზღვრამდე უნდა მიდიოდეს მათი კონცენტრაცია და გაერთიანება და როგორი იურიდიული შედეგი ექნება მას? - ამაზე არას გვიპასუხებს, მაგრამ ისიც საგულისხმოა, რომ პირთა აუცილებელი შეჯგუფების გარეშე საკუთრება უაზროა და წარმოუდგენელი. ცხადია, გამოდის რა საკუთრების სახეობათა განსხვავებისგან, პლანიოლი შინაგანი აუცილებლობით მესაკუთრე პირთა აუცილებელ შეჯგუფებამდე მიდის ე.ი. საკუთრების უფლების მატარებელ სუბიექტთა თავისებურ კონსტრუქციამდე. შემდეგ თითქოს ცდილობს სიმძიმის ცენტრი კვლავ საკუთრების ბუნების სხვადასხვაობაზე გადაიტანოს. მესაკუთრეთა თავისებური კონცენტრაცია კი მხოლოდ ფორმად აღიაროს, რომელიც აუცილებელია საგანთა დიდი რიცხვისთვის, რათა ამ საგნებმა ადამიანებს გაუწიოს ყველა ის სამსახური, რომლის უნარიც მათ აქვთ. საბოლოოდ, პლანიოლი კიდევ ხაზს უსვამს ინდივიდუალურ და კოლექტიურ საკუთრებათა სხვაობას — კოლექტიური საკუთრება იმორჩილებს, ჩაგრავს ინდივიდუალურ ნაწილთა ავტონომიას, არსებითად ეს ნაწილები არც არსებობენ. არის მხოლოდ საგნის საერთო ხმარება, მისი გამოყენება. მაგრამ აქაც უნდა ითქვას შემდეგი: 1) საკუთრებითი ნაწილების ეს გაერთიანება, კონცენტრაცია გულისხმობს და ემყარება მესაკუთრეთა გაერთიანებას, „გაერთპიროვნებას“. ე.ი. სამართლის ერთ სუბიექტად ქცევას. 2) ინდივიდუალურ და კოლექტიურ საკუთრებათა ასევე რადიკალური დაპირისპირება (ამ სიტყვებს მოცემულ შემთხვევაში პლანიოლის მიერ მიკუთვნებული აზრით ვხმარობთ) შესაძლებელია მხოლოდ ერთ საფუძველზე ნივთიერი ქონების ნაწილაკების მეტი თუ ნაკლები კავშირის მიხედვით. რაც უფრო მჭიდროა კავშირი, მით უფრო ვუახლოვდებით კოლექტიურ საკუთრებას. მაგრამ თუ ამ საფუძველს გავცდებით და სამართლის სუბიექტის პლატფორმაზე დავდგებით, აქ კოლექტიურ და ინდივიდუალურ საკუთრებათა შორის რადიკალური დაპირისპირება რბილდება, მკრთალდება და კოლექტიური საკუთრება აღარ არის ის ცხადად გამოკვეთილი ფენომენი, რომელსაც ძალუძს იურიდიული პირის ინსტიტუტის მაგივრობა გასწიოს. იურიდიული პირის განკარგულების ქვეშ მყოფი ეს საკუთრება უფრო ფართო მოცულობისაა. თურმე ისევე იყიდება, გაიყიდება, გაიჩუქება, მემკვიდრეობით გადადის, როგორც ინდივიდუალური საკუთრება.

ჩვენ საკმაოდ ვისაუბრეთ პლანიოლის თეორიის ქვაკუთხედზე - კოლექტიური საკუთრების ცნებაზე. ახლა შეგვიძლია განვიხილოთ, როგორ და რა სახით სწევს ის იურიდიული პირის მაგივრობას. როგორ ხდება, რომ ისეთი ძველი, დიდი და საყოველთაო ფენომენი, როგორც კოლექტიური საკუთრებაა, შეუმჩნეველი დარჩა თანამედროვე იურისპრუდენციაში? - კითხულობს პლანიოლი. ეს იმიტომ, რომ კოლექტიური საკუთრების არსებობა იჩრდილებოდა, დაფარული იყო ჩვენს თვალთაგან ფიქტიურ პირთა არსებობით. ამ პირებს კი, გარკვეულ ფარგლებში პიროვნების ყველა ატრიბუტებს მიაკუთვნებენ ხოლმე, მათ თვლიან მესაკუთრეებად, კრედიტორებად, დებიტორებად, მათთან დებენ ხელშეკრულებებს, აწარმოებენ სასამართლო პროცესს, ისე, როგორც რეალურ, ჭეშმარიტ პირებთან. კოლექტიურ საკუთრებას კი მიაკუთვნებენ ამ ფიქტიურ პირებს, ყოველი მათგანი ითვლება ქონების გარკვეული მასის ინდივიდუალურ მესაკუთრედ. ასე გამოდის, თითქოს კოლექტიური საკუთრება ეს იგივე ინდივიდუალური საკუთრებაა, ფიქტიური პირის ხელმყოფი კონცეფცია, რამდენადაც მცდარი, იმდენად უსარგებლო.

## VI

საკუთარი მოსაზრებების განვითარების შემდეგ პლანიოლი კრიტიკულად აანალიზებს იმ შეხედულებებს, რომლებიც იურიდიულ პირს სამართლის ჭეშმარიტ სუბიექტად თვლის. „ფიქტიური პირი — ამბობს ის — არ წარმოადგენს სუბიექტთა კლასის შემდგომ გაფართოებას. ეს არის მხოლოდ ქონების მფლობელობის საშუალება, საკუთრების ფორმა“. არსებულმა თეორიებმა კი რეალობას გვერდი აუხვიეს, ავიწყდებათ, რომ ეს ვითომც პირები, უბრალო საშუალებებია, მონოდებული კოლექტიური საკუთრების მართვის გაადვილებისთვის. არსებითად მეცნიერები ყალბ საფუძველზე დგანან, როცა კოლექტიური საკუთრების თეორიის შექმნის ნაცვლად იურიდიული პირის თეორიას ქმნიან. მით უფრო სავალალოა, როდესაც ფიქტიურ პირებს მიაწერენ რეალური პირების თითქმის ყველა ატრიბუტს. კანონმდებელი ყოველთვის ეძიებს კერძო პირებს, მოქალაქეებს, სულ ერთია, განცალკევებუ-

ლად თუ შეჯგუფებულად, და თუ მისი კანონი უსამართლოა, იტან-  
ჯებიან ესენი და არა რალაც მირაჟი. ამიტომ ფიქტიური პირის  
კონცეფცია საბოლოოდ უკუგდებული უნდა იქნას. „უნდა უარგყოთ  
იურიდიული პირის მითი და ვალიაროთ კოლექტიური საკუთრების  
რეალობა“ — ამბობს პლანიოლი. ჩვენ შემდგომ გავარჩევთ, რაოდენ  
კონკრეტულად მიაჩნიათ სხვადასხვა ავტორებს თვით პლანიოლის  
თეორია; როგორც ვნახეთ, პლანიოლი რეალიზმის მქადაგებელია  
და აბსტრაქციებს ერიდება. გავარჩევთ ზოგადად იურიდიული რეა-  
ლობის საკითხებსაც. ახლა კი გადავალთ შემდგომ საკითხზე, იუ-  
რიდიულ ანუ ფიქტიურ პირთა კლასიფიკაციაზე, როგორც ეს  
პლანიოლს აქვს გატარებული.

პლანიოლი კოლექტიურ საკუთრებას ორ ძირითად კატეგორიად  
ჰყოფს: საზოგადო ხასიათის მქონე კოლექტიურ საკუთრებად და  
კერძო ხასიათის მქონე კოლექტიურ საკუთრებად. ცხადია,  
კოლექტიური საკუთრების არსებობის ორი ფორმა ემყარება კერძო  
და საჯარო სამართლის ინსტიტუტების განსხვავებას. შედეგი კი  
იურიდიულ პირთა ძირითადი კლასიფიკაციის ანალოგიურია: იქაც  
ვიღებდით საჯარო ან კერძო სამართლის სფეროში არსებულ იუ-  
რიდიულ პირებს. საჯარო დანესებულებებს განეკუთვნება სახ-  
ელმწიფოს, დეპარტამენტის ან კომუნალური მმართველობის  
ყველა ინსტიტუტი, რომლებიც ჩამოშორდნენ ამ ერთეულებს და  
იქცნენ თავისი საკუთარი ცხოვრების მქონე ორგანოებად. ასეთ  
საზოგადოებრივ დანესებულებებს აქვთ ქონება, რომელიც ემსახ-  
ურება, წარმოადგენს გარკვეულ მასას და უკვე სახელმწიფოსი  
აღარ არის, იგი დეპარტამენტის ან კომუნის ქონების ნაწილია. ცხა-  
დია, აქ ლაპარაკია საფრანგეთში არსებულ პუბლიური ხასიათის  
დანესებულებებზე. კერძო პირები კი ქმნიან და მართავენ კერძო  
დანესებულებებს, რომლებიც ხშირად ადმინისტრაციის  
კონტროლის და ნებართვის ქვეშაა. მაგრამ ამ დანესებულებებს არა  
აქვთ საჯარო ხელისუფლების რაიმე დავალება. კოლექტიურ სიმ-  
დიდრეთა კერძო სახეებს შორის საფრანგეთისთვის ყველაზე ტიპუ-  
რია ასოციაციები. ეს კერძო პირთა ჯგუფია, რომლებიც იკრიბებ-  
იან, რათა შექმნან კოლექტიური ძალა და ეს ხდება მათი კაპიტალის  
გაერთიანებით“, ამბობს პლანიოლი. მივაქციოთ ყურადღება, გად-  
ადის თუ არა ზოგადი პრინციპებიდან ცხოვრებაში არსებულ  
ტიპებზე, პლანიოლი უკვე, უნებლიედ კომპრომისულად



მსჯელობს. გავაანალიზოთ მაგალითად, ასოციაციის ცნება. მართალია, მისი არსებობის ძირითადი პირობაა კაპიტალის გაერთიანება, და აქ თითქოს კვლავ კოლექტიური საკუთრების ნიადაგზე ვდგავართ. მაგრამ მისი მიზანია ასოციაციაში მყოფი წევრების შეჯგუფებით შექმნას კოლექტიური ძალა. დეტალიზაცია იმისა, თუ როგორი იურიდიული ხასიათი ექნება ამ კოლექტიურ ძალას, კვლავ არ ხდება. ექნება თუ არა მას სამართლის სუბიექტის ფორმა? – ერთი რამ ცხადია. ზოგადი თეორიის გადმოცემის დროს პლანიოლმა გვერდი ვერ აუხვია იურიდიულ პირს, როგორც უფლების სუბიექტს, როდესაც პირთა აუცილებელი შეჯგუფება კოლექტიური საკუთრების არსებობის ძირითად პირობად მიაჩნია. აქ, კოლექტიური საკუთრების სხვადასხვა სახეობათა განხილვის დროს, ე.ი. ზოგადი თეორიის უფრო კონკრეტული გამოყენებისას პლანიოლი იღებს საწინააღმდეგო შედეგებს: კოლექტიური საკუთრება პირობაა კოლექტიური ძალის, ასოციაციის წევრთა გაერთიანებისთვის, ერთი კოლექტიური უფლების შექმნის ე.ი. იურიდიული პირის დაფუძნების გარეშე.

დავუბრუნდეთ პლანიოლის კლასიფიკაციას: ასოციაციები განსხვავდებიან მათი მიზნების მიხედვით. არიან ასოციაციები, რომლებსაც მიზნად აქვთ მოგება, ქონებრივი შემოსავალი; ასეთია, მეტადრე, კომერციული საზოგადოებანი. მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთაც არა აქვთ მატერიალური გამორჩენის მიზანი, მათ უბრალოდ ასოციაციებს უწოდებენ. ეს ასოციაციები ორგვარია: 1) ისინი ან მიზნად არ ისახავენ რაიმე ინტერესს, იდეალური მიზნის მქონენი არიან, მაგალითად „ლიტერატურული, მეცნიერული საზოგადოებანი. 2) ან მიზნად აქვთ მათი წევრების პროფესიული ინტერესები, მაგალითად, რომელიმე პროფესიული კავშირი. ასეთია პლანიოლის მიერ კერძო კოლექტიური სიმდიდრეების კლასიფიკაცია. მაგრამ მას თეორიისთვის მეტად არასასურველი შედეგები მოაქვს. მართლაც, იდეალური მიზანი ან პროფესიის ინტერესები, არ არის თვით კოლექტიური საკუთრების მიერ დაფუძნებული მიზნები. კოლექტიურ საკუთრებას, საზოგადოდ, მიზანს ვერ მივანერთ, მას შეგვიძლია მივანეროთ მხოლოდ ერთი იმანენტური ტენდენცია: ქონების გამრავლება, შემოსავლის მიღება ანუ ის, რაც კომერციულ საზოგადოებას ახასიათებს. ასოციაციათა მიზნები კი კოლექტიური საკუთრების ნიადაგზე ჩვენთვის

გაუგებარი იქნებოდა. ეს არა კოლექტიური სიმდიდრის, არამედ ასოციაციის წევრების მიზანია და სწორედ მიზნების ეს ერთობლიობა ქმნის მათ შორის იმ მტკიცე კავშირს, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება სამართლის ახალი სუბიექტის აღმოცენება.

## VII

ზემოთ აღნიშნულით თითქმის ამოიწურება თავისებურება პლანიოლის თეორიისა იურიდიული პირის შესახებ. დავგრძა მხოლოდ პლანიოლის რამდენიმე შენიშვნის გადმოცემა კოლექტიური საკუთრების ე.ი. ფიქტიური პირის წარმოშობასა და მმართველობაზე. კოლექტიურ საკუთრებათა წარმოშობა, ამბობს პლანიოლი, მუდამ სახელმწიფოს მზრუნველი კონტროლითა და ნებართვით ხდებოდა და ეს იმიტომ, რომ კოლექტიურ საკუთრებათა დიდ დაგროვებას თან მოჰყვება ეკონომიკური და პოლიტიკური საფრთხე. ეკონომიკური საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ კოლექტიურ სიმდიდრეს არა აქვს ის მოძრავი, ელასტიური ხასიათი, როგორც ინდივიდუალურ საკუთრებას; ერთხელ კოლექტიურად ქცეული, ის ინერტული ხდება, ერთმევა საშუალება მონახოს თავისთვის უფრო მომარჯვებელი, ხელსაყრელი მესაკუთრე, რომელიც ამ საკუთრებას უკეთეს გამოყენებას მისცემდა. ამგვარად, კოლექტიური საკუთრება ხშირად მკვდარია კომერციისთვის და თუ იმასაც დაუმატებთ, რომ ზოგჯერ ის გადასახადებისგანაც და სხვადასხვა სარგებლობისაგან თავისუფალია, გასაგები ხდება, რომ კანონმდებლობა მას *biens de main morte*-ს<sup>18</sup> უწოდებს. პოლიტიკური საშიშროება კოლექტიურ საკუთრებათა დაგროვებისა იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოში იქმნება რაღაც კერძო ძალა, დიდი სიმდიდრის და გავლენის მქონე, რომელსაც შეუძლია სახელმწიფოს წინააღმდეგობა გაუწიოს, ასეთი რამ კი სახელმწიფოსათვის, რომელიც ერის ინტერესების უმაღლესი ფორმის გამომხატველია, ხელსაყრელი არ არის. ამ მოტივებით აიხსნება სახელმწიფოს გულმოდგინე თვალყური კოლექტიური ქონების წარმოშობაზე. საფრანგეთის 1901 წლის კანონით ასოციაციამ უნდა მიმართოს სანქციისთვის ადმინისტრაციას და მას თავისი წესდება

<sup>18</sup> (ფრანგ.) „მკვდარი ხელის“ ქონება.

წარუდგინოს. ადმინისტრაციამ უნდა იცოდეს ასოციაციის მიზანი და მისი მოქმედების საშუალებანი. თუკი ასოციაცია სახელმწიფოს საეჭვოდ მიაჩნია, - იგი მას უარყოფს, თუ არა და ცნობს, როგორც საზოგადო სარგებლიანობის მქონეს. არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში პუბლიური ანუ საზოგადო ძალაუფლების მქონე დაწესებულებები და საზოგადო სარგებლობის მქონე დაწესებულებები. პირველი საზოგადო ძალაუფლების ორგანოა, მეორე კი კერძო სამართლებრივი ფენომენი.

ბოლო საკითხია თუ როგორ ხდება პლანიოლის თვალსაზრისით, კოლექტიური საკუთრების მართვა. პლანიოლი მიიჩნევს, რომ პრაქტიკული საჭიროება მოიცავს გაერთიანებულ, უნიტარულ მმართველობას. მართლაც, კოლექტიური საკუთრების ყოველი მონაწილე თავის ნაწილს რომ ცალკე ფლობდეს, მმართველობის ყოველი აქტისთვის საჭირო იქნებოდა თითოეული ნაწილის თანხმობა. ეს კი კოლექტიური საკუთრების მმართველობაში ზედმეტ სირთულეებს და არევ-დარევას გამოიწვევდა. ამიტომ კოლექტიური საკუთრებისთვის საჭიროა სპეციალური რეჟიმის შექმნა. ეს რეჟიმი აუცილებლად უნიტარული უნდა იყოს, ე.ი. უნდა მოხდეს კოლექტიური სიკეთის ცენტრალიზაცია. ის უნდა მიენდოს ან ერთ პიროვნებას, ან პიროვნებათა გარკვეულ მცირერიცხოვან ჯგუფს, რომელსაც შეუძლია სწრაფად მიიღოს ესა თუ ის შეთანხმებული გადაწყვეტილება. აი, სწორედ მმართველობის ეს გაერთიანებული სახე ქმნის იურიდიულ პირთა ფიქციას; იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ეს ფიქტიური პირი სამართლის ქვეშაური სუბიექტი იყოს, და ჯგუფის წევრები კი სრულებით გარეშე პირნი. და აი, მაშინ ფიქტიური პირი ყოველგვარი სახის იურიდიულ აქტებს ასრულებს, თითქოს ისინი რეალური პირები იყვნენ. პლანიოლი იძლევა წინადადებას ამ ზედმეტი აბსტრაქციის მაგიერ სხვა გამოსავალი მოინახოს. სახელდობრ, კოლექტიური საკუთრების მმართველები მიჩნეულ იქნენ, როგორც ამ საკუთრების წარმომადგენლები. ეს უფრო გაამარტივებდა პრობლემას და რეალობასთან დაგვაახლოვებდა.

VIII

**პლანიოლის თეორიის კრიტიკა მიშუს და სალიელის მიერ.**

განვიხილოთ მიშუს და სალიელის კრიტიკის შინაარსი თეზისების სახით.

მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნები ეხება კოლექტიური საკუთრების ბუნების ანალიზს.

1) სალიელი საყვედურს გამოთქვამს პლანიოლის მიმართ იმის გამო, რომ კოლექტიური საკუთრების ცნება, რომელიც პლანიოლის თეორიაში ძირითადია, არ არის საკმაოდ გარკვეულად გაშუქებული. არსებითად კი კოლექტიური საკუთრება ეს იგივე საერთო საკუთრებაა (განუყოფელი) ოღონდ უფრო კონცენტრირებული, უფრო ორგანულად შეერთებული. კოლექტიურ და განუყოფელ საკუთრებათა შორის მხოლოდ რაოდენობითი სხვაობაა და ეს სხვაობა არ აძლევს პლანიოლს საკმაო საფუძველს უარყოს იურიდიული პირის გაერთიანების პრინციპი და კოლექტიური საკუთრებიდან გამომდინარე პლურალიზმი აღიაროს.

2) საქმეს არც ის შევლის, თითქოს რეალიზმის, ცხოვრებასთან მიახლოების პრინციპი უკარნახებდეს იურისტს კოლექტიური საკუთრების რეალობას მეტი უპირატესობა მიანიჭოს, ვიდრე იურიდიული პირის ფიქციას. რეალური ფაქტების ანალიზი მოწმობს, ამბობს სალიელი, რომ ფიზიკური თანამესაკუთრების გარდა არსებობენ სხვა მესაკუთრენი. სამართლის ინდივიდუალური სუბიექტების გარდა არიან სხვა სუბიექტებიც. ასეთია რეალობა. პლანიოლი რეალობის ძიებაში ჩაგრავს მართლაც არსებულ რეალობას. მართალია ეს რეალობა გონებაში ცხოვრობს და არა ფიზიკურ ხორციელებაში, მაგრამ იურიდიული აზროვნებისათვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სწორედ ეს გონებაში არსებული რეალობაა.

3) ეს არგუმენტი უკვე მიშუს კალამს ეკუთვნის: თუ კოლექტიური საკუთრება ურყევი კატეგორიაა, რომელზედაც უდიდესი იურიდიული ინსტიტუტი უნდა ავაგოთ, ამბობს ის, მაშინ კოლექტიური საკუთრება ურყევი რამ უნდა იყოს. ის არ უნდა შეილახებოდეს ხოლმე. საკუთრების შელახვის ასეთ მაგალითებს კი ჩვენ ხშირად ვხვდებით; მაგალითად, ლუვრი ფრანგი ერის კოლექტიური საკუთრებაა, მაგრამ მას უცხოელებიც თავისუფლად ათვალიერებენ.

მამ ეს არ ყოფილა კოლექტიური საკუთრება, რადგან მისი სარგებლობის უფლება კოლექტივს მიღმა გადადის; არ ყოფილა კოლექტიური საკუთრება, რადგან მას ვერ მიეკუთვნება საკუთრების ცნებასთან დაკავშირებული *ius utendi, ius abutendi, ius disponendi*.<sup>19</sup>

4) ორივე მეცნიერი უსაყვედურებს პლანიოლს მისი თეორიის ცალმხრივობას, რომ ის ბევრ რეალურ ფაქტს არავითარ შეფასებას არ აძლევს. მაგალითად, ერთი მხრივ არსებობს კოლექტიური საკუთრების არმქონე იურიდიული პირები. მაგალითად, მუშათა სინდიკატებს საფრანგეთში არა აქვთ არც ქონებრივი ფონდი, არც კაპიტალი, არც სარეზერვო ფონდი. სინდიკატი კი ძლიერ აქტიურად მუშაობს, ის პროპაგანდას ეწევა, გაფიცვას აწყობს, მაგრამ არავითარ კოლექტიურ ქონებაზე ლაპარაკიც კი არ შეგვიძლია. მეორე მხრივ, არსებობენ საზოგადოებანი, და ამას თვით პლანიოლიც აღიარებს, რომლებსაც არა აქვთ რაიმე მატერიალური, ქონებრივი მიზანი, ეს არის ე.წ. იდეალისტური მიზნების მქონე ასოციაციები. პირთა გაერთიანების საფუძველი აქ რაიმე კოლექტიური სიმდიდრე კი არ არის, არამედ ის იდეალური მიზანი, რომლის მიღწევა სურთ შეერთებული ძალებით. ასეთ საზოგადოებებს პლანიოლმა ან არ უნდა მიანიჭოს ფიქტიური პირის ხარისხი, რადგან ისინი კოლექტიური საკუთრების გარეშე დგანან; ასეთი რამ კი რეალური ცხოვრების წინააღმდეგ იქნებოდა, ან უნდა მიანიჭოს ასეთი ხარისხი, მაგრამ ამით პლანიოლის თეორია ირღვევა.

5) მიშუ მიუთითებს კიდევ ერთ საინტერესო შესაძლებლობაზე. პლანიოლის შეხედულებით, კოლექტიური საკუთრების სუბიექტები მხოლოდ რეალური, ფიზიკური პირები არიან. კოლექტიური საკუთრება კი მათ ინტერესებში უნდა იყოს გამოყენებული. მაგრამ ცხოვრებას შეუძლია შექმნას ისეთი ჯადოსნური წრე, როდესაც მესაკუთრეთა ინდივიდუალურ ინტერესებს გარდა თავს იჩენენ მათგან სრულებით დამოუკიდებელი, ასე ვთქვათ, კოლექტიური ინტერესები და ხდება შეჯამება ამ ორ ინტერესს შორის. როგორი იქნება მაშინ გამოსავალი პლანიოლის თე-

---

<sup>19</sup> (ლათ.) სარგებლობის უფლება, პირის უფლება საკუთარ ნივთს მოექცეს ისე, როგორც საჭიროდ თვლის; განკარგვის უფლება.

ორისათვის? (აქ კლასიკური მაგალითი მოჰყავს): კოლექტიური ინტერესი ერთი ჯგუფისა ეწინააღმდეგება იმ ჯგუფის ინტერესს, რომელიც ახლა აქტუალურად არის შედგენილი. შილერი იტყობდა, რომ ეს ახალი კოლექტიური ინტერესი „გარდამავალ თაობათა მოქალაქეა“. ეს არის მუდმივი, ხანგრძლივი, პერმანენტული, მომავლისაკენ გადართვითი ინტერესი. რევოლუციის დროს მთავრობა ანაწილებდა სათემო მიწებს, ეს თითქოს მისაღები პლანიოლის თეორიით, რადგან საჭიროა ყველა შემთხვევაში ჯგუფის აქტიურ წევრებს სიკეთეთა დანაწილების უფლება ჰქონდეთ. მერე კი შეამჩნიეს, რომ ეს დანაწილება, იქნებ კომუნის ყოველი წევრისათვის მისაღები, მიუღებელი იყო მთელი კომუნის ანმყო და მომავალი ინტერესისათვის, — ისპობოდა საძოვარი ადგილები და სხვა. აქ ყოველი წევრის ინდივიდუალური და საყოველთაო კოლექტიური ინტერესი ტიპურად დაპირისპირებულია.

**IX**

**თეორიის გამოყენება იურიდიულ პირთა სხვადასხვა ტიპის მიმართ.** ყოველ მეცნიერულ თეორიას ჩვენ შეგვიძლია ერთი მოთხოვნა წავუყენოთ. მან უნდა ამოწუროს ყველა ის მოვლენა, რომელთა ახსნა-განმარტებისათვის არის მოწოდებული. თეორიამ ეს მოვლენები მთლიანად უნდა მოიცვას, იგი უნდა იყოს სრული, ეს ურყევი მოთხოვნაა. მიშუ და სალიელი ამტკიცებენ, რომ პლანიოლის შეხედულება მოკლებულია სწორედ ასეთ სისრულეს. *La theorie est incomplite* - იმეორებენ ისინი. და ამ კრიტიკულ თემას ფაქტიური მტკიცებით ასაბუთებენ.

1) თეორია მოუხმარებელია საჯარო სამართლისათვის. ის ვერ ხსნის იურიდიულ პირთა არსებობას, ერთიანობას და მუდმივობას საჯარო სამართალში. იურიდიული პირების სახით თეორია მხოლოდ კოლექტიურ საკუთრებას ხედავს. სახელმწიფო კი ვერ განიხილება, როგორც ერთი ტოტალური ასოციაცია, რომელშიც ქვეშევდრომებმა მოათავსეს კოლექტიური გარკვეული სიკეთენი და ეს სიკეთეები დაუქვემდებარეს გაერთიანებულ მმართველობას. სახელმწიფოს, როგორც ერისადმი მიკუთვნებულ სიკეთეთა მასად გაგება საკმარისი არ არის მისი ბუნების გასაცნობად. მერე და ვისია ეს საკუთრება? მოქალაქეების? ეს თუმცა ჩვეულებრივი, მაგრამ

მეტად ბუნდოვანი, გაურკვეველი მიკუთვნება იქნება, იურიდიული აზროვნების გამჭვირვალობისათვის მიუღებელი.

2) თეორია ვერ განმარტავს დაწესებულების სუბიექტს; დაწესებულების ერთადერთი სუბიექტები, პლანიოლის აზრით, შეიძლება ის უცნობი ბენეფიციარები იყვნენ, რომლებისთვისაც შექმნილია დაწესებულება. მაგალითად, ავადმყოფები საავადმყოფოსათვის, მაგრამ სამართალი ვერ მიაკუთვნებს უფლებას იმ პირს, რომლის ინდივიდუალურობა არ არის და ვერც იქნება გარკვეული, დღეს ავადმყოფი ერთია, ხვალ მეორე. ანდა შესაძლებელია უფრო რადიკალური დასკვნა. არსებობს დაწესებულებები, რომლებსაც რეალური ბენეფიციარები არც კი ჰყავთ, დაწესებულებით რომ ისარგებლონ. მაგალითად, დაწესებულება შექმნილია რაიმე მეცნიერული კვლევებისათვის. სად უნდა იყოს სუბიექტი ამ დაწესებულებისა? დაწესებულების სუბიექტი უნდა მოინახოს, ვინაიდან კოლექტიურ საკუთრებებს ჰყავთ რეალური ფიზიკური სუბიექტები, ეს თვით პლანიოლის აზრია. ჩვენ ვხვდებით, რომ თვით ეს ორგანიზმი დაწესებულებებისა, რომელშიც ცხადი ხდება მისი მიზნის გამომჟღავნება და რომელიც რეალიზაციას უკეთებს, არის სამართლის სუბიექტი, ამბობს სალეილი. პლანიოლისათვის კი ასეთი გადაწყვეტილება მიუღებელია. და შემდგომ თუ ჩვენ პლანიოლთან ერთად ძიების მიზნად დავისახავთ, რაც შეიძლება დავუახლოვდეთ კონკრეტულობას, ამ მიზანს მეტად დავშორდებით, თუ დაწესებულებათა სუბიექტებად ბენეფიციარებს ვალიარებთ, აქ რომ კოლექტიური საკუთრების უფლება კუთვნებოდა ყველა იმას, ვისაც მოცემულ მომენტში შეუძლია მოითხოვოს ის. ეს კი საკუთრების ფიქტიურობაა, უარესი ყველა სხვა ფიქტიურზე. ამიტომ პლანიოლის კონსტრუქციის დიდი ნაკლი ისაა, რომ ვერ გამოიყენება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვეულებრივი გაგებით და კანონმდებლობის ენითაც ჩვენ საქმე გვაქვს იურიდიულ პირთან.

3) თეორია ვერ გამოიყენება ანონიმურ საზოგადოებათა მიმართ; ანონიმური საზოგადოება კოლექტიური საკუთრების ისეთი ფორმაა, როცა მათი სუბიექტების გარკვეული დასახელება შეუძლებელია, მაგალითად სააქციო საზოგადოება. ეს იურიდიული ფენომენი ვერ აიხსნება როგორც კოლექტიური საკუთრება. იგი სცილდება თანასაკუთრების იურიდიულ ფორმას და შედარებით

თავისებურია. აქციონერები ცდილობენ მიიმალონ და წინ სწევენ მათ საკუთრებას, აქციებს, საზოგადოების ადმინისტრაციას. თვითონ კი ნამდვილი სუბიექტები არ ჩანან და ეს კანონის ნებართვით ხდება. არსებობს ორგანიზმი, რომელიც აქციონერების სასარგებლოდ მუშაობს, თუმცა პერსონალურად მათ სახელს არ ატარებს. აქ მეტად ძნელია კოლექტიური საკუთრების მომხრობისთვის უფლების სუბიექტთა კონკრეტული კვალიფიკაცია.

4) თეორია ვერ ხსნის ასოციაციათა ბუნებას; ასოციაციების მიმართ პლანიოლის თეორია განსაკუთრებით არასაკმარისია. ასოციაცია არის ისეთ მეუფლეთა შეჯგუფება, რომლებსაც შეიძლება არც გააჩნდეთ კოლექტიური საკუთრება, ყოველ შემთხვევაში, ძლიერ დაშორებული კომერციული მიზნებისაგან. ეს არის ინდივიდუალურ მოქმედებათა გაერთიანება რაიმე კორპორაციული მიზნით. თუ არის კოლექტიური საკუთრება, ის მხოლოდ აქსესუარია ამ მიზნისთვის. ინდივიდუალურ ძალათა ეს გაერთიანება არ არის მათი უბრალო მექანიკური შეჯგუფება, არამედ ქმნის გაერთიანებულ ნებას, საერთო მიზნებისადმი მიმართულს. ასოციაციათა ბუნების ასახსნელად კოლექტიური საკუთრების თეორია იძულებულია ერთმანეთისაგან განასხვავოს ასოციაციის კოლექტიური ქონება, ამ ქონების მმართველობა, ერთის მხრივ, და ასოციაციის წევრთა კოლექტიური აქტივობა, მეორეს მხრივ — ეს გათიშვა კი ეწინააღმდეგება იმ მთლიანობას, რომელიც მოცემულია კონკრეტულ სინამდვილეში. პლანიოლი მსჯელობს ისე, თითქოს კოლექტიური საკუთრების შექმნა და მმართველობა იყოს ასოციაციის ერთადერთი დანიშნულება. მას ავინყდება, რომ ყოველ ასოციაციას აქვს თავისი თვისებრივი განსხვავებული მიზანი. ეს მიზანი ძლევს ყველაფერს, ის იწვევს ასოციაციის წევრების ძალთა აქტიურ გაერთიანებას და თუ როგორც პლანიოლი აღიარებს, ის იერიგის შეხედულებებს ეთანხმება, მაშინ ყოველ იურიდიულად დაცულ ინტერესს უნდა მიეკუთვნოს უფლების იურიდიული სუბიექტის ხარისხი, რომ სამართლის მფარველობით მოხდეს რეალიზაცია ამ ინტერესისა. თუ ეს ინტერესი ყველას ინტერესია, მას შეესაბამება ისეთი სუბიექტი, რომელიც ამ უნივერსალობის გამომხატველია. ეს კოლექტიურად აღებული ინდივიდები კი არა, მათ



მიერ შექმნილი კოლექტივია, რომელიც განსხვავდება ინდივიდებისაგან ისე, როგორც მთლიანი მანქანა თითოეული მისი ბორბლისაგან.

5) სალეილის აზრით, არსებობს მხოლოდ ერთი ტიპი იურიდიული პირებისა, რომლის მიმართ პლანიოლის თეორია გამოსადეგია და ზემინენითაც. ეს არის კომერციული საზოგადოება. აქ დიდი დამსახურებაა პლანიოლისა. მან პირველად გამოთქვა აზრი, რომ (ისეთი მოუფლე სუბიექტა მიერ) თუ არის კოლექტიურად შექმნილი საკუთრება, რომელსაც მათი ქონების განკარგვის უფლება აქვთ, ამ საკუთრებამ უნდა მიიღოს კოლექტიური საკუთრების ფორმა, დაინტერესებულ პირთა, ე.ი. მესაკუთრეთა ინდივიდუალურ უფლებებზე დაყრდნობით.

ასეთია ფართო კრიტიკული ანალიზი პლანიოლის თეორიისა, რომელსაც თეორეტიკოსები აწარმოებენ. პირველად ისინი ეძიებენ იმანენტურ შეუსაბამობებს პიანიოლის თეორიაში და ამიტომ ყოველმხრივი მოდიფიკაციებით ავითარებენ და იკვლევენ კოლექტიური საკუთრების შენებას. შემდეგ კი თეორიას განიხილავენ თითქმის ყველა არსებული იურიდიულ პირთა ტიპების მიმართ და მას არასრულად, არასაკმარისად რაცხავენ. ჩვენ დაგვრჩენია გადმოვცეთ მიშუს და სალეილის კრიტიკული შენიშვნები იურიდიული პირის გაუქმების, მემკვიდრეობითი უფლების და მოქმედების შესახებ.

პლანიოლი თავისი თხზულების ერთ ადგილას ირონიულად ამბობს: თუ არსებობს იურიდიული პირი, ის გარდაცვალებისას მემკვიდრეობას უნდა ტოვებდესო. მიშუს შეხედულებით, ასეთი აზრის დასაბუთება მეტაფორა არ იქნებოდა. მართალია შეუძლებელია გარდაცვალება იურიდიული პირისა, მაგრამ შესაძლებელია უფლების სუბიექტის გაქრობა და ადვილად წარმოსადგენია უფლების მეორე სუბიექტი, რომელიც მის მემკვიდრედ იქნება იმ უფლებებში, რომლებიც უნინ არსებულ იურიდიულ პირს მიეკუთვნებოდა.

აგრეთვე, იურიდიული პირის გაუქმებისას, ამბობს მიშუ, პლანიოლის აზრი, ლოგიკურად კოლექტიური საკუთრების მქონე წევრებს უნდა ჰქონდეთ ნება გაინანოლონ საკუთრება იმათ შორის, ვისაც არ სურს მისდიოს იურიდიული პირის ახლად დასახულ, შეცვლილ მიზანს. პლანიოლი ცნობს, რომ არსებობს *d'utilite*

nubliqnea<sup>20</sup>, სადაც ასეთი დანაწილება შეუძლებელია და თუ პლანი-ოლი არ უარყოფს, რომ ბევრთა მოვალეობაა წასვლისას დატოვონ ქონება მის დანიშნულებსამებრ, მიზნისამებრ მოსახმარად, მაშა-სადამე, გამოსავალ წერტილად აქ აიღება იურიდიული პირის მიზნობრიობის, და არა კოლექტიური თანამოსაკუთრების პირობა.

6) პლანიოლის თეორიის კრიტიკული მიმოხილვა შეგვიძლია დავამთავროთ სალიელის მიერ გადმოცემული ზოგადი მიმოხილვით. თეორია ჩქმაღავს, ყურადღებას არ აქცევს ერთ მიზნობრიობას, გაერთიანებულ ინტერესს, რომელიც მართავს იურიდიულ პირს და წინ აყენებს კოლექტიური საკუთრების დაფანტულ, ფრაგმენტულ სახეს. მას ავიწყდება, რომ იურიდიული პირი არის მისი წევრებისა-გან დამოუკიდებელი სუბიექტი, საკუთარი აქტივობის და მიზნის მქონე. ეს ცალკე პირია, რომელსაც აქვს თავისთავადობა, თავისი უფლება, თავისი პასუხისმგებლობა და ყოველივე ეს სრულებით არ წააგავს საკუთრების მასის ინტერულ და ამორტულ კონცეფციას. “ამიტომ, აბოზს სალეილი — (468), — მე არ ვეთანხმები ამ სისტემას ... შეიძლება თქვან, რომ კოლექტიური საკუთრება ეს იგივეა, რაც ინდივიდუალურობა. მაგრამ სწორედ ასეთი რამ არის მიუღებელი. რადგან სიტყვებს თავისი ტრადიციული საზრისი და თავისი იმანენტური ლოგიკა აქვთ და იურისტს ვერასდროს ვერ დაარწმუნებ, რომ საკუთრების რომელიმე ფორმა ეს იგივეა, რაც პიროვნების დაფუძნება, რომ საკუთრება, რომელიც ეკუთვნის რამდენიმეს, უნდა განვიხილოთ ისე, თითქოს ის ერთს ეკუთვნის, რომ შეკრებილი ინდივიდუალური უფლებები წარმოადგენენ გაერთიანებულ კოლექტიურ უფლებათა ეკვივალენტს. პლანიოლის თეორიას სურს მიგვიყვანოს კოლექტიურ უფლებათა ინდივიდუალიზაციისკენ და ჩვენ არ გვინდა ვუმსხვერპლოთ მას ინდივიდუალურ უფლებათა კოლექტიური გამთლიანება, გაერთიანება“.

საზოგადოდ, ფრანგულ იურიდიულ მეცნიერებაში ცხადადაა გამოკვეთილი ორი დაპირისპირებული ტენდენცია იურიდიული რეალობის ნების გასაგებად: - პლანიოლი სიამოვნებით გაიმეორებდა დიუგის სიტყვებს: „იურისტები ცხოვრობენ ისეთ სამყაროში, რომელიც მხოლოდ მათთვის არის გასაგები, ისეთ ატმოსფერ-

<sup>20</sup> (ფრანგ.) საზოგადოებრივი სარგებლობა.

ოში, რომელიც პროფანებისთვის მიუწვდომელია; იურისტები იცნობენ მხოლოდ იურისტთა სამეფოს... ამიტომ ვცადოთ და ერთხელაც თავიდან ავიცილოთ ყველა ეს ფანტომები, აბსტრაქციები; მივუდგეთ საგნებს ისე, როგორ ისინი კონკრეტულად არიან და ვნახოთ, როგორი იურიდიული შედეგების მიღება იქნება შესაძლებელი და აუცილებელიც, იურიდიული თეორიები დაფუძვნიდნაროთ ფაქტებს და არა ფაქტები იურიდიულ თეორიებს“.

სულ სხვაგვარია მიშუს და სალეილის სააზროვნო პლატფორმა. აქ, „იურიდიულ თეორიას არ შეუძლია გვერდი აუაროს აბსტრაქციას. იგი თავის საკუთარ არსს აუვლიდა გვერდს. იურიდიული თეორია, ეს ის გონების ნაყოფია, რომლის საშუალებით ჩვენ ვცდილობთ დავაჯგუფოთ რეალური ცხოვრების მოვლენები და გავიგოთ, — რომელ იურიდიულ კაზუსს დაექვემდებარება ყოველივე მათგანი. ამისთვის კი საჭიროა აბსტრაქტული ფორმულების ხმარება, ფაქტების მხოლოდ არსებითი მხარეების აღნიშვნა და ამგვარად მათი დალაგება. ასეთი ხასიათისაა იურიდიული კონცეფციები იურიდიული პირისა, უფლებებისა, მოვალეობისა, რომლებთანაც ყოველთვის გვაქვს საქმე.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის, რაც სამართლის ბუნებაში ლოგიკურად პირველია, მარადია, არ არის ფაქტიური, ემპირიული წარმოშობისა, მაგრამ როცა ამა თუ იმ იურიდიულ მოვლენას კონკრეტულ-გენეტიკურად ამოსავალ წერტილად უსათუოდ კონკრეტული ცხოვრების ფაქტი უნდა მივიღოთ, იურიდიული აზროვნების შემდგომი ევოლუცია ავტომატურად სცდება ამ ფაქტიური რეალობის ნიადაგს, რადგან ასეთია ყოველი ლოგიკურად დალაგებული თეორიულ-მეცნიერული კვლევის ხვედრი. და ეს გადასვლა აბსტრაქციისკენ რამდენიმე პროგრესული სტადიის სახით ხდება — კონკრეტული იურიდიული ფაქტების დაკვირვებას პირველად მიყვება მსგავს მოვლენათა დაჯგუფება აბსტრაქტული ცნებების სახით. ეს პროცესი იმით მთავრდება, რომ ჩვენ ვიღებთ ძირითად იურიდიულ კატეგორიებს, რომლებზეც მიშუ ლაპარაკობდა. ყველა სხვა მეცნიერების მიერ აბსტრაქცირება შესაძლებელია ამ ძირითადი კატეგორიების შემუშავებით დამთავრდეს. მაგრამ იურიდიული აზროვნება გადადის განზოგადების კიდევ ახალ სფეროში. ხდება ამ ცნებათა ანალიზი. თავისებური გაგება და

განმარტება მიიღება ან არ მიიღება ამა თუ იმ კანონმდებლობის მიერ. ხშირად იურიდიული კატეგორია საკანონმდებლო გადაწყვეტილების ფაზაში ბევრ რამეს კარგავს, ბევრს ცვლის და ბევრს იღებს თავისი შინაარსის მხრივ და მხოლოდ, ასე ვთქვათ, ამ ლეგისლაციური აბსტრაქციის შემდგომ იბადება უკანასკნელი დანიშნულება სამართლის მეცნიერებისა - კანონმდებლობის პრიზმაში გატარებულ იურიდიულ ფორმულებს გამოუნახოს ადეკვატური ლოგიკური თეორია. მისცეს მათ ახსნა-განმარტება ისეთი, რომელიც ამ ფორმულების შინაგან ლოგიკურობას განამტკიცებს, შეუდარებს მათ კონკრეტულ ცხოვრებას და ამომწურავად ჩათვლის... და ასევე, განიხილავს მას იმ მარადიულ საყოველთაო სავალდებულო თვალსაზრისით, რომელიც ყოველივე კონკრეტულ იურიდიულის კრიტერიუმია და იბადება კითხვა: ხომ არ ჩნდება ამ პროცესში ახალი, სპეციფიური ხასიათის მქონე, “წმინდა” იურიდიული რეალობა, რომელიც რაღაც მეტს შეიცავს, ვიდრე აბსტრაქტულ სიმბოლოს, და, თავის მხრივ, მოქმედებს კანონმდებლობასა და კონკრეტული ცხოვრების იურიდიულ აზროვნებაზე, როგორც საკუთარი შინაარსის მქონე?

იბადება კიდევ მეორე კითხვა - ამ ახალი იურიდიული რეალობის ის მხარე, რომელიც რაღაც მეტია, ვიდრე აბსტრაქტული ფორმა, ან გენეტიკურად, განზოგადების გამოსავალი ნერტილიდან შემორჩენილი რეალური ფაქტიურობა - ხომ არ არის მჭიდროდ გადაჭდობილი სამართლის ბუნების ლოგიკურად პირველ, მარადიულ არსთან?

და ამიტომ, გამოვა რა კონკრეტული იურიდიული ცხოვრების დაკვირვებიდან, ფაქტიური რეალობიდან, პროგრესულად მიმდინარე, თვითმოქმედი იურიდიული აზროვნება იმანენტური აუცილებლობით ადის ისეთ ინტელექტუალურ სიმაღლეებზე, საიდანაც: „წარმავლობა მოჩვენებითია, არსს მარადიულს მივყავართ ზევით“.

**X**

**რენე ღემოვის თეორია. სამართლის სუბიექტის ცნების წანამძღვრები.** იურიდიული პირის გაგების საკითხში რ. ღემოვი ტრადიციულ ნიადაგზე დგას. იურიდიული პირი მისთვის არის სამართლის სუბიექტის ერთ-ერთი ტიპი, სახეობა. ამით იურიდიული

პირის კატეგორია უბრუნდება თავის პირველად სფეროს და სცილდება ნივთიერი ხასიათის იურიდიული ინსტიტუციებისადმი დაქვემდებარებას, როგორც ეს პლანიოლთან იყო. ამიტომ იურიდიული პირის ბუნების ჩასაწვდომად აუცილებელია დეტალურად გავითვალისწინოთ სამართლის სუბიექტის ის თავისებური კონცეფცია, რომელიც დემოგმა წამოაყენა და მხოლოდ შემდეგ გადავიდეთ იურიდიული პირის სპეციფიკის განხილვაზე. მაგრამ თვით სამართლის სუბიექტის წანამძღვრები, ამოსავალი წერტილები, გადაინაცვლებენ სხვა, თუმცა მეზობელ თეორიულ სფეროში - უფლების და მასთან დაკავშირებული სამართლის ზოგადი ცნების დახასიათებაში. ამდენად ჩვენს დედუქციურ სქემას მივყავართ ძირითად საკითხამდე — სამართლის რაობის, მისი ბუნების შესახებ. თვით დემოგის აზრთა მსვლელობის ხაზი, მეთოდი სულ სხვანაირია — ის უშუალოდ უდგება კონკრეტული სოციალური ცხოვრების რეალობას, მიდის ეგრეთწოდებული პირველადი ინდუქციებით; ამ ფაქტიური მასალის უშუალო დაკვირვების გზით სურს აღმოაჩინოს სამართლის თეორიული ბუნება, კვლევის იარაღი კი მისთვის არის მხოლოდ ფაქტების განხილვისაკენ მიმართული განსჯა და სალი გონება.

დემოგის თეორიული სვლა უკვე ცხადყოფს იმ პოზიციას, რომელსაც ის პირველად დაიჭერს. ცნობილია, რომ სამართლის ბუნება ორნაირი საზომით იშლება ჩვენს წინ: როგორც სუბიექტური ნება-უფლება, სუბიექტური ნორმა და ობიექტური ნორმა, ობიექტური სამართალი. რომელი ამათგანი უნდა გამოვიკვლიოთ პირველად და რომელი შემდეგ, ჩვენის აზრით, ეს სავსებით დამოკიდებულია მეთოდოლოგიური მდგომარეობისაგან. სისტემატური კვლევის დროს, სამართლის ბუნების ლოგიკური წვდომისას, ცხადია, ობიექტური ნორმა იქნება მეცნიერული განხილვის პირველ ამოცანად; რადგან, ლოგიკურია, ის არის პირობა კერძო უფლების წარმოშობისა. ჩვენი უფლება ან მოვალეობა არსებობს როგორც იურიდიული, მხოლოდ იმიტომ, რომ ის აღნიშნულია ობიექტური ნორმის შინაარსში. ჩვენ ვერ წარმოვიდგენთ უფლებას იმ ობიექტური ნორმის გარეშე, რომელიც მას ანებს როგორც უფლებრივს. ობიექტური ნორმა არის ლოგიკური პირობა, წანამძღვარის სუბიექტური ნება-უფლებისა. მაგრამ გენეტიკური კვლევა-ძიების დროს, როდესაც ჩვენ უშუალოდ ვაკვირდებით

კონკრეტულ ცხოვრებას, პირველად ჩვენს ყურადღებას იპყრობს, უფრო ხელსახებად გვეჩვენება, სწორედ ეს სუბიექტური ნება-უფლება, ამიტომ პირველად მის ანალიზს მიმართავენ ხოლმე ასეთ შემთხვევებში და სწორედ აქ არის დიდი საფრთხე. როდესაც უფლებიდან გადადიან ობიექტური ნორმის განხილვაზე, აღიარებენ, თითქოს ლოგიკურ თანმიმდევრობაშიც, და არა მარტო გენეტიკურში, ობიექტური სამართალი იყოს შემდგომი, სუბიექტური კი პირველი რამ ობიექტური ნორმისა. დემოგის აზრთა მიმდინარეობა სწორედ უკანასკნელი ხაზით წარმოებს. ამიტომ მის წინაშე წარმომდგარი პირველი პრობლემა არის შემდეგი: რაში მდგომარეობს არსი სუბიექტური სამართლის, უფლებისა?

უფლება არის ინტერესი, რომელიც შეიძლება ჰქონდეს პირს. შესაძლებელია ინტერესი იყოს ცვალებადი, მრავალფეროვანი, სხვადასხვა შინაარსის, მაგრამ უფლება არის პირის ინტერესი და ამ ცნებათა იდენტურობას დემოგი მკაცრად იცავს. ბუნებრივად დადგება საკითხი იმისა, რომ ინტერესს სჭირდება დაცვა, და ეს დაცვა უნდა იყოს შესაბამისი ამა თუ იმ ინტერესის თავისებურებასთან. აი, მაგალითად, სულ სხვადასხვაგვარია დაცვა წინასწარი, შემდგომი, ასანაზღაურებელი ხასიათის. ხანგრძლივი და ხანმოკლე უფლების ანუ ინტერესთა იურიდიული დაცვა არის სწორედ ის მიზანი, რომელსაც სუბიექტური სამართალი უყენებს ობიექტურ ნორმას, რომელიც ამ ნორმას აუცილებლად ხდის. ამიტომ სამართალი, ნორმა არის სწორედ ის, რასაც წარმოშობს საზოგადოებრივი ორგანიზაცია ინტერესთა იურიდიულად დასაცავად. ამიტომ, ობიექტური ნორმა, დაცვა ინტერესისა პირობად გულისხმობს უფლების, როგორც დასაცავი ინტერესის არსებობას, როგორც წინამძღვარს. იბადება კითხვა: რითი განსხვავდება ობიექტური ნორმა ინტერესთა დაცვის სხვა სოციალური ფორმებისაგან, რომლებიც შესაძლებელია საზოგადოების მხრიდან იყოს წამოყენებული? დემოგის შეხედულებით, განსხვავების საფუძველი ისაა, რომ ობიექტური ნორმა წამოყენებულია იმ ორგანიზაციული ძალის მიერ, რომელიც საზოგადოებაში ყველაზე უფრო ძლიერია. აქ იგულისხმება არა მარტო დინამიკური ძალა საზოგადოებრივი ორგანიზაციისა, არამედ მორალური და სხვადასხვაგვარ ინტერესთა კომპლექსი. ამიტომ პოზიტიური სამართლის ძირითადი

ელემენტებია ძალა და ხანგრძლივობა ჩვენი ინტერესების დასაცავად. ჩვენ არ შევუდგებით დემოგის ამ შეხედულებათა დეტალიზაციას, ამთავითვე ცხადია, რომ ის ემორჩილება იერიზის ძლიერ გავლენას. შემდეგში განვიხილავთ ამ გავლენის მოცულობასაც, ახლა კი ცოტა გადავუზვიოთ ჩვენს უშუალო ამოცანას და მოკლედ განვიხილოთ თემისათვის არაპირდაპირი, მაგრამ არსებითად მეტად მნიშვნელოვანი საკითხი: როგორია დემოგის შეხედულებათა მიხედვით ბუნებითი სამართლის ანუ, როგორც ის თითონ უწოდებს, იდეალური სამართლის გაგება?

ჩვენ ვიცით, რომ სამართლის არსი ინტერესია, ამიტომ იდეალური, საყოველთაო სავალდებულო სამართალი არსებობს, ამბობს დემოგი, თუ არსებობს საყოველთაო სავალდებულო ინტერესი, ასეთი საერთო ინტერესის, ე.ი. იდეალური სამართლის საშუალებაა სალი გონება, მასალა კი — კონკრეტული ფაქტები, ამთავითვე ცხადია, რომ ყოველი კონცეფცია იდეალური სამართლისა სუბიექტურია; დროის, სივრცის, ინტერესების, ინდივიდუალურ მიდრეკილებათა და სხვა ფაქტორების მიხედვით. ამიტომ რეალურ ცხოვრებაში წამოიჭრება სულ სხვადასხვა ინტერესების დასაცავად, ისინი ებრძვიან ურთიერთს, სამართალი კი ცდილობს შეათანხმოს ეს მრავალფეროვანი ინტერესები. რადგან რაიმე თეორიული საფუძველი არა გვაქვს, რომ ერთი ინტერესი უფრო მივიჩნიოთ იურიდიულ დაცვის ღირსად, ვიდრე მეორე. ამიტომ არ არის საჭირო განსაკუთრებული დაცვა რომელიმე ინტერესისა. დემოგი გრძნობს, თუ რა უიმედო რელატივიზმში ვარდება, მაგრამ ცდილობს ის თავიდან აიშოროს: „ნიჰილიზმში ვერ გამამტყუნებენ, ამბობს ის, რადგან ვალდებულ ვართ მსოფლიო წინსვლის აუცილებლობას (?!), და იმასაც, რომ არსებობს პრინციპები სამართლის საფუძვლებისა. შეიძლება არა საკმარისად დასაბუთებული, მაგრამ შეცნობილი ადამიანთა გარკვეული რიცხვის მიერ. არის რაღაცა საერთო ხალხთა ყოფაქცევაში და ამ ყოფაქცევის შედეგებში, მაგრამ მაინც კანონმდებლობას არა აქვს ობიექტური სახელმძღვანელო კრიტერიუმი, ადამიანთა ინდივიდუალურ მიდრეკილებათა გამო“ (45). ყოველ კანონმდებლობას აქვს თავისი იდეალი, მაგრამ ის არ არის სრული, სხვადასხვა სოციალურ ელე-

მენტა მერყევი მდგომარეობის გამო. თუ არ არსებობს საერთო ინტერესი ასეთ მდგომარეობაში, არ არსებულა მუდმივი შინაარსიც იდეალური სამართლისა.

ჩვენის აზრით, დემოგისათვის სწორედ იმიტომაა შეუძლებელი ცხოვრების სამართლებრივი საზრისის ობიექტური კვლევა, რომ ის ყალბ მეთოდოლოგიურ ნიადაგზე დგას. დემოგისათვის იდეალური სამართალი, რომლითაც კანონმდებელი უნდა ხელმძღვანელობდეს, იძიება იმ ფაქტიურ მასალაში, რასაც გვანვდიან ფართო მასებში გავრცელებული საერთო იდეალები, სოციალური კონცეფციები. ესენი კი სხვადასხვა დროს და ადგილას სხვადასხვაა, ერთდროულად კი ძნელდება ხოლმე მათი პრინციპების გარკვევა. აქამდე მიდის დემოგი მისი მეთოდის დაბეჯითებითი გამოყენების გამო. ფაქტების განსჯის და სალი გონების საფუძველზე შესაძლებელია მხოლოდ ბუნებითი სამართლის აუცილებელი აღიარება, როგორც სოციალურ ცხოვრებაში წამოყენებული მოთხოვნილებისა და მეტი არაფერი. ხშირად ცხადად შეუცნობელი სურვილი ადამიანის — მისწვდეს სამართლებრივი ცხოვრების ობიექტურად სავალდებულო საზრისს, საჭიროება სახელმძღვანელო პრინციპებისა, ადმინისტრაციისა და სასამართლო პრაქტიკისათვის სახელმძღვანელო პრინციპების საჭიროება, რაღაც მიზნების, კრიტერიუმების აუცილებლობა, რომლებსკენ მიმართული უნდა იყოს პოზიტიური კანონმდებლობა, ამით ამოიწურება ის, რასაც ფაქტიური რეალობა გვანვდის ბუნებითი სამართლის შესახებ. შემდგომი ცდა დემოგისა ცხადია არასასურველ შედეგებს მოიტანდა, რადგან სულ სხვაა სფერო სამართლისა, და ფაქტიური მოცემულობა. ბუნებითი სამართალი კი არის კრიტერიუმი ამ მისწრაფებათა შინაარსისა, - და მით უფრო შეუძლებელია მისი კვლევა პოზიტიური ცხოვრების საფუძველზე.

## XI

**სამართლის სუბიექტის ცნება.** დავუბრუნდეთ უშუალო ამოცანას. ჩვენთვის საკმაოაა გარკვეული სუბიექტური და ობიექტური სამართლის ბუნება. ახლა შეგვიძლია მათთან დაკავშირებით განვიხილოთ სამართლის სუბიექტის ცნება.



სოციალურ ცხოვრებაში ადგილი აქვს ფაქტებს, რომლებიც წარმოიშობა და მოქმედებს საზოგადო ძალაუფლების დაცვის შემწეობით — ეს არის საზოგადოებრივი ფაქტები. მაგრამ ეს ფაქტები მიეკუთვნებიან გარკვეულ პირებს და მათ ნიადაგზე წარმოიშობა პირის უფლება ან მოვალეობა. ამისთვის ჩვენს წინაშე ყოველი იურიდიული სისტემა წარმოდგება, როგორც პირადობის საფუძველზე აშენებული, სუბიექტთა შორის არსებული სოციალური ურთიერთობები. სამართლის სუბიექტის განმარტება მთლიანად შედის უფლების, როგორც ობიექტური სამართლის მიზნით მოცულობაში ე.ი. მისი უკანასკნელი საფუძვლები, საერთოდ, სამართლის ბუნების კვლევაშია.

ობიექტური სამართლის მიზანი ან უფლების არსი, დემოგის აზრით, შეიძლება იყოს ან ნების განხორციელება, ან ინტერესის დაცვა. ზემოთ ნათქვამიდან ადვილად დასასკვნელია, თუ რომელ გადანყვეტილებას მიემხრობა დემოგი: რასაკვირველია ინტერესი არის არსი უფლებისა. ამიტომ სამართლის სუბიექტი არის ყოველივე ის, ვინც არის იურიდიულად დაცული ინტერესის მატარებელი იმისდა მიუხედავად აქვს თუ არა მას ნებისყოფა ამ ინტერესის განსახორციელებლად. მაგრამ დემოგი ასეთ უკიდურესობამდე არ მიდის. ის სამართლის სუბიექტისათვის ცნობს ნებისყოფის აუცილებლობასაც და ეს შემდეგი სახით ხდება: სამართლის სუბიექტს ტრადიციული თეორია ჰყოფს აქტიურ და პასიურ სუბიექტებად, უფლების და მოვალეობის მატარებლად. ჩვეულებრივად, უფლება და მოვალეობა კორელატიური ცნებებია, მაგრამ დემოგი მათ ერთმანეთისაგან აშორებს და სრულებით დამოუკიდებლად განიხილავს. სწორედ აქ აღმოჩნდება, რომ სამართლის აქტიური სუბიექტი ე.ი. მოუფლე შეიძლება იყოს მხოლოდ ინტერესის მატარებელი, ინტერესის განსახორციელებელი ნება მას არ სჭირდება, ის შეიძლება შეივსოს იურიდიული ტექნიკის სხვადასხვა საშუალებებით. რაც შეეხება სამართლის პასიურ სუბიექტს, მოვალეობის შესასრულებლად მისთვის აუცილებელია მომნიშვნელო გონება და ნებისყოფა. ვიდრე სამართლის ორივეგვარი სუბიექტების განხილვაზე გადავიდოდეთ, განვიხილოთ თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს დემოგი სამართლის სუბიექტის ცნებას.

სამართლის სუბიექტი დემოგისტვის არ არის იურისპრუდენციის *idee force* — არ არის უდავო პრინციპი, სამართლის საფუძველი, ერთ-ერთი მისი ძირითადი კატეგორია. ასეთი შეხედულება დემოგს ძველი დროის რუტინად მიაჩნია, როდესაც სამართლის სუბიექტის ცნებაზე ძლიერი გავლენა ჰქონდა მორალური პრინციპების მიმდინარეობას, მეტადრე ინდივიდუალურ მორალს; სამართლის სუბიექტის ცნება დემოგისტვის არ არის თავისთავად ღირებული რამ, არამედ მხოლოდ საშუალებაა იმისა, რომ მოხდეს დაცული ინტერესების მიკუთვნება, დაჯგუფება და კლასიფიკაცია. ეს იურიდიული ტექნიკის მიერ გამოუმუშავებული საშუალებაა და სხვა არაფერი.

ცხადია, თუ სამართლის სუბიექტი იურიდიული ტექნიკის, პრაქტიკული მიზანშეწონილების მოსაზრებებით უნდა ვალიართ ყველგან, სადაც ინტერესი წარმოდგება, როგორც დასაცავი უფლება, სამართლის სუბიექტების რიცხვი მეტად დიდი იქნება, მისი მოცულობის არე — მეტად ფართო. დემოგი აქ ლოგიკური სწორხაზოვნობით ბოლომდე მიდის. სამართლის სუბიექტები არა მარტო მცირეწლოვანები და იურიდიული პირები არიან, რომელთაც საკმარისი რეალური ან უშუალო ნებისყოფა არ აქვთ ინტერესის დასაცავად. სამართლის სუბიექტებია ცხოველებიც და უსულო საგნებიც, მაგალითად ისტორიული მონუმენტები, რომელთა ზრუნვისკენაც მოწოდებულია რაიმე იურიდიულად დაცული ღონისძიება.

მომავალი პირები, მაგალითად, ჩანასახის იურიდიულად დაცული უფლებები და გარდაცვალებულნიც, რამდენადაც მათი ინტერესი იურიდიულად დაცულია, არიან ნახევრად პირები - *demi personnes*. ერთი სიტყვით, ყველგან, სადაც არის დაცული ინტერესი, უნდა არსებობდეს სამართლის სუბიექტი, რომელსაც ეს ინტერესი მიეკუთვნება, არა რაიმე კონსტიტუციური ხასიათის მოსაზრებების ან ძირითადი იურიდიული პრინციპების გამო, არამედ იურიდიულ ტექნიკის პრაქტიკული მიზანშეწონილების მოთხოვნილებებით.

## XII

**იურიდიული პირის პრობლემა.** ვნახოთ როგორ წყდება აზრთა ამ კონტექსტში იურიდიული პირის პრობლემა. ცხადია, იურიდი-

ული პირი არის სამართლის სუბიექტი, რადგან ის წარმოადგენს იურიდიულად დაცული ინტერესების ცენტრს. იურიდიული პირი არ არის კოლექტიური საკუთრება, როგორც ამას პლანიოლი ფიქრობდა. პლანიოლის თეორია იმანენტურად ირღვევა, რადგან ის ვერ ცხადყოფს, თუ როგორია კოლექტიურ საკუთრებაში შესული პირების მდგომარეობა და თეორია არ მოიცავს იურიდიულ პირის ყველა საჭირო სახეობას. დემოგის აზრით, პლანიოლი უახლოვდება ბრინცის რელატივიზმს — რადგან, თუ კოლექტიური საკუთრების დროს, სამართლის სუბიექტებად ვალიარებთ ყველა ბენეფიციარს, სამართლის სუბიექტების რიცხვის ამგვარი გამრავლება ისეთ მდგომარეობას ქმნის, რომ სამართლის სუბიექტთა სწორი აღნიშვნა შეუძლებელი ხდება, და მათ ადგილს იგივე კოლექტიური საკუთრება იჭერს; ამიტომ იურიდიული პირების სამართლის სუბიექტებად ცნობისთვის, არსებობს სხვა გამოსავალი; ცნობილია, რომ ერთი რომელიმე ძირითადი უფლება, ინტერესი, შეგვიძლია ჩავთვალოთ ცენტრად, რომელსაც სხვა დანარჩენი უფლებანი ასე თუ ისე დაუკავშირდება. პირველი უფლება იქნება ცენტრი, სხვები კი მასზე დამოკიდებული. ასეთია იურიდიული პირის ბუნებაც, ცხადია — „ინტერესთა ცენტრი“, ეს არის სიტყვა, სახე, რომლის მიღმა დევს საქმე, ინტერესთა განხორციელება. იურიდიულ პირის ინტერესთა ცენტრის სახით მიჩნევა არის ტექნიკური საშუალება, რათა ინტერესთა გარკვეული კომპლექსის დასაკმაყოფილებლად შეიქმნეს მისთვის უშიშარი, იურიდიულად დაცული მდგომარეობა. რაიმე ინტერესი, ამ ინტერესთა გარკვეული ჯგუფი, რაც უფრო მეტად მიგვაჩნია იურიდიულ დაცვის ღირსად, მით უფრო სასარგებლოა მისი გამოყოფა დამოუკიდებელ სფეროდ, სამართლის სუბიექტის სახელწოდებით ან ინტერესთა ცენტრის სახელით“ (337). შესაძლებელია, ეს ინტერესები არ იყოს აქტუალურად არსებულნი, მაგრამ მოსალოდნელი იყოს მომავალ დროში, შესაძლებელია ამ ინტერესებს ნივთიერი, მატერიალური შინაარსი არ ჰქონდეთ და ისინი ეხებოდნენ მორალური, იდეალური ხასიათის სიკეთეებს. ეს არ უშლის იურიდიულ პირის არსებობის უფლებრიობას, ოღონდ მათი კომპლექსი იურიდიული დაცვის ღირსად იყოს მიჩნეული.

ასეთია იურიდიული პირის, როგორც სამართლის აქტიური სუბიექტის, უფლებების მატარებლის კონსტრუქცია. აქ იურიდიული პირი არის ერთ-ერთი გამოვლინება ფართოდ აღებული პრინციპისა — სადაც არსებობს იურიდიულად დაცული ინტერესი, არსებობს სამართლის სუბიექტიც, ახლა უნდა გადავიდეთ სამართლის პასიურ სუბიექტზე, მოვალეობის ცნებაზე. ჩვენ ვიცით, რომ ამ ცნების მიმართ დემოგი სრულიად დამოუკიდებელ და განსხვავებული შინაარსის თეორიას ქმნის. რამდენადაც ფართოა სამართლის აქტიური სუბიექტის მოცულობა, იმდენად ვიწროა სამართლის პასიური სუბიექტის გასაქანი არეალი. მოვალე პირი უსათუოდ უნდა იყოს აქტიურად მცხოვრები, აბსოლუტურად გონიერი და ჩამოყალიბებული ნებისყოფის პატრონი. — ამის გარეშე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, თუ როგორ ასრულებს ის თავის მოვალეობას. ცხადია, პასიური სუბიექტის ამ კონცეფციაში სამართლის სუბიექტებად აღარ ითვლებიან ცხოველები, უსულო საგნები, გარდაცვალებულნი და მომავალი პირები, ე.ი. ჩანასახები. მათ აკლიათ ზემოთ ნათქვამი ნიშნები. საინტერესოა, როგორ წყდება საკითხი იურიდიული პირის მიმართ; შეუძლია თუ არა მას იყოს მოვალეობის მატარებელი. დემოგი აქ დადებითად პასუხობს, რადგან, მისი აზრით — იურიდიული პირი არის ჯგუფი ისეთი პირებისა, რომლებიც აქტიურად ცხოვრობენ, აქვთ გონება და ნება. მაგრამ აქ წამოიჭრება მეორე პრობლემა — რა თეორიული საფუძვლით ჩაითვლება იურიდიული პირი მოვალეობის სუბიექტად? ცხადია, არა როგორც ინტერესთა ცენტრი, რადგან სამართლის პასიურ სუბიექტს აუცილებლად სჭირდება ნება მოვალეობის შესასრულებლად. მაგრამ რა სახით უნდა მიიღოს დემოგმა აქტიურ სუბიექტთა სფეროდან განდევნილი ნება სამართლის პასიური სუბიექტების წრეში, იურიდიული პირის მიმართ? არის ეს *Gesamtswille*<sup>21</sup> თუ უბრალო იარაღი, ნებისყოფა, იურიდიულ პირისადმი მიკუთვნებული არა *per se*, არამედ *per serwum* — რომაელების გამოთქმით. დემოგი აქ არავითარ განმარტებას არ იძლევა და საკითხს ღიად ტოვებს.

როგორც ვხედავთ, იურიდიულ პირის პრობლემა დემოგს არასდროს არ დაუყენებია, როგორც ცალკე, დამოუკიდებელი

---

<sup>21</sup> (გერმან) საერთო ნება.

კვლევა-ძიების საგანი; ის მისთვის წყდებოდა, როგორც სამართლის სუბიექტის ერთ-ერთი სახე, უფლების ცნების გაგებასთან დაკავშირებით, — და არა როგორც სპეციფიური ხასიათის ცივილისტური კატეგორია. ამით აიხსნება ის, რომ ჩვენს ინტერპრეტაციაშიც იურიდიულ პირის თეორიას შედარებით ნაკლები ადგილი დაეთმო, ვიდრე მის გვარეობას, - სამართლის სუბიექტს ან მის თეორიულ პირობას — უფლებას.

ახლა ჩვენი მორიგი ამოცანაა განვიხილოთ დემოგის თეორიის მსგავსება-განსხვავება იმ მახლობელ შეხედულებებთან, რომლებსაც დემოგი არაერთხელ იხსენიებს და რომელთა გავლენას ძლიერად ემორჩილება: ეს არის ბერნაციკის, ბეკერის და იერინგის თეორიები. პირველის აზრით, სამართლის სუბიექტის ცნება დაშვებულია იქ, სადაც არის ადამიანების ისეთი მიზნები, რომლებსაც ცნობს და აღიარებს გაბატონებული იურიდიული ორგანიზაცია. მაგრამ ცნობს არა უბრალოდ დაცვის ღირსად, როგორც ეს დემოგთანაა, არამედ თვითმიზნად და მიეკუთვნება ამ მიზნის რეალიზაციისთვის მის ნებისყოფას, იურიდიულ ძალას. ამიტომაც ნებისყოფა და თვითმიზნობრივი ინტერესი, ორივე კონსტიტუციური ელემენტია სამართლის სუბიექტისა.

სამართლის სუბიექტი საზოგადოდ და იურიდიული პირი კერძოდ, დემოგისთვის როდია თვითღირებული რამ, როგორც ბერნაციკისთვის, არამედ ადამიანთა სოციალური ურთიერთობის საშუალება, ტექნიკური იარაღია.

ბეკერის გავლენით დემოგი ახდენს სწორედ სავალალო გაორმაგებას სამართლის სუბიექტის იურიდიული საფუძვლებისა, უფლების და მოვალეობის სუბიექტთა პრინციპებად. მისივე შემოქმედებითი უფლების სუბიექტის აღიარება ხდება ყველგან, სადაც კი არის დაცული ინტერესი, მაგრამ დემოგი ვერ იჩენს გერმანელი მეცნიერის მსგავს გამბედაობას: ყველგან, სადაც ის ფიზიკურ და იურიდიულ პირთა გარეშე ლაპარაკობს სამართლის სუბიექტზე, ის მათ ვერ მიაწერს სრულ პირადოვნებას, არამედ *presque is demi - peraonnelite*.

იერინგის გავლენა დემოგზე ყველაზე უფრო ძლიერია, დემოგის თეორიის ამოსავალ წერტილებში - უშუალო მიდგომა ხორციელდება ცხოვრებასთან, უფლების არსად ინტერესის აღიარება, ობიექტური ნორმის ცნობა, როგორც სუბიექტურ სამართალზე

დამოკიდებული კატეგორიისაა, ფორმულირება სამართლის, როგორც იურიდიულად დაცული ინტერესისა, არის იერიინგის კონცეფციების მხოლოდ განმეორება, ოღონდ შემდგომი განვითარება და დემოგის კონსტრუქციის შედეგები სრულებით გადახრება იერიინგის აზრთა მიმდინარეობისგან; თუ უფლების არსი ინტერესია, მაგრამ ყველგან, სადაც ინტერესი არსებობს, უნდა ვცნოთ სამართლის სუბიექტიც, და არა მარტო რეალურად არსებულ ფიზიკურ პირებში, როგორც ეს იერიინგს ეგონა.

საინტერესოა დემოგის დამოკიდებულების გამორკვევა ფიქციის თეორიასთან — იურიდიული პირი, როგორც მოჩვენებითი, ფიქციური კატეგორია, გამონწვეული სოციალურ ურთიერთობათა მოთხოვნილებით და ანალოგიით აგებული ფიზიკური პირის კონცეფციასთან — ზოგადად ასეთია ამ თეორიის არსი. იურიდიული პირი არ არსებობს რეალურად, არის მხოლოდ ფიზიკურ პირთა გაერთიანება რაიმე მიზნის ან ქონების საფუძველზე, მაგრამ იურისპრუდენცია მას უახლოვებს მეზობელ სფეროს - ფიზიკურ პირთა კატეგორიას და პრაქტიკული მოთხოვნილებების გამო მასაც ფაქტიურად სამართლის სუბიექტად აღიარებს, თუნდაც რომ ეს საგანთა ბუნებას ეწინააღმდეგებოდეს. დემოგი იურიდიული პირის შესახებ ამგვარ შეხედულებას ეწინააღმდეგება. იგი ამბობს, რომ “საგანთა რეალური ბუნება ეს არის პრაქტიკულ მოთხოვნილებათა პირველი, უხეში თარგმანი იურიდიულ ენაზე, თორემ ეს ბუნებაც, მაგალითად, ფიზიკურ პირთა კონსტრუქციაც, არსებითად იგივე ტექნიკური საშუალებაა, გამონწვეული პრაქტიკული საზოგადოებრივი მოთხოვნილებით. ოღონდ ამ ტექნიკური საშუალების მიღმა უნდა ვეძებოთ ის და უნდა ვეძიოთ მისი გამომწვევი მიზნები, რომლებმაც ფიქცია დაამყარეს”.

ჩვენი აზრით, დემოგი მთლიანად ფიქციის ნიადაგზე დგას და ამ ფიქციის უფრო ბეჯითი მიმდევარია, ვიდრე თვით იერიინგი. უფრო როიალისტია, ვიდრე თვით მეფე. სამართლის სუბიექტი, როგორც იურიდიული ტექნიკის საშუალება და არა მუდმივი შინაარსის მქონე ძირითადი იურიდიული პრინციპი, ეს არის სამართლის სუბიექტის ფიქციად აღიარება მთელი მისი მოცულობით. რეალურად არსებობს მარტო განსახორციელებელი ინტერესი, მაგრამ მის უკეთ განსახორციელებლად საჭიროა მიკუთვნება გარკვეული ცენტრისათვის, ამას მოითხოვს იურიდიული პრაქტიკა და არა საგნის

შინაარსობრივი მხარე და აი, ამიტომ იქმნება სამართლის სუბიექტთა კატეგორია, როგორც ტექნიკური საშუალება ინტერესთა დაჯგუფების დასრულებისათვის. აქ არა მარტო იურიდიული პირი, არამედ სამართლის სუბიექტი მთლად არის აღებული და გადატანილი რეალურისგან მოხერხებულობის მოსაზრებებით ნაკარნახევ, არსებითად ხელოვნურ, ფიქტიურ სფეროში.

### XIII

**რ. დემოვის თეორიის კრიტიკა.** დემოვის თეორიის კრიტიკული ანალიზი ორი ასპექტით შეიძლება იქნეს წარმოდგენილი: მეთოდოლოგიური თვალსაზრისით — დასკვნების გამოტანის მეთოდების შეფასებით და თვით თეორიის შინაარსის მიხედვით. რადგან თეორიის შინაარსი არის შედეგი გარკვეული მეთოდის გამოყენების, ამიტომ დემოვის შეხედულებების კრიტიკული შეფასება მისი მეთოდოლოგიური ამოსავალი წერტილების ანალიზით უნდა დავიწყოთ.

1. დემოვი მსჯელობას იწყებს უფლების განხილვით — ინტერესით და მხოლოდ შემდეგ გადადის ობიექტური სამართლის არსებით მხარეზე — ინტერესის დაცვაზე. რამდენად მისაღებია მსჯელობის ასეთი მიმდინარეობა? ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ის არ არის სწორი, რამდენადაც დემოგს მიზნად აქვს არა გენეტიკური კვლევა სამართლებრივი მოვლენების თანმიმდევრობისა, არამედ მათი ძირითადი საფუძვლების სისტემატური ანალიზი. ამ ანალიზის დროს კი, როგორც სამართლიანად აღნიშნავს იგი, სუბიექტური ანალიზი ყოველთვის გულისხმობს ობიექტურს; იურიდიულად სუბიექტური სამართალი (უფლება) დამოუკიდებელია ობიექტურისაგან, რადგან უფლება ან მოვალეობა მხოლოდ მაშინ იღებს სამართლებრივ ხასიათს, როდესაც დაკავშირებულია ობიექტურ ნორმასთან. ამიტომ, ლოგიკურადაც, ობიექტური ნორმის შინაარსიდან ამოსვლა სუბიექტური სამართლის აუცილებელი პირობაა. თუ ეს ასეა, თუ ის სისტემატიური ანალიზი იურიდიული მეცნიერების ძირითადი პრინციპებისა, რომლის წარმოებას დემოვი ლამობს, ობიექტური და არა სუბიექტური სამართლისგან დაწყებას მოითხოვს, მაშინ უნდა განვიხილოთ ჯერ რა არის ობიექტური ნორმა, არის თუ არა ინტერესი, დაცული

უძლიერესი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ. (აქ დემოგს სამართლის დახასიათებაში ერთობლივად რამდენიმე ნიშანი შეყავს: 1) სამართალი, როგორც ძალა ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით; 2) სამართლის ნორმა, როგორც რაიმე ინტერესი თავის შინაარსის მხრივ და 3) ხიდი ამ ორ ელემენტთა შორის: ინტერესის დაცვა ძალის მიერ).

1) ის, რომ სამართალი არის *kraftsberggriff*<sup>22</sup>, დემოგზე ადრე ითქვა იერინგის მიერ (*der kampf ums recht*)<sup>23</sup> — „სამართალი არის ან ძალის ცნება, ან ლოგიკური კატეგორია“. ამ თეზისის ანალიზი და მისი ყოველმხრივი განხილვა მეტად გაართულებდა ჩვენს ამოცანას და პირდაპირ მიზანს აგვაცილებდა. ამიტომ ამ შემთხვევაში, მივიღოთ დოგმატურად, რომ არ არსებობს ობიექტური სამართლებრივი ნორმა მის უკან მდგარი სოციალურ ძალის და მისთვის მეტრძოლი ორგანიზაციის გარეშე.

მაგრამ ამჯერად ჩვენ გვინტერესებს არა ის, თუ როგორ ხდება რეალურ ცხოვრებაში სამართლის გამოვლინება და განხორციელება, არამედ ის, თუ რას წარმოადგენს ობიექტური სამართალი თავისი შემადგენლობით. მხოლოდ ასეთი შეიძლება იყოს იურიდიული ანალიზი, სამართლის მეცნიერების ძირითადი საფუძვლებიდან გამომდინარე. ამ შემადგენლობაში კი ძალა არ შედის, როგორც იურიდიული ნიშანი სამართლისა. ის არის ელემენტი, რომელიც ფაქტიურ ცხოვრებაში გამოვლინდება მხოლოდ მაშინ, როცა განხორციელდება სამართლად აღიარებული ნორმა მისი იურიდიული შემადგენლობის გამო.

2) ობიექტური ნორმის შინაარსი ინტერესია. ასეთია შედეგი იმ დაკვირვებისა, რომელსაც ყოველდღიური ცხოვრების სამართლებრივ ფაქტებზე ვახდენთ. მაგრამ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ობიექტური ნორმის შინაარსი ანუ სუბიექტური სამართალი იურიდიულად და ლოგიკურად დამოკიდებულია ობიექტური სამართლის განმარტებაზე. რამდენადაც ჩვენ მისი თეორიული ბუნების გაგება გვსურს, ამიტომ, უფრო მართებული იქნება აღვნიშნოთ სუბიექტური სამართალი, როგორც უფლება ან მოვალეობა პირისა, რომელიც ობიექტური ნორმის შინაარსშია

<sup>22</sup> [გერმ. ძალის ცნება].

<sup>23</sup> [გერმ. ბრძოლა უფლებებისათვის].



დანესებული. შესაძლებელია და ხშირადაც ეს უფლება ან მოვალეობა არის ინტერესი რომელიმე სუბიექტისა, მაგრამ ეს არის ადამიანის შინაგანი განცდის ფსიქოლოგიური სფერო და როდის ითვლება კონკრეტული ადამიანის შეგნებისთვის ინტერესად, არ წარმოადგენს ობიექტური ნორმის მყარ იურიდიულ შინაარსს.

3) წინა ორი ელემენტის ანალიზი ცხადყოფს, რომ თუ სამართლის ლოგიკური ბუნებისთვის ძალა არსებითი არ არის, უფლებისათვის ინტერესი ფსიქოლოგიურ-სუბიექტური და არამყარი მხარეა, სამართალი როგორც ინტერესის დაცვა ძალის მეშვეობით წანამძღვრებიდან წანარმოები ფორმულაც არ შლის ჩვენს წინაშე სამართლის ბუნების არსებით ნიშნებს. იურისტისთვის ამ დაცვის სწორედ შინაგანი ანალიზია საინტერესო, თვითღირებული პრობლემა და არა როგორც ტექნიკური საშუალება ინტერესის უზრუნველყოფისა.

2. ახლა გადავიდეთ თვით თეორიის შინაარსის და მისი შედეგების შეფასებაზე:

1) სამართლის აქტიური და პასიური სუბიექტისთვის სეპარაცია, მათი ერთმანეთისგან გათიშვა და მათთვის სრულიად განსხვავებული, თითქმის დაპირისპირებული თეორიული საფუძვლების შექმნა, გაუმართლებელ დუალიზმად მიგვაჩნია. თვით დემოგი უარყოფს სამართლის სუბიექტის ცნებას, როგორც კონსტიტუციური იდეისა და მის ნაცვლად წამოაყენებს და დოგმატიურ ამოსავალ წერტილად იღებს უფრო დასაბუთებულს, უფრო ტრადიციაზე, ვიდრე ლოგიკაზე დაყრდნობილ განჯგუფებას სამართლის სუბიექტებისა, აქტიურად და პასიურად. ისინი კორელატიური ცნებებია და შეუძლებელია ერთმანეთისაგან გავთიშოთ უფლების და მოვალეობის მატარებელი სუბიექტები თეორიული კვლევის დროს და მათთვის სხვადასხვა კონცეფციები შევქმნათ.

თვით დემოგიც აღიარებს, ფსიქოლოგიურად უფლება და მოვალეობა მეტად ძნელი გასარჩევია, რადგან, რაც ერთი ადამიანისთვის მოვალეობაა, მეორე, აქტიური საქმის მოყვარული ტიპისთვის შეიძლება უფლებაც იყოს და პირუკუ, ზოგი უფლება ადამიანს მძიმე ვალდებულების ტვირთის სახით აწვება ხოლმე. ასეთი ფსიქოლოგიური განურჩევლობა უფლებისა და მოვალეობისა დემოგისტთვის მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ მთელს თავის წანარმოებში ის არსებითად ფსიქოლოგიურ ნიადაგზე დგას.

ინტერესის ცნება ძირითადი დემოგისთვის, არის ჩვენი შინაგანი ცხოვრების ფენომენი, მერყევი და განსაზღვრული მრავალი შინა და გარე პირობების მიერ. ამის გარდა, კონკრეტულ იურიდიულ ცხოვრებაში ყველაზე უფრო გავრცელებულია იურიდიული ცხოვრების ორი ტიპი: უფლება-მოვალეობა, და აქ ისეთი კორელატიური ხასიათის კავშირია, რომ ძნელია თეორიამ ერთს სხვა საფუძვლები და სახელმძღვანელო იდეები მიანიჭოს, ვიდრე მეორეს. ეს გაუმართლებელია, როგორც კონკრეტული ფაქტიური მოცემულობების მთლიანობის, ისე მეცნიერულ-თეორიული თვალსაზრისით.

2) დემოგი უსაყვედურებს პლანიოლს, რომ თუ კოლექტიური საკუთრების სუბიექტებად ცალ-ცალკე ყველა მესაკუთრეს ვალიარებთ, მათი სიმრავლე გაურკვევლობამდე მივა. ეს საყვედური შეიძლება თვით დემოგს შეეფუბრუნოთ, ოღონდ არა სახეობითი (იურიდიული პირი), არამედ გვარობითი (სამართლის სუბიექტი) მასშტაბით: ყველგან, სადაც არსებობს დასაცავი ინტერესი, დემოგი იძლევა წინადადებას იქ სამართლის სუბიექტიც ვალიაროთ *presque, a peu press*, როგორც ტექნიკური იარაღი ამ ინტერესების საუკეთესო ფიქსაციისთვის. ამით სამართლის სუბიექტის ცნების მოცულობა, ერთი მხრივ, და სამართლის სუბიექტის მისაკუთვნებელ მოვლენათა რიცხვი იურიდიულ ქმნადობაში, მეორე მხრივ, მეტად გაურკვეველი ხდება. სალიელი იმაშიც კი ამტყუნებს დემოგს, რომ სამართლის სუბიექტების რიცხვის ასეთი გამრავლებით ის მეტად უახლოვდება *Zweckvermogen*<sup>24</sup>-ის თეორიას, რადგან სუბიექტის ცნებისთვის საკმაოდ თვლის რაიმე დაცულ ინტერესს, რაც მეტად ახლოს არის მიზნისთვის განკუთვნილ ქონებასთან. ჩვენის აზრით, ამ ორი თეორიის ასეთი დაახლოება შეუძლებელია, თუნდაც იმიტომ, რომ დემოგი ფართოდ იღებს სამართლის სუბიექტთა შესაძლებლობას, თუ ისინი რაიმე მორალურ ინტერესს, იდეალურ მიზანს იცავენ, ყოველგვარი ქონების, საკუთრების გარეშეც.

საინტერესოა ის რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა, რომელშიაც სალიელი დემოგის თეორიას ეხება:

---

<sup>24</sup> (გერმ.) მიზნობრივი ქონება.

1. საკუთარ და დემოგის თეორიებს შორის უმთავრეს განსხვავებას სალეილი იმაში ხედავს, რომ დემოგისთვის სამართლის სუბიექტი არსებობს იურიდიულ ტექნიკის უბრალო პროცესში, სალეილისთვის კი ის სპეციალური, იურიდიული რეალობაა. „სწორედ ამიტომ, სურს დემოგს, ამბობს სალეილი, ეს ცნება განუსაზღვრელად გამოიყენოს, იდეების და კონცეფციების მიხედვით. ის ცხოველებსაც თვლის სამართლის ჭეშმარიტ სუბიექტებად, რასაც სალეილი არ ეთანხმება.“ იურიდიული რეალობა როდია მარტო ტექნიკა, სუბიექტის ცნებაში უსათუოდ უნდა იყოს სხვა, ნებითი ელემენტიც” (593). ამიტომ იურიდიული რეალობა არ არის მარტო „პრაგმატისტული“ ხასიათის, ტექნიკური რეალობა, არამედ საკუთარი შინაარსის მქონე სამყარო.

2. დემოგს სურს შექმნას სამართლის სუბიექტის რეალობასთან მჭიდროდ გადაჭდობილი, კონკრეტული ხასიათის თეორია. არსებითად კი უფლების და მოვალეობის სუბიექტთა სეპარაციით ის იმ შედეგს იღებს, რომ უფლების სუბიექტი წმინდა ნომინალური ხასიათისაა. ჭეშმარიტი უფლება არსებობს მხოლოდ მოვალეობის სუბიექტისთვის, იმისთვის, ვინც მოვალეა უფლების წინაშე. ინტერესის ცენტრი მარტო მაშინ არის რეალური, როდესაც მის წინაშე ვალდებულნი სცნობენ მას, როგორც ინტერესს.

3. დემოგის თეორია მეტად ამცირებს სამართლის სუბიექტის, როგორც ძირითადი იურიდიული კატეგორიის ღირებულებას, იმით, რომ მას ტექნიკურ პროცესად, მოსახერხებელ იარაღად თვლის და არა დამაფუძნებელ, საკუთარი შინაარსის მქონე პრინციპად.

ასეთია მოკლედ, ის კრიტიკული შეფასება, რომელიც შეიძლება დემოგის თეორიას წამოუწყენოთ. ისიც ეხება არა სპეციალურად დემოგის მიერ იურიდიული პირის გაგებას, არამედ ამ გაგების იურიდიულ წანამძღვრებს. კვლავ ვიტყვით, რომ იურიდიული პირის პრობლემა დემოგისთვის არის დიდი მოცულობის თეორიის ერთ-ერთი სახეობათაგანი და თეორიის ძირითადი ნიშნებისაგან სავსებით შეიძლება ანალოგიურად დადგინდეს იურიდიული პირის ბუნება. ამიტომ იურიდიული პირის თეორიული პირობების კრიტიკაც არაპირდაპირ არჩევს თვით იურიდიული პირის პრობლემას.

ზემოთმოთხრობილიდან უკვე ცხადია, რომ ჩვენთვის დემოგის კონცეფცია, როგორც სამართლის ძირითადი ცნებების სისტემატიური ახსნა-განმარტების და დასაბუთების მიმცემი, მიუღებელია. ასეთი რამ დემოგმა ვერ შეძლო ყალბი მეთოდოლოგიური საფუძვლის გამო, რამაც გამოიწვია შინაარსობრივადაც მცდარი თეორიული შედეგები. დემოგის მიზანი, მოეცა სამოქალაქო სამართლის ძირითადი ცნებების სრული ანალიზი და ამ მიზნის შესასრულებელი საშუალება - კონკრეტული ცხოვრების ფსიქოსოციალურ მოვლენათა ინდუქციური დაგვირგვინება, ერთმანეთს არ ესაბამება. მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის ვალიაოთ დემოგის თეორიის მნიშვნელობა სულ სხვა მიზნის მიმართ - ეს არის სამართლებრივ მოვლენებზე დაკვირვების მეტად მოხდენილი ცდა, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტორების და ფენომენების და ამ სფეროში, ამ ნიადაგზე მათი თავისებური ცხოვრების ცხადყოფა.

იურიდიული რეალობა თავისებური რეალობაა. თვით ფიზიკური პირი სამართლის სუბიექტად ქცევისას კარგავს თავისი ბუნებრივი რეალობის ნაწილს და, მაგალითად ქონებრივი გაცვლა-გამოცვლის სფეროში მხოლოდ სამეურნეო ცხოვრების აბსტრაქტულ ცენტრად იქცევა (პოკროვსკი, 131). ამიტომ სამართლის სუბიექტად ქცევა, როგორც კონსტრუქტიული, პირობითი რამ, იურიდიულ პირს სავსებით შეესაბამება. თანამედროვე ხანაში, როდესაც სოციალური ცხოვრების სიმძიმის ცენტრი კავშირებში, კოოპერაციებში, კოლეგიებში ე.ი. იურიდიულ პირთა ინსტიტუტშია გადატანილი, როდესაც თავისუფალი ნებაყოფლობითი ასოციაციების წარმოშობის გამო იურიდიული პირი ინდივიდის შემდგომი განვითარების ბუნებრივი გაგრძელებაა, როდესაც ყოველი კულტურული ადამიანი სოციალურ ცხოვრებაში პირისპირ ხვდება იურიდიულ პირს, ვითარცა ცხადად არსებულს და რეალურს, ზედმეტია მის ფიქტიურობაზე ლაპარაკი.

მეორეს მხრივ, ე.წ. იურიდიული რეალობის ცნებამაც არ უნდა დაგვაშინოს. აქ ჩვენ ვერ დავიმსახურებთ მეტაფიზიკაში გადასვლის საყვედურს, იურიდიული რეალობა, ფიზიკურად არახელშესახები, მაგრამ გარეგანი რეგლამენტაციის მიერ განწესებული, ისეთი ყოველდღიური მოვლენაა თანამედროვე სამართლებრივი შეგნებისთვის, რომ მის მისაღწევად აბსტრაქციის დიდი ნიჭი საჭირო არ არის.

ცხადია ერთი რამ. ჯერ არ მომხდარა იურიდიული პირის სრული პრაქტიკული გამოვლინება. მომავალი მოგვეცემს იურიდიული პირის ინსტიტუტის მრავალ ახალ ფორმას და სახეობას. პარალელურად, იურიდიული პირის თეორიული ბუნებისათვის არ არის ჯერ თქმული უკანასკნელი სიტყვა. ამას ამტკიცებს თუნდაც, თანამედროვე მეცნიერებაში არსებული აზრთა უკიდურესი აღრევა. ეს უკანასკნელი სიტყვაც მომავალს ეკუთვნის.

## Традиционное учение писателей пандектного права о публичной вещи

Ученые гражданского права запада исследуют сущность публичной вещи в связи с учением римского права о вещи вне оборота - *res extra commercium*, - в том виде, как оно впоследствии преломилось в рецепированном римском, т.е. в общегерманском праве. Основным подразделением объектов права для римских учёных было деление их на вещи, немогушие находится в собственности частных лиц (*res extra patrimonium singularum*), и вещи таковой собственности доступные (*res in patrimonio*). Именно этим основным делением вещей на две категории и начинается вторая глава, Институции Юстиниана – «О вещах» (*Inst. 2.1. de rerum divisione*). Как видим, обозначение публичной вещи, как внеоборотной, - *res extra commercium*; *res quarum commercium non est*,<sup>1</sup> - ставшее всеобщим признанным и популярным в общегерманском праве, - в римских источниках встречается сравнительно редко. Тем не менее, несомненно то, что «вещь, вне частной собственности» римлян, и «внеоборотная вещь» пандектного права, - являются различными внешними названиями одного и того же понятия, идентичного содержания, идентичного состава признаков.

Чем же эти внеоборотные вещи отличались от остальных объектов права? Само обозначение *extra commercium* даёт нить для нахождения специфического признака этой категории вещей. В понятие гражданского оборота вкладывают много различных

---

<sup>1</sup> D. 1. 6. de contr. eint. 18.1 Pomponius; D. 1. & 2 D. 20. 3. Marcianus.

смыслов. Но преимущественно под ним понимается объединенный процесс перехода прав от одних субъектов к другим, если понятие оборота понимать динамически, - и система способов приобретения и отчуждения прав, - если на минуту абстрагироваться от текучего характера процесса оборота и восприятия его статически. Следовательно, где нет процесса перенесения прав от одних субъектов к другим, где нет приобретения и отчуждения прав, - там нет и оборота. Но мы знаем, что всякое частное, т.е. гражданское право именно тем и характеризуется, что субъект права может распоряжаться им по своему усмотрению и может заключать по отношению к своему праву любые юридические сделки, т.е. любые юридические действия правомерного характера. В этом и состоит автономный характер частных прав. Следовательно, юридическим *pop sens*-ом является обладание частным правом, без возможности пустить его в гражданский оборот, т.е. без возможности так или иначе распорядиться им.

Сейчас для нас ясно понятие вещи вне оборота: это такие вещи, права на которые нельзя ни отчудить, ни приобрести. По отношению к ним невозможны никакие частно-правовые сделки. Ведь юридические сделки и являются, так сказать, узлами оборота, - они и фиксируют движение прав. Но мы знаем, что никакое частное право не мыслимо без возможности, распоряжаться им, приобретать и отчуждать его по доброй воле. И раз над внеоборотными вещами нельзя заключать юридических сделок, - то, следовательно, по отношению к ним не существует и частных прав. Так, внешнее свойство внеоборотной вещи приводит нас к пониманию сущности его. Понятно и то, почему римляне

называли внеоборотную вещь «res extra singularum». Ведь частная собственность была самым типичным гражданским правом. Возможность полного распоряжения им согласно со свободной волей субъекта – *ius disponendi*, – основной элемент состава этого права. И чем могли нагляднее указать римские учёные на невозможность допущения частных прав по отношению к внеоборотным вещам как не тем, что отрицали частную собственность на них, т.е. именно отрицали этим возможность частно-правового распоряжения правом, по своему усмотрению. На внеоборотные вещи не существует частных прав: где нет права, там нет и приобретения и отчуждения его, там нет и оборота.

Можно привести аналогию между ограничением оборотоспособности вещи и ограничением правоспособности субъектов по римскому праву. Так же, как и на некоторые объекты может не быть частных прав, некоторые субъекты не могут обладать частными правами. Мы тут подразумеваем различные ступени *status libertatus, civitatis et familiae*, и в связи с этим, – различные степени *capitis deminutio*. Совсем иное положение при ограничении дееспособности: тут право наличествует, но оно осуществляется не непосредственно, а иным путём.<sup>1</sup> В современном праве ограничение или лишение прав отдельных субъектов встречается лишь в виде исключения, – ограничение же оборотоспособности объекта, т.е. изъятие его из сферы частного распоряжения субъекта и подчинение вещи определенному режиму, – завоевывает все более и более места и постепенно охватывает все новые и новые категории вещей.

---

<sup>1</sup> см. Enneccerus – Lehrbuch des bürgerlichen Rechts.



Согласно римскому праву, - вещи были внеоборотными по самым различным основаниям. Несмотря на многообразие, - их можно подвести под три основные группы:

I. Прежде всего внеоборотными считались *res divini juris*<sup>1</sup>, - т.е. вещи, каким-либо образом посвященные богам, и поэтому подчиненные божественному, а не человеческому праву, - *jus divinum*, а не *jus humanum*. Таковыми являлись: а) *res sacrili*, - эти вещи с согласия народного собрания, непосредственно, через плебисцит, или посредственно, через сенатусконсулт, посвящались богам, путем торжественного акта посвящения, производимого понтификами, - *sacrile publica*. *Res sacrae*, т.е. священные вещи предназначались, главным образом, для религиозного служения – напр. храмы, предметы необходимые для исполнения религиозного ритуала и т.д.

б) *Res religiosae* – места погребения. Они считались как бы принадлежащими душам усопших<sup>2</sup>, и поэтому недоступными для прав живых людей.

с) *Res sanctae*, - освященные вещи, - напр. стены города и городские ворота, находящиеся под особой защитой богов.

Все эти вещи были изъяты из оборота на религиозной основе. Вследствие их религиозного предназначения акты частного распоряжения, частные права на эти вещи считались недопустимыми. Частно-правовые следки над ними не совершались, - они были вне гражданского оборота. В общегерманском праве римское учение о *res divini juris* было принято с большими изменениями: *res sacrae* там уже считались

---

<sup>1</sup> Inst. 2.1. de rer. div.

<sup>2</sup> Дернбург – Пандекты, т. I, стр. 190. пер. Соколовского.

частной собственностью религиозных общин, т.к. церковь являлась независимым управомоченным субъектом, наряду с государством. Правда, церковное право запрещало профанирующее пользование этими вещами. Что касается мест погребения, - они также являлись частной собственностью либо прихода, религиозной общины, либо города.

**ჩვენი რეპტორი ივანე ჯავახიშვილი**

1919 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების მეორე წელს, ჩავირიცხე სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, ფილოსოფიური განხრით, ხოლო შემდეგ, ახალი ფაკულტეტების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, დავამთავრე აგრეთვე ეკონომიური და იურიდიული ფაკულტეტები.

მთელი სტუდენტობის სათაყვანებელი პიროვნება იყო ჩვენი სასიქადულო რექტორი, დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი.

ყოველდღიურად ბ-ნი ივანე უნივერსიტეტისაკენ „ზემელიდან“ (ახლა რუსთაველის მოედანი) ფეხით მიდიოდა. „ზემელამდე“ იგი გალმიდან მომავალ ტრამვაის მიჰყვებოდა და დანარჩენ გზას ფეხით გაივლიდა ხოლმე. გზაში ხვდებოდა აუარება სტუდენტობა და ინტელიგენცია. ყველას, დიდსა თუ პატარას, თავაზიანად მიესალმებოდა ქუდის მოხდით. მერე კი მოასწრებდა შევერცხლილი თმის გასწორებასა და თბილი ქუდის დახურვას, რომ ისევ უნდა მოეხადა ქუდი. ასე გრძელდებოდა უნივერსიტეტის კარიბჭემდე.

უნივერსიტეტში ხომ ყოველთვის ქუდმოხდილი, მონივნებით შედიოდა.

ივანე ჯავახიშვილის ლექციებს, ქართველი ერის ისტორიაში, ესწრებოდნენ არა მარტო ყველა ფაკულტეტის სტუდენტები, არამედ ქალაქიდან მოსული ინტელიგენციაც. აუდიტორიაში ტევა არ იყო, ფანჯრის რაფებზეც კი იყვნენ ჩამომსხდარნი, ნემსი ვერსად ჩაეტეოდა, მაგრამ აუდიტორიაში ბუზის გაფრენას გაიგონებდა კაცი; ჩვენ, სტუდენტები, ადრევე ვიკავებდით ადგილებს წინა მერხებზე, ჩვენი სამუშაო მოგვქონდა და საათი ან საათნახევარი ჩვენს საქმეს ვაკეთებდით ლექციის დანეყების მოლოდინში.

აი, გაილო კარი და ივანე ჯავახიშვილი შედგა კათედრაზე. გარეგნულად მშვენიერი, იგი ჭეშმარიტი განსახიერება იყო ქართული კეთილშობილური და ევროპული ჯენტლმენური სანყისისა. ოდნავ მომღიმარი, თვალს მოავლებდა აუდიტორიას. მის გამოხედვაში ერთდროულად გამოსჭვიოდა უწყინარობა მტრედისა და სიმძლავრე ზევსისა.

ინყებოდა ლექცია, ბ-ნი ივანე ლაპარაკობდა უფრო ხშირად დამდგარი. თან შემოჰქონდა დატენილი პორტფელი, გარშემო

შემოილაგებდა ნიგნებს, წყაროებს, თუმცა ძალიან იშვიათი იყო, რომ ლექციის დროს რომელიმე მათგანი გადაეხსნა და ციტატა ამოეკითხა. წყაროებიდან ციტატებს ზეპირად, ჩაუხედავად ამბობდა. მაშ, რატომ შემოჰქონდა აუდიტორიაში დაბეჭდილი და ხელნაწერი წყაროებით სავსე პორტფელი? ალბათ, უფრო ფსიქოლოგიური თვითდარწმუნებისათვის, უალრესი მეცნიერული კეთილსინდისიერების გამო, რათა საჭიროების შემთხვევაში ისტორიული დოკუმენტაცია ხელთ ჰქონოდა.

ივანე ჯავახიშვილი ლექციას კითხულობდა დინჯად, ხმის აუმაღლებლად, ჩვეულებრივი სასაუბრო კილოთი. მისი არაჩვეულებრივად სიმპათიური, თითქოს გამოქანდაკებული სახე მშვიდი და ოდნავ მომღიმარი იყო. მაგრამ თვალების გამომეტყველება სრულიად ეცვლებოდა, როცა საქართველოს წარსულის რომელიმე სავალალო და ბედშავ ამბავს შეეხებოდა. მაშინ ხმა აუთრთოლდებოდა, ფერი ეცვლებოდა, თვალებში სევდა ჩაუდგებოდა. ხანდახან შეჩერდებოდა კიდეც და მცირე პაუზის შემდეგ განაგრძობდა თხრობას. იგი ჩვენ თვალწინ იდუმალად განიცდიდა ჩვენი ერის ტრაგიკულ წარსულს და თავისი ხალხის სიყვარულის მწველ კვალს ველარ მალავდა. იმ წუთებში ის უალრესად თავდაჭერილი და დარბაისელი ადამიანი...

ჩვენი პატივისცემა და სიყვარული მისდამი უზომო იყო.

მე მქონდა ბედნიერება ჩამებარებიან ივანე ჯავახიშვილის გამოცდა ქართული სამართლის ისტორიაში. საგანი მოვამზადე პირველ წყაროებით, მრავალი ტკბილი და დაუვინყარი ღამე გავათიე მათ კითხვაში. ვერც კი ვამჩნევდი, როგორ შეცვლიდა ნათურის სინათლეს დილის მზის შუქი.

ბ-ნ ივანეს მივმართე თხოვნით და გამოცდა ვადაზე ადრე დამინიშნა. გაზაფხულის ერთ მშვენიერ საღამოს დიდად აღელვებულმა შევალე რექტორის კაბინეტის კარი. ივ. ჯავახიშვილი საწერ მაგიდას უჯდა. მისმა სიმშვიდემ და თავაზიანობამ უცებ დამანყნარა. რექტორის საწერი მაგიდის წინ სკამზე ჩამოვჯექი და როგორი იყო ჩემი სიხარული, როდესაც პირველ საკითხად ჩემ მიერ, რამდენადაც მაშინ შემეძლო, საგანგებოდ შესწავლილი „ხელმწიფის კარის გარიგების“ გარჩევა დამისახელა (ეს ძეგლი მაშინ ახალადმოჩენილი იყო).

დიდხანს ვილაპარაკე, მასალა გულდასმით მქონდა დამუშავებული, ამასთან – დალაგებული არა ისე, როგორც პირველწყაროში იყო, არამედ თანამედროვე სახელმწიფო სამართლის ძირითადი კატეგორიების მიხედვით და თანმიმდევრულად. გამოცდის დასაწყისში ძალიან ვლეღავდი. ვატყობდი, რომ დროდადრო ხმა მიწყდებოდა. ჩვენი სათაყვანებელი რექტორი წინ მიჯდა და ყურადღებით მისმენდა. მარტო ორჯერ შემანყვეტინა: „ხმამალლა, გთხოვთ, უფრო ხმამალლაო“, — მითხრა და მეც ხმას ავუწიე.

სხვა არც არაფერი უკითხავს, ღიმილით გამომართვა მატრიკული და შიგ თავისი მშვენიერი ხელით უმაღლესი ნიშანი ჩამიწერა, დამიბრუნა და ჩემთვის მოულოდნელად ხელი ჩამომართვა. რა ბედნიერების ღირსი გავხდი არ მახსოვს, როგორ გამოვედი უნივერსიტეტიდან. ჩავირბინე დაღმართი, მელიქიშვილის (მაშინ წყნეთის) ქუჩა და ჩემს ოთახში გავჩნდი. მხოლოდ მაშინ შევამჩნიე, რომ მატრიკული და თვით ჩემი ხელი დიდი სასოებით გულში მქონდა ჩაკრული...

ჩვენ, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები, ხშირად ვუზიარებდით ჩვენს ხელმძღვანელს, პროფესორ ლუარსაბ ანდრონიკაშვილს, ივანე ჯავახიშვილის სპეტაკი პიროვნებით, მისი მაღალი განსწავლულობით გამონვეულ ჩვენს აღფრთოვანებას. ბ-ნ ლუარსაბს ეს სიამოვნებდა, რადგან ბ-ნი ივანე ნათესავი იყო მისი და მეგობარიც. მახსოვს, ერთხელ სხარტად, სულ რამდენიმე სიტყვით დაახასიათა ბ-ნმა ლუარსაბმა ივანე ჯავახიშვილი: თავისი სულიერი სიმშვიდითა და კეთილშობილებით ძველ ბერძნულ ქანდაკებას მაგონებს, ხოლო ეს ქანდაკება გააცოცხლა და გრძნობით აღავსო სამშობლოს სიყვარულმაო“.

ივანე ჯავახიშვილი ჩვენი თაობის სტუდენტებისათვის იყო განსახიერება ეროვნული ღირსებისა, მაღალი ადამიანური სინდისისა, მეცნიერული სიღრმისა და უმნიშვნელო მოქალაქეობრიობისა.

## პირველი ფილოსოფიური სემინარი პროფესორ შალვა ნუცუბიძის ხელმძღვანელობით

მრავალმა წელმა განვლო თბილისის უნივერსიტეტის პირველი ფილოსოფიური სემინარის მუშაობის შემდეგ. მაგრამ ჩვენთვის, ამ სემინარის წევრებისა და ფილოსოფიური ფაკულტეტის პირველი გამოშვების კურსდამთავრებულებისათვის, მარად დაუვიწყარია ის უკვდავი ენთუზიაზმი და უანგარო შრომა, ის ჯადოსნური ნიჭი და ხელმძღვანელობის შესანიშნავი უნარი, რაც გამოავლინა ჩვენი ქვეყნის დიდმა მოაზროვნემ და მკვლევარ-აკადემიკოსმა შალვა ნუცუბიძემ.

ეს ის დრო იყო, როდესაც პირველად აინთო მშობლიური მეცნიერული კერა. მას შეჰხაროდა მთელი ქართული საზოგადოება, მაგრამ განსაკუთრებით შევეტრფოდით მას ჩვენ, მოსწავლე ახალგაზრდობა. ბედნიერი ვიყავი და ვამაყობდი იმით, რომ სწორედ ჩვენ გვხვდა წილად მოგვესმინა პირველად რუსეთის და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან შეკრებილ ქართველ მეცნიერთა ცოცხალი სიტყვა მშობლიურ ენაზე.

ჩვენ მხურვალედ გვიყვარდა ჩვენი უნივერსიტეტი, თვით მისი თეთრი, ქათქათა და მოხდენილი შენობა. ხშირად, საღამოს, ლექციების დამთავრების შემდეგ, ჩამოვსხდებოდით მისი გარეკიბის საფეხურებზე, ვსაუბრობდით და თანაც აღტაცებით შევეცქეროდით ჩვენს alma mater-ს, რა ვუყოთ, რომ ჩვენი ცოდნის ტაძრის საფეხურები არ იყო მოკიდებული ხავსით, როგორც ზოგი ძველი უნივერსიტეტისა, რომლებიც თავიანთ არსებობას საუკუნეებით ითვლიდნენ. ჩვენთვის იგი არანაკლებ სანუკვარი და საყვარელი იყო.

ჩემთვის, როგორც ფილოსოფიური ფაკულტეტის სტუდენტისათვის, მარად დაუვიწყარია ის უდიდესი ღვაწლი და შრომა, რომელიც ჩვენ დაგვდო პროფესორმა შალვა ნუცუბიძემ.

მისმა ბრწყინვალე ლექციებმა და მისი ხელმძღვანელობით ჩატარებულმა სემინარებმა შთანერგეს ჩვენში ცოდნის დიდი წყურვილი და სიყვარული, ის მისწრაფება მეცნიერულ აზროვნებისა და მუშაობისადმი, რაც გადაიქცა ცხოვრების მამოძრავებელ სტიმულად.

ლად იმათვის, ვინც ფილოსოფიური აზროვნება ძირითად სას-  
იცოცხლო საქმედ დაისახა და იმათვისაც, ვინც შემდეგ სულიერი  
ინტერესი მეცნიერების სხვა სფეროებზე გადაიტანა.

საგანი ბ-ნ შალვას პირველი ლექციისა, რომელიც უნივერსი-  
ტეტში მოვისმინე, პლატონის ფილოსოფია იყო, კერძოდ, ჩვენი  
ლექტორი ვრცლად შეჩერდა დიალოგზე „ნადიმი“ („სიმპოზიონი“).

მისი ლექციებიდან აღტაცებულები, გაბრუებულები გამოვდი-  
ოდით...

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ შალვა ნუცუბიძე ერთ-ერთი  
საუკეთესო ორატორთაგანი იყო საქართველოში, მაგრამ მისი  
აკადემიური მჭერმეტყველება რამდენიმედ განსხვავდებოდა  
მისსავე პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გამოსვლებისაგან.

საფუძველი, რა თქმა უნდა, იგივე იყო – მეტად მდიდარი, ხატო-  
ვანი მეტყველება, უხვად შემკობილი მხატვრული შედარებებით,  
ეპითეტებითა და მეტაფორებით, ხან გამსჭვალული მაღალი  
პათოსით, ხან კი შემსუბუქებული იმპროვიზაციული მახვილ-  
სიტყვაობით.

მაგრამ ჩვენს პროფესორს არ ავინწყებოდა, რომ მას სტუდენ-  
ტები უსმენდნენ და ამიტომ არტისტულად აშენებულ გრძელ ფრა-  
ზებს და თითქოს საფეხურიდან საფეხურზე ამაველ პერიოდებს  
მოსდევდა ძირითადი აზრის შემაჯამებელი სხარტი, თითქოს  
აფორიზმის სახით გამოთქმული დასკვნა, და ამ აფორისტულ თქმას  
ბ-ნი შალვა, ჩვენი ყურადღების გამახვილების მიზნით, ხშირად რამ-  
დენიმეჯერ იმეორებდა.

მისი ლექცია ჩვენზე ახდენდა არა მარტო შემეცნებით  
ზემოქმედებას, არამედ გვანიჭებდა აგრეთვე დიდ ესთეტიურ სი-  
ამოვნებასაც.

ბ-ნი შალვა გულისხმობდა, რომ მის აუდიტორიაში იმყოფებიან  
ფილოსოფიური ცოდნისა და მომზადების გარკვეული დონის სტუ-  
დენტები, ამიტომ არასდროს არ მიმართავდა ზედმეტ პოპულარ-  
იზაციისა ანდა, მით უფრო, ვულგარიზაციის, გადმოსაცემი მა-  
სალის გაუბრალოების ხერხებს.

ის თავიდანვე, ლექციის პირველ ფრაზებიდანვე, ეუფლებოდა  
ჩვენს ყურადღებას და ჩვენც გაფაციცებით ვუსმენდით მას  
ლექციის დასრულებამდე, რათა არც ერთი რგოლი მსჯელობისა არ  
გამოგვრჩენოდა.



ლექციის დროს ზოგჯერ ბ-ნი შალვა ასცილდებოდა ძირითად თემას და გაჰყვებოდა რაიმე სხვა ამბავს, რაც სიტყვამ მოიტანა, ანდა ასოციაციით გაახსენდა. ეს ბრწყინვალე იმპროვიზაცია იყო, არანაკლებ გამამდიდრებელი ჩვენი ცოდნისა, ვიდრე თვით ლექციის შინაარსი. მაგრამ, გადაუხვევდა რა დიდ გზიდან ბილიკისაკენ, შემდეგ მისთვის ჩვეული ოსტატობით კვლავ ლექციის მთავარ თემას უბრუნდებოდა. დროის უტყუარი ალლო ამცნობდა, თუ როდის უნდა დაემთავრებინა ლექცია; საათს არასდროს არ დახედავდა, ისე წარმოთქვამდა დამაგვირგვინებელ ფრაზებს და ლექციის დამთავრების ზარიც დაირეკებოდა.

პირველი კურსის დამთავრების შემდეგ პროფ. შ. ნუცუბიძეს ჩავაბარე გამოცდა ფილოსოფიის შესავალში. ჩემი პასუხი იმდენად მოეწონა, რომ მეორე კურსის მაგიერ მესამეზე გადამიყვანა და თავისი, — იმ დროს უნივერსიტეტში საკმაოდ განთქმული, - ფილოსოფიური სემინარის წევრად და მუდმივ მდივნად გამხადა.

სამწუხაროდ, ფილოსოფიური სემინარის ოქმები ვერ შემოინახა გარდა რამდენიმესი.

ფილოსოფიური სემინარი პროფ. შალვა ნუცუბიძის ხელმძღვანელობით შედგებოდა 15-17 წევრისაგან. მრავალნი მათგანნი უკვე აღარ არიან: გიგო ბაქრაძე, კეთილშობილი და გულისხმიერი ადამიანი, მშვენიერი ფსიქოლოგი, ნინო ხუციშვილი, თინათინ გველესიანი, გრიგოლ ხმალაძე... ნაადრევად და ტრაგიკულად დაიღუპნენ დადამ გელოვანი, - ბ-ნ შალვას ერთ-ერთი უსაყვარლესი მოწაფე, - გიორგი კლიმიაშვილი, ვახტანგ ზაალიშვილი და კიტა მეგრელიძე, ავტორი შესანიშნავი ნაშრომისა „აზროვნების სოციოლოგიის ძირითადი პრობლემები“.

ჩვენი სემინარის წევრები აგრეთვე იყვნენ – სემინარის სიამაყე, ბ-ნ შალვას საყვარელი მოწაფე კოტე ბაქრაძე, ღვანლმოსილი მოაზროვნე ანგია ბოჭორიშვილი, შემდეგ ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელთაგანი: ელ. ბათიაშვილი – ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი; ნინო დიასამიძე და ნინო ვაჩნაძე, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ვარლამ მდინარაძე. სემინარის წევრთა შორის გვყავდა აგრეთვე ორი სამღვდელო პირი.

სასწავლო წლის პირველ (შემოდგომის) სემესტრში სემინარის სამუშაო სფეროს შეადგენდა ახალი, კანტის წინადროინდელი

ფილოსოფია. მახსოვს, ნინო ვაჩნაძემ ბერკლის ფილოსოფიაზე წაიკითხა მოხსენება, ხოლო მე წილად მხვდა დ. იუმი. ყოველ მოხსენებას მოსდევდა ცხოველი და მეტად საინტერესო კამათი.

ბ-ნი შალვა ხელმძღვანელობდა სემინარებს დიდი ტაქტიკითა და პედაგოგიური ალლოთი. იგი ჩვენ გვეპყრობოდა კოლეგიალურად, გულიანად, მაგრამ მანძილი პროფესორსა და სტუდენტებს შორის არასდროს არ იშლებოდა.

პასიური ნევერი ჩვენს სემინარს არ ჰყოლია და ვერც ეყოლებოდა. თუ ბატონი შალვა შეამჩნევდა, რომ ვინმე მორცხვობს, თავს არიდებს პაექრობაში მონაწილეობის მიღებას, მყისვე მას მიმართავდა: „რას მეტყვით თქვენი ამხანაგის მიერ გამოთქმული აზრის შესახებ: ეთანხმებით?...“ ამ შეკითხვას კონკრეტული პასუხი უნდა მოჰყოლოდა და ასე ყველა ებმებოდა კამათში.

ახლაც დიდი მადლობის გრძნობით ვიგონებ ჰუმანურ, ქეშმარიტად პედაგოგიურ მიდგომას ჩვენი ხელმძღვანელისა სტუდენტებისადმი. რა გინდ ბუნდოვანი და არც თუ მნიშვნელოვანი ყოფილიყო სტუდენტის გამოსვლა, ბ-ნი შალვა მოძებნიდა მასში რაღაც საღ მარცვალს, რომელიმე ერთ აზრს, რომელსაც საინტერესო შინაარსს მიაკუთვნებდა და დაასკვნიდა: „თქვენ ამის თქმა გნებავდათ, არა?!“ - მაღლიერი სტუდენტი, რა თქმა უნდა, დაადასტურებდა, სწორედ ამის თქმა მინდოდაო და კამათი იშლებოდა კვლავ მაღალ დონეზე, სწორედ იმ მიმართულებით, რომელსაც გამოცდილი მესაჭის მსგავსად ფრთხილად და ჩვენდა შემჩნევლად აძლევდა აზრთა გაზიარებას, ჩვენი ხელმძღვანელი.

ჩვენმა პროფესორმა იმთავითვე აუღო ალლო ყოველი ჩვენგანის ინტელექტუალურ თავისებურებას. მოგახსენეთ, რომ სემინარის წევრებს შორის ორი სამღვდლო პირი იყო. ისინი კარგად იცნობდნენ ფილოსოფიურ სისტემებს, ბეჯითად და მონდომებით მუშაობდნენ, მაგრამ მათ მსჯელობაში აშკარად იჩენდა თავს სასულიერო სემინარიის სწავლების ზოგი სქოლასტიკური ტრადიცია – ზედმეტი გატაცება დეტალებით, ერთგვარი რიტორიზმი, მიდრეკილება დაუბოლოვებელი კომენტარისაკენ. ბ-ნი შალვა მოთმინებით უსმენდა ყოველივეს და იქვე, ოსტატურად მოცემული შეფასებით გადაჰყავდა მოკამათე ძირითადი პრობლემატიკის სფეროში.

ზოგი ჩვენგანი მძიმედ აზროვნებდა. აქაც ჩვენი პროფესორი მაქსიმალურ ტაქტსა და მოთმინებას იჩენდა, ბოლომდე უსმენდა

სტუდენტს. ჩვენც გვასწავლიდა ამით ამხანაგის აზრის პატივისცემას და მხოლოდ ბოლოს მიაშველებდა სტუდენტს მისი აზრის სხარტსა და ნათელ ფორმულებს.

სემინარის ზოგ წევრს კი, პირიქით, აზროვნების პროცესი გაცილებით წინ უსწრებდა სიტყვას. სწორედ ასეთი იყო შესანიშნავი ნიჭის ადამიანი კიტა მეგრელიძე. ის ლაპარაკობდა ძალიან წრფელად, გულდაჯერებით, მაგრამ ნელი მეტყველება ჰქონდა. ამიტომ მსჯელობის რამდენიმე რგოლს გამოტოვებდა ხოლმე და ისე განაგრძობდა აზრის განვითარებას, ალბათ იმ იმედით, რომ ჩვენ მოვიაზრებდით თქმულსა და ნაგულისხმევს. მაგრამ ბ-ნი შალვა, შესაძლოა იმ მოსაზრებით, რომ კამათის დროს გამოგვეყენებია ჩვენდა სასარგებლოდ ეს ხარვეზები, მყისვე რამდენიმე წინადადებით შეავსებდა მათ და მხოლოდ შემდეგ გააგრძელებინებდა კამათს: „აბა, რას უპასუხებთ კიტას“-ო.

ჩვენ ყველას ძალიან გვიხაროდა, როდესაც კამათში ჩაერეოდა სემინარის უდავოდ საუკეთესო წევრი კოტე ბაქრაძე. მას ჰქონდა მადლიანი ნიჭი არაჩვეულებრივად ნათელი და ცხადი, ლოგიკურად თანმიმდევრული აზროვნებისა. ამიტომ ჩვენთვისაც, მისი გამოსვლის შედეგად, მრავალი ბურუსი იფანტებოდა, ბევრი რამ, რაც აქამდე ბუნდოვანი და გაურკვეველი იყო, ნათელი და გამოკვეთილი ხდებოდა. ხოლო ბ-ნი შალვა აშკარა კმაყოფილებითა და სიამოვნებით უსმენდა მას.

თავის დასკვნით სიტყვაში სემინარის ხელმძღვანელი შესანიშნავად აჯამებდა გაშლილ კამათსა და მის მიმართულებას, დასახულ სადავო საკითხებს. ფრთხილად, მაგრამ გარკვევით მიგვითითებდა, თუ სად ვცდებოდით ანდა რა იყო გამოთქმულ აზრებში სწორი, ორიგინალური და საინტერესო.

ხოლო ამის შემდეგ მე დიდი საზრუნავი მიჩნდებოდა, რადგან ასეთი ბრწყინვალე სემინარის ოქმის დაწერა არც თუ იოლი იყო. ბოლოს ამ საქმესაც გავართმევდი თავს, რადგან შემდეგ სემინარზე წინა სხდომის ოქმი უნდა წაკითხულიყო. მახსოვს, როგორი მღელვარებით წავიკითხე ჩემი პირველი ოქმი. რა თქმა უნდა, ჩემი მღელვარება სემინარის ხელმძღვანელს არ გამოპარვია. წახალისების მიზნით მან შემაქო და თქვა, მე ყოველივე უკეთესად დამინერია, ვიდრე სინამდვილეში იყო თქმული და თან წაიხუმრა: „ჩემს შესახებ სწერია: „ბატონი პროფესორი“. ეს გარდამეტებული ზრდილობაა:

მე ან „ბატონი“ ვარ და ან „პროფესორი“, ან ერთი დავწეროთ, ან მეორე-ო“.

მესამე კურსის მეორე (საგაზაფხულო) სემესტრი მთლიანად მიეძღვნა ემანუილ კანტის ფილოსოფიის შესწავლას. აქ მომხსენებლები არ გამოყოფილა. ყოველ სხდომისათვის უნდა მოგვემზადებია კანტის „წმინდა გონების კრიტიკის“ თითო თავი, ბ-ნი შალვა კატეგორიულად მოითხოვდა, რომ კანტი ორიგინალში, გერმანულად წაგვეკითხა. გადავშალეთ გერმანული ტექსტი და იქვე, კონტროლისა და გაადვილებისათვის, ლოსკის მშვენიერი რუსული თარგმანი და ასე ვმუშაობდით კანტის ფილოსოფიაზე, რამაც გერმანულ ენაშიც საგრძნობლად წინ წაგვწია.

სტუდენტობის მეოთხე, დამამთავრებელ წელს სემინარული მუშაობა წარმოებდა კანტის შემდგომი პერიოდის ფილოსოფიის, განსაკუთრებით, ჰეგელის შესწავლაზე და ბოლოს, თანამედროვე მიმართულებებზე მსოფლიო ფილოსოფიურ აზროვნებაში. რასაკვირველია, პარალელურად იკითხებოდა ლექციები ამავე პერიოდებზე.

ამგვარად, ჩვენ საკმაოდ საფუძვლიანად შევისწავლეთ იმ დროის ე.ი. 20-ნი წლების ევროპული ფილოსოფიის ძირითადი მიმდინარეობანი.

მახსოვს, როდესაც ჩვენს სემინარში მოხსენება წაიკითხა (მგონი ნიკოლაუს ჰარტმანზე) გერმანიიდან ახლად ჩამოსულმა და იქ კურსდამთავრებულმა ახალგაზრდა მოსე გოგიბერიძემ, მან დაიწყო მოხსენების კითხვა იმ რწმენით, რომ სრულიად ახალ სიტყვას გვაუწყებდა. მისთვის მოულოდნელი და გასაოცარიც კი დარჩა ის, რომ საქართველოში დახვდა მშვენივრად მომზადებული და მოხსენების თემის კარგად მცოდნე აუდიტორია.

მოხსენების შემდეგ გაცხოველებული კამათი გაიმართა და ახლადჩამოსულმა პატივისცემით აღნიშნა, რომ მან თბილისში მოიპოვა აუდიტორია, რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდება გერმანიის საუკეთესო უნივერსიტეტების ფილოსოფიის ისტორიის შემსწავლელ სემინარებს. რა თქმა უნდა, ჩვენმა პროფესორმა კმაყოფილებით მოისმინა ასეთი შეფასება მისი სემინარისა, რომელსაც ამდენი ღვაწლი დასდო.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგაც ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ბ-ნ შალვას, ის მისთვის ჩვეული მოელვარე ნიჭით გამოდიოდა ოფიციალურ ოპონენტად ზოგი ჩვენგანის დისერტაციებზე. ბ-ნ შალვას წრფელად ახარებდა ის, რომ ჩვენ, მეტადრე მისი პირველი ფილოსოფიური სემინარის წევრები, დაბეჯითებით ვეცნობოდით მის მიერ გამოქვეყნებულ შრომებსა და გამოკვლევებს. შეხვედრისას ყოველთვის გამოგვკითხავდა თუ რას ვაკეთებთ, რა პრობლემებზე ვმუშაობთ და ვითომ უნებლიეთ, საუბრის მსვლელობაში გამოსთქვამდა ისეთ ახლებურსა და ნაყოფიერ, ორიგინალურსა და პერსპექტიულად მდიდარ აზრებს, რომ ეს ინტელექტუალური ფერმენტი ცხოველმყოფელი ფაქტორი ხდებოდა ჩვენი შემდეგი მუშაობისა.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილი

1921 წლის შემოდგომაზე შევიკრიბეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ჩვენს Alma mater-ში... ბობოქარი, მოუსვენარი დრო იყო. საქართველოში სულ რამდენიმე თვის წინ დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, ხოლო რუსეთში ის-ის იყო გადაიქუხა სამოქალაქო ომმა; მისი ცალკეული გამოეღვებანი ჯერაც არ ჩამქრალიყო ამ დიდი ქვეყნის განაპირა კუთხეებში.

და აი, ჩვენი სასიქადულო, მაშინ სულ ნორჩი უნივერსიტეტის არსებობის მეოთხე წელს, სასიხარულო ამბავი დაგვიხვდა: რუსეთიდან თბილისს ოჯახით ჩამოსულა დიდი და ცნობილი ქართველი იურისტი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, რომელსაც დაევალა უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის დაფუძნება-ჩამოყალიბება. ეს ცნობა ელვის სისწრაფით მოედო სტუდენტობას. მრავალი აღმოჩნდა იურიდიულ ფაკულტეტზე შესვლის მსურველი. მათ შორის მეც გახლდით...

სწავლების პირველ წელს ბ-ნი ლუარსაბი გვიკითხავდა სამართლის ზოგად თეორიას, მეორე წელს – სამოქალაქო სამართლის ზოგად კურსს, ხოლო კერძო სამოქალაქო სამართალს გვასწავლიდა მის მიერ მოწვეული ცნობილი ცივილისტი გრიგოლ რცხილაძე. სისხლის სამართალს, ზოგადსაც და კერძოსაც, კვლავ ბ-ნი ლუარსაბი გვიკითხავდა III და IV კურსებზე.

მოუთმენლად მოველოდით ჩვენს სახელმძღვანელო ლექტორთან პირველ შეხვედრას. მის შესახებ ბევრი რამ გვქონდა მოსმენილ-გაგონილი. და აი, პირველად დავინახეთ იგი კათედრაზე...

მე მგონია, არ ვცვდები, თუ ვიტყვი, რომ ბ-ნი ლუარსაბი თავის წლოვანებაზე უფრო ხნიერად გამოიყურებოდა. დაძაბულმა გონებრივმა შრომამ, ნაფიცი ვექილის მღელვარებით აღსავსე პროფესიამ, როცა დამცველის ნიჭსა და უნარზეა დამოკიდებული დასაცავი პირის ბედი და, ხშირად, თვით სიცოცხლე, — ყოველივე ამან თავისი კვალი დაამჩნია მის გარეგნობას. ბ-ნი ლუარსაბი დადიოდა ჯოხზე დაბჯენილი, — აქ ფეხის ქრონიკული დაავადებაც იჩენდა თავს, — მთლად გაჭაღარავებული იყო. მის გარეგნობაში, მეტადრე დინჯსა და გამჭრიახე, სულის სიღრმეში ჩახედულ მზერაში იყო რაღაც, რაც სოკრატეს ცნობილ გამოსახულებას მოგაგონებდა. იმთავითვე შევამჩნიეთ, რომ მას ახასიათებდა

სწრაფი გადასვლა ერთი განწყობილებიდან მეორისაკენ: ხან დარბაისლური კილოთი გვესაუბრებოდა, ხან კი გამხიარულდებოდა, ლაღად გონებამახვილობდა, იცინოდა...

ბ-ნ ლუარსაბის ლექციის კითხვის მანერა სრულიად ისეთი არ გამოდგა, როგორსაც მოველოდით. გაგონილი გვექონდა მისი ორატორული ნიჭის შესახებ და დარწმუნებული ვიყავით, რომ დავტკბებოდით საზეიმო მჭევრმეტყველების ყველა წესების მიხედვით აგებული ლექციებით. ამ მხრივ მოლოდინი არ გაგვიმართლდა. ბ-ნი ლუარსაბი თავის ლექციებში არ მიმართავდა ანდა თითქმის არ მიმართავდა სამოსამართლო ანდა აკადემიური მჭევრმეტყველების ხერხებს. მისთვის მთავარი იყო შინაარსი, და არა ფორმა. ვფიქრობ, იგი შეგნებულად გაურბოდა სიტყვიერი ეფექტებით სტუდენტებზე შთაბეჭდილების მოხდენის სამუალებას.

ბ-ნი ლუარსაბის ლექცია მოგვაგონებდა, ერთგვარად, ხმამაღლა აზროვნების პროცესს: მას არასდროს თან არ მოჰქონდა არამც თუ დანერილი ლექციის ტექსტი ანდა კონსპექტი, არ მახსოვს, რომ მოეტანოს ფურცელი, თეზისების მოკლე ნუსხით. ყველაფერი ის, რაც უნდა ეთქვა და დაესაბუთებინა, მეხსიერებაში ჰქონდა. ამავე დროს, შესანიშნავად იყო მომზადებული ლექციისათვის: იგრძნობოდა, რომ ლექციას წინ უსწრებდა საჭირო მეცნიერული ლიტერატურის წაკითხვა, სათქმელის მოფიქრება-დასაბუთება, დაძაბული გონებრივი შრომა. სამწუხარო იყო ის, რომ ლექციის ჩანერა სტუდენტის მიერ აგრეთვე ვერ ხერხდებოდა. ამ საქმეში საკმაოდ დახელოვებული გახლდით, მაგრამ მალე დავყარე ფარ-ხმალი.

ბ-ნი ლუარსაბი ლექციას იწყებდა დინჯად, ისე როგორც ადამიანი იწყებს ფიქრს რაიმე საგანზე, — ჯერ უდგება ამ საგანს შორით, მიახლოვებით. ათეული წლების მანძილზე რუსულად მეტყველებას მიჩვეულს, ალბათ, ქართულად საჭირო სიტყვებისა და გამოთქმების მოძებნაც უჭირდა. ამ პირველი 5-10 წუთის მანძილზე თითქმის სიტყვა-სიტყვით შეიძლებოდა ყველაფრის ჩანერა, მაგრამ თანდათან, რაც უფრო მეტად ზღვავედებოდა აზრი, მით უფრო სწრაფი ხდებოდა ლექციის ტემპი, ცხოველდებოდა რიტმი, თავისუფლად იფრქვეოდა სიტყვები. სიტყვებს აღარ ეძებდა,

საჭირო სიტყვები თვითონ ჩნდებოდა... ჩვენც კალამი ხელიდან გვივარდებოდა და სმენად ვიქცეოდით.

არც უყვარდა მაინცა და მაინც ბ-ნ ლუარსაბს, როცა ჩვენ, სტუდენტები ვწერდით ლექციას. მაშინ ძალაუნებურად დასაწყისში კარნახის კილოთი გველაპარაკებოდა, მაგრამ ეს მას ბორკავდა და, მოჭარბდებოდა თუ არა გამოსათქმელი აზრი, სასაუბრო მეტყველების ტემპზე გადადიოდა.

ძალიან საინტერესო და თავისებური იყო კომპოზიციურად ბ-ნ ლუარსაბის ლექციები: სალექციო საკითხის საერთო დახასიათების შემდეგ, — ვთქვათ, ეს იყო იურიდიული პირის პრობლემა ანდა სამართლისა და ზნეობის ურთიერთობის საკითხი, — რაკი სტუდენტები აითვისებდნენ ძირითადად, რაც კი უნდა სცოდნოდათ ამ საკითხზე, ბ-ნი ლუარსაბი გადადიოდა ამა თუ იმ იურიდიული კატეგორიის ირგვლივ შექმნილ კონცეფციებისა და თეორიების დახასიათებაზე, მათ გარჩევა-შეფასებაზე და აქ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მონოლოგს უკვე ცვლიდა დიალოგი, დიალოგი წარმოდგენილ მონინალმდეგესთან, იმ თეორიის დამცველთან, რომელსაც ბ-ნი ლუარსაბი არ ეთანხმებოდა, ეწინააღმდეგებოდა. ძალიან კეთილსინდისიერად მოჰყავდა ჩვენს ლექტორს ერთი-მეორის შემდგომ ყველა ის შესაძლებელი არგუმენტი, რაც კი ძალუძდა წარმოედგინა ამა თუ იმ თეორიის მომხმარეს, ვთქვათ, ვინმე ვინდშიაიდსა ანდა ბრინცს, — და ბრწყინვალედ არღვევდა ამ არგუმენტებს თავისი საკუთარი შეხედულებებიდან გამომდინარე მოსაზრებებით, ანდა გვიჩვენებდა, თუ რა გამოუვალ ლოგიკურ რკალში ემწყვდებოდა ანდა შინაგან წინააღმდეგობაში ვარდებოდა მისთვის მიუღებელ შეხედულებათა ავტორი.

ეს დაცვა იყო, შეტოქება, შეპაექრება, მონინალმდეგის არგუმენტების გაბათილება და ამ გზით საკუთარი აზრისა და შეხედულების განმტკიცება-გამარჯვება. აქ იჩენდა თავს პროფესიული დამცველის უბადლო ნიჭი და ოსტატობა. აუდიტორიაში გაისმოდა „ის გვეტყვის“... „მაგრამ ჩვენ ვუპასუხებთ!“ ...ჩვენი, მსმენელების გაღვიძებული აზრიც კვალდაკვალ მისდევდა გაკაფულ ბილიკს. რაოდენ დიდი იყო ბ-ნ ლუარსაბის სიხარული, როცა ის საბოლოოდ კედელთან მიამწყდევდა მის აზროვნებაში წარმოსახულ მონინალმდეგეს და წარმოთქვამდა: „აქ შესდექ!“ — ე.ი.



გასაქანი აღარ გაქვს, უნდა აღიარო, რომ მტყუანი და მცდარი ხარო.

გასაგებია, რომ ასეთი ლექციებიდან გამოვდიოდით არა მარტო ახალმიღებულ ცოდნით გამდიდრებულნი, არამედ გაღვიძებულნი დამოუკიდებელი აზროვნებისათვის, და ეს დამოუკიდებელი აზროვნების უნარის გამომუშავება, შესაძლოა, არა ნაკლებ ღირებული შენაძენი იყო ჩვენთვის, ვინემ ახლახან შეთვისებული ცოდნა.

მაღე სემინარული მუშაობაც გაჩაღდა ახლად ჩამოყალიბებულ იურიდიულ ფაკულტეტზე. დაგვირიგდა წასაკითხი მოხსენებების თემები, გამოიყო ოპონენტებიც. მაგრამ ასეთი ღონისძიების მიღება არც კი იყო საჭირო, რადგან იურიდიული სემინარის მთელი შემადგენლობა აქტიურ მონაწილეობას იღებდა მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში...

არანაკლებ საინტერესო იყო პრაქტიკული მეცადინეობა სამოქალაქო და, შემდეგ, სისხლის სამართალში, მნიშვნელოვანი კაზუსების გარჩევა. ბ-ნი ლუარსაბი ძალიან ახალისებდა, აქეზებდა სტუდენტებს. თუ ცოცხალ რაიმე მარცვალს დაინახავდა მათ მსჯელობაში, — გადამეტებით შეაქებდა, მაგრამ თუ გათამამებას შეამჩნევდა, უცებ ადგილზე დააყენებდა. მასსოვს ერთი სტუდენტის მიერ აზრის გამოთქმით აღტაცებულმა შესძახა სტუდენტს: „გენიოსი ხარ შენმა გაზრდამ!“-ო. ახალგაზრდის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, წრფელად მოინადინა განმტკიცებულებიყო ამ ახალ ხარისხში! ხელახლა ჩაერია კამათში, მაგრამ ვაი, რომ ამჯერად ბატონმა ლუარსაბმა არ მოიწონა მისი აზრი, სასტიკად შეუტია და უცებ ჩამოაყენა გენიოსობიდან ბევრად უფრო მდარე ნოდებაზე...

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მაშინ როდი იყო მდიდარი იურიდიული ლიტერატურით, ამიტომ ბ-ნი ლუარსაბი უხვად გვამარაგებდა წიგნებით მე და ჩემს ამხანაგებს, როგორც სტუდენტობის, ისე ასპირანტ-ასისტენტობის დროს. მას არ უყვარდა თაროზე უქმად დადებული წიგნი, ამბობდა, — წიგნი მაშინ ცოცხლდება, როდესაც მას ვინმე კითხულობსო. მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა, მისი პატარა ბინა სავსე იყო წიგნებით, აქ შეიძლება თქმულიყო: „წიგნებმა განდევნეს ადამიანები“. ბ-ნი ლუარსაბის მეუღლეს, ქ-ნი ეკატერინეს სადიასახლისოდ ერთობ მცირე

ფართობი ურჩებოდა, რადგან კედლები, მაგიდები, — ყველაფერი ნიგნებით იყო გადატვირთული.

ჩვენ ხშირად ბოროტად ვიყენებდით ბ-ნ ლუარსაბის გულკეთილობას და ერთობ ბევრი ნიგნი მიგვექონდა სახლში წასაკითხად. მახსოვს, როცა უკვე ასპირანტი ვიყავი, მშობლები ჩამოვიდნენ ერთხელ ქუთაისიდან და ბ-ნი ლუარსაბი გვეწვია სტუმრად ბინაზე. ჩემი ნიგნების თაროს რომ გადახედა, ნახევრად ხუმრობით, ნახევრად გაოცებით თქვა: „ამას დამიხედეთ! შენ მთელი ლუარსაბიად გქონია აქ მილაგებულო“. შემრცხვა და ნიგნების ნაწილი სულ მალე დავეუბრუნე.

სტუდენტებს ბ-ნი ლუარსაბი ეპყრობოდა, როგორც თავის მომავალ კოლეგებს, — უბრალოდ, მეგობრულად, გულითადად, მაგრამ ჩვენ მუდამ უღრმესი პატივისცემითა და მორიდებით ვექცეოდით, არასდროს არ გვაგინებდებოდა მანძილი ჩვენსა და სახელოვან ხელმძღვანელს შორის, თუმცა ყოველთვის ყურადღებით გვისმენდა, მიგვაჩვია პატივი გვეცა ერთმანეთის აზრისა და შეხედულებისათვის.

ბ-ნი ლუარსაბი ხშირად გვიბარებდა ბინაზე ამა თუ იმ მიმდინარე სამუშაოსთვის; ბუნებით ძალიან სტუმართმოყვარეს ხელს უწყობდა ოჯახში გამეფებული გულითადობისა და ჭეშმარიტი მეგობრობის ატმოსფეროც.

არ შეიძლება ღრმა პატივისცემითა და უგულითადესი გრძნობით არ გავიხსენოთ ბ-ნ ლუარსაბის მეუღლე, ეკატერინე იაკობის ასული გურევიჩი-ანდრონიკაშვილისა. იგი, მონინავე ინტელიგენტურ ოჯახში აზრდილი, მეტად წრფელი, გულღია და კეთილი ადამიანი, მშვენიერი მეუღლე და მეგობარი, დედა და აღმზრდელი იყო. ჩვენც, სტუდენტებს ძალიან გულთბილად და კარგად გვეპყრობოდა. თავიანთი წლოვანებისათვის ერთობ განვითარებული და ნაკითხი, სტუმართმოყვარე და მშვენიერი ქცევის ბავშვები იყვნენ იმ დროს საშუალო სკოლის მოსწავლენი, ბ-ნ ლუარსაბის ვაჟები ირაკლი და ელევთერი.

სალამობით ბ-ნ ლუარსაბთან ხშირად იკრიბებოდა ნაცნობ-მეგობართა წრე. იმართებოდა მეტად საინტერესო საუბარი, მსჯელობა. აქ იყვნენ უნივერსიტეტის მუშაკები, კოლეგა-იურისტები, ვექილები, ცნობილი ქართველი მოღვაწეები, მოსკოველი სტუმრები. ბ-ნ ლუარსაბს უნდოდა, რომ ჩვენც, ახალგაზრდებიც

დავსწრებოდით ამ მეგობრულ შეხვედრებს, მოგვესმინა ჩვენთვის მეტად საინტერესო სჯა-ბაასი. ერთხელ, მახსოვს, ბ-ნმა ლუარსაბმა მითხრა: ხვალ ჩვენსას გამოიარე, ვიქტორ შკლოვსკია ჩამოსული, სხვებიც მენვევიანო. მე რომელიღაც წიგნზე მუშაობა მქონდა სასწრაფოდ დასამთავრებელი და გაუბედავად გავახსენე ამის შესახებ. მიპასუხა, — „აი, აქაა შენი დიდი შეცდომა. შენ გგონია, რომ კულტურა — ეს წიგნის კითხვაა, ნამდვილად კი კულტურა, უმთავრესად, ცოცხალი ურთიერთობაა“-ო. რუსულად მითხრა:

„Культура не только в чтении, но и в общении“.

მაშინ ამ სიტყვებისათვის დიდი ყურადღება არ მიმიქცევია, მერე კი დავრწმუნდი, რა მნიშვნელობა აქვს პიროვნების შინაგანი კულტურის ფორმირებისათვის ცოცხალ ურთიერთობას სულიერად დიდებუნიდან და შინაარსიან ადამიანთა წრესთან.

ბ-ნი ლუარსაბი მტკიცე მეგობრული და ნათესაური ურთიერთობით იყო დაკავშირებული მონინავე ქართველ მოღვაწეებთან. მაგალითად, თუ არ ვცდები, ალალი ბიძაშვილობა აერთებდა ივანე ჯავახიშვილთან, ილია ზურაბიშვილთან და სხვ. ახლო მეგობარი იყო კოტე მარჯანიშვილისა. დიდი თეატრალი ბ-ნი ლუარსაბი ყველა პრემიერას ესწრებოდა, თეატრალურ დისპუტებში იღებდა აქტიურ მონაწილეობას.

ჩვენ, მის მოწაფეებს, გვანცვიფრებდა ჩვენი მასწავლებლის მრავალმცოდნეობა და სულიერ ინტერესთა ისეთი სიფართოვე, მაგალითად, მუსიკის არაჩვეულებრივი ცოდნა და ურთულესი აღქმა-გაგების ნატიფი უნარი. მახსოვს, ერთხელ ბ-ნი ლუარსაბს ეწვია ქუთათური ექიმის ბადრიძის მეუღლე, რომელიც ენათესავებოდა. თან მოიყვანა თავისი ვაჟი, იმჟამად სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი დავით ბადრიძე, — თხოვა: „სიმღერა ეხერხება. შეუმონმე, — აქვს თუ არა ხმა და ღირს რომ ვოკალური განათლება მიიღოსო?“ ბ-ნი ლუარსაბი აღტაცებული დარჩა დავით ბადრიძის ხმით და გამოგვიცხადა, — არაჩვეულებრივი სიტკობო, განუმეორებელი მომხიბვლელობაა მის ხმაში და ნახავთ, მისგან გამოჩენილი მომღერალი გამოვაო... როგორც ვიცით, ბრწყინვალედ გამართლდა ეს წინასწართქმა.

ჩვენ, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტებს, თაყვანსაცემ პიროვნებად გვყავდა დასახული ჩვენი სასიქადაულო რექტორი, დიდი

ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი. მისი ლექციების მოსასმენად ყველა ფაკულტეტებიდან იკრიბებოდნენ სტუდენტები, ქალაქიდანაც ბევრი ესწრებოდა, ტევა არ იყო პირველ აუდიტორიაში, ეხლანდელი ბიბლიოთეკის მეცნიერ მუშაკთა დარბაზში... ხშირად ვუზიარებდით ბ-ნ ლუარსაბს ჩვენს აღფრთოვანებას ივანე ჯავახიშვილის სპეტაკი პიროვნებით, მისი მაღალი განსწავლულობით. მას ეს სიამოვნება, რადგან ბ-ნი ივანე ნათესავიც იყო და მეგობარიც ბ-ნ ლუარსაბისა. მახსოვს, ერთხელ სხარტად, სულ რამდენიმე სიტყვით, მაგრამ შესანიშნავად დაახასიათა ბ-ნმა ლუარსაბმა ივანე ჯავახიშვილი. მან თქვა: „თავისი სულიერი სიმშვიდითა და კეთილშობილებით ძველ ბერძნულ ქანდაკებას მომაგონებს, ხოლო ეს ქანდაკება გააცოცხლა და გრძნობით ადავსო სამშობლოს სიყვარულმა“-ო.

მეგობრულ საუბრების თემატიკა ბ-ნ ლუარსაბის ოჯახში მეტად მრავალფეროვანი იყო: იურიდიული მეცნიერების სულ სხვადასხვა დარგის სპეციალური საკითხები, საჭირობოროტო ამბები, სჯა-ბაასი ხელოვნებაზე და სხვ. ასეთი შთაბეჭდილება მივიღე, არ ვიცი, რამდენად სწორია, რომ ყველა მწერლებზე უფრო გოეთე უყვარდა. ერთ-ერთი პროცესის მოგების შემდეგ მადლიერ კლიენტს უჩუქნია მისთვის მშვენივრად შესრულებული ტვიფარი გოეთეს ნიღბიდან. გოეთეს ეს ნიღაბი საწერ მაგიდის ზევით, კედელზე ჰქონდა მიმაგრებული და აღტაცებით შესცქეროდა ხოლმე. როდესაც შეიტყო, რომ თვით გოეთეს ნაწარმოებები წამიკითხავს, მაგრამ მის შესახებ თითქმის არაფერი, მაშინვე ჩამოიღო თაროდან ბელშოვსკის ორტომიანი გამოკვლევა გოეთეზე და დამავალა წამეკითხა, შემდეგ მესაუბრა გოეთეს შესახებ, მეც მოვინდომე ჩემი ნაკითხობა გამომეჩინა და გავიხსენე, თუ როგორი მოწინებით აღსავსე იუმორით მოგვითხრობს ჰაინრიხ ჰაინე თავის შეხვედრაზე გოეთესთან „სამგზავრო სურათებში“, ხაზგასმით აღნიშნავს გოეთეს შეუშფოთველობას, ხასიათის ჰარმონიულობას, ოლიმპიურ სიმშვიდეს. „ეს კი ასეაო, — მიპასუხა ბ-ნმა ლუარსაბმა, — მაგრამ ყველაზე ღირებული გოეთეში არის არა ეს ჰარმონიულობა პიროვნებისა, ეს ოლიმპიურობა თავისთავად, არამედ მისი მიღწევის გზა, ის რომ გოეთემ ღრმად ჩაიხედა ადამიანის ცხოვრების ტრაგიკულ წინააღმდეგობებში, ღრმად ჩასწვდა კაცობრიობის

ტკივილებს და მაინც შესძლო სულიერი ჰარმონიის მიღწევა, გამოსძებნა ამ ტრაგიზმზე მალლა მდგომი მორალურ-ჰუმანური პოზიცია! ეს განვლილი გზა, ეს ავლილი საფეხურები ხდიან მას დიად მონაზროვნედ და გენიალურ მწერლად. გაიხსენე, თუნდაც, ფაუსტიო“.

ბ-ნი ლუარსაბი დაბეჯითებით ადევნებდა თვალყურს ჩვენი, მისი მონაფეხების საერთო განვითარებას, ხელოვნებისა და ლიტერატურის ცოდნას, ესთეტიკური გემოვნების დახვეწას.

მახსოვს, ერთხელ მიაქცია ჩემი ყურადღება კედელზე ჩამოკიდებულ სურათზე, ეს იყო ალბრეხტ დიურერის ცნობილი სურათის „ახალგაზრდა კაცის პორტრეტის“ მშვენივრად შესრულებული ასლი. მკითხა, — აბა, მითხარი, რას გამოხატავს ესაო? — მე ბევრი ვერაფერი ვუპასუხე... მაშინ გაამახვილა ყურადღება სურათის კომპოზიციასა და ფერების შერჩევაზე. ახალგაზრდა კაცის სახის გამომეტყველებაზე, მის მზერაზე, რომელიც სურათის გარეთ მდებარე რაღაცა წერტილისკენ იყო მიმართული, თითქოს იქ ეგულებოდა ამ ყმანვილკაცს მისი მომავალი ცხოვრების გამოცანის ამოხსნა და ოცნების ხორცშესხმის საიდუმლოება...

ეს იმის ცოცხალი გაკვეთილი იყო, თუ როგორ უნდა აღვიქვათ პლასტიკური ხელოვნების შედეგები...

ანდა, მახსოვს, ლაპარაკი ჩამოვარდა გრიგოლ წერეთლის ლექციებზე ძველი ბერძნული ლიტერატურის ისტორიაში. ეს ლექციები დიდი მონონებით სარგებლობდა სტუდენტთა ფართო წრეებში. ბ-ნი ლუარსაბიც მოხიბლული იყო გრიგოლ წერეთლის შინაგანი არისტოკრატიზმით აღსავსე და თანაც ბავშვურად გულმართალი, კეთილშობილური ბუნებით, მისი დიდი მეცნიერული ღვაწლით. სიამოვნებით იგონებდა, თუ რაოდენი ბრწყინვალეობით დაიცვა სამეცნიერო ხარისხების მოსაპოვებელი დისერტაციები გრიგოლ ფილიმონის ძემ პეტერბურგში... მერე მკითხა, თუ რა მქონდა ნაკითხული ძველ ბერძენ მწერალთაგან... მხოლოდ სოფოკლე მქონდა ნაკითხული. განცვიფრდა, — ნუთუ ევრიპიდეს არ იცნობ, ახლავე ნაიკითხე მისი „იპოლიტე“ და ზელინსკის შესავალი წერილიცო... მაშინვე გამოვიტანე ბიბლიოთეკიდან და ნავიკითხე, მოვახსენე, რომ უკვე ნაკითხული მაქვს. მკითხა, — რომელი ადგილი უფრო მოგეწონა ამ ტრაგედიაშიო? — ვუთხარი:

ტრაგედიის ფინალი, როცა აშკარა ხდება იპოლიტეს უდანაშაულობა და სიმართლე, ხოლო ის კვდება მწარედ მონანიებული მამის, მეფე თეზევის გულთან მიყრდნობილი. — „მართლაც ეგ შესანიშნავი ადგილიაო, — მითხრა, — მაგრამ იქ ერთი მეტად საგულისხმო რეპლიკაა, რომლისთვისაც, როგორც ჩანს, არ მიგიტყევია ყურადღება... მომაკვდავი იპოლიტე ეუბნება მამას: „პეპლოსით დამიფარე სახე“-ო, — ესაა მისი უკანასკნელი სიტყვები. პეპლოსი ხიტონს ზევით მოსხმული მოკლე მოსასხამი იყო... ამით იპოლიტემ გააგებინა მამას, — ვკვდებიო. — მას, როგორც სილამაზის მოყვარულს, ჭეშმარიტ ბერძენს არ უნდოდა რომ თეზევს დაენახა, თუ როგორ გაუქვავებდა სიკვდილი სახის ნაკვთებს, მიტომ თხოვა — პეპლოსით დამიფარე სახეო. აქ ევრიპიდეს გენიამ სულ ერთი რეპლიკით გვამცნო, თუ რაოდენ უყვარდა და ებრალებოდა იპოლიტეს უნებლიე შეცდომისათვის მწარედ დასჯილი თავისი მამა, როგორი ჰუმანური და ვაჟკაცური ბუნების ადამიანი იყო იგი, თანაც ნამდვილი ბერძენი, სილამაზის მოტრფიალე სიცოცხლის ბოლო წუთამდე. ამავე დროს, თუ ევრიპიდემ ერთგვარად დაარღვია მხატვრული ტრადიცია, რომლის თანახმად ადამიანი უნდა მომკვდარიყო სცენის უკან, და არა სცენაზე, მან მაინც შეარბილა ნოვატორობა იმით, რომ მომაკვდავი იპოლიტეს სახე პეპლოსით დაფარა...

ბ-ნ ლუარსაბის ლიტერატურულ-მხატვრულ შეხედულებათა მრავალი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ თავს არ შეგანწყენთ და მოკლედ მოგახსენებთ მასთან ჩემი საასპირანტო მუშაობის ამბავს.

მე ძალიან მაინტერესებდა სამართლის ფილოსოფიის, ეთიკისა და ესთეტიკის საკითხები, მაგრამ ასეთი სპეციალური კათედრა არც ფილოსოფიურ და არც იურიდიულ ფაკულტეტებთან არ არსებობდა. ამიტომ დამიტოვეს უნივერსიტეტთან სამოქალაქო სამართლის კათედრაზე... იურიდიული ფაკულტეტის პირველი ასპირანტი გახლდით პატივცემულ სოსო მრეკლიშვილთან ერთად, ხოლო ჩვენზე უმცროსკურსელები თინათინ წერეთელი, დიმიტრი პოლუმორდვინოვი და ვლადიმერ მაცაშვილი, რამდენადაც ვიცი, პირდაპირ ასისტენტებად ჩაირიცხნენ.

უნდა ითქვას, რომ იმ წლებში საუნივერსიტეტო მუშაობის ყველა მხარე ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებოდა,

კერძოდ, არავითარი მყარი და დადგენილი გეგმები ასპირანტებთან მუშაობისა არ არსებობდა. ყოველი ხელმძღვანელი ამზადებდა ასპირანტს ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად თვლიდა, ოღონდ სამი წლის დამლევს ასპირანტს უნდა ჩაებარებინა ე.წ. „სადოქტორო გამოცდები“ (ეხლანდელი საკანდიდატო მინიმუმი) და წარედგინა დისერტაცია, მანამდე მისგან არაფერი მოითხოვებოდა.

ბ-ნ ლუარსაბს სურდა, რომ სამოქალაქო სამართლის მეცნიერება ზედმინვენით შემეთვისებინა, ამიტომ დისერტაციაზე მუშაობის საკითხი ჯერ განზე გადასდო, დამავალა შემეცნავლა ლათინური ენა, რათა წამეკითხა ლათინურად მთელი ძველი რომაული სამართალი და შემდეგ გავცნობოდი ოცამდე პანდექტისტის მრავალტომიან თხზულებებს.

ენტუზიაზმით შევეუდექი საქმეს. ლათინური ცოცხათი ვიცოდი, გავიღრმავე ცოდნა და ჩავეუჯექი “Corpus juris civilis”-ის ოთხივე უზარმაზარი ტომის კითხვას, სამოქალაქო სამართლის ზოგადი საწყისებისათვის დამახასიათებელი ადგილების შერჩევა-ამონერას. მალე დავეხლოვნი და ნათლად ვარჩევდი ურთიერთისგან რომელიმე პაულუსისა ანდა ულპიანუსის ენასა და სტილს, იურიდიულ ფორმულირებათა თავისებურებას და აზრთა თანმიმდევრობის გარჩევა-განსხვავებას.

ახლა პანდექტისტებზე გადავედი. აქ გერმანული ენის სრულყოფა დამჭირდა, რათა “Allgemeine Recht”-ის ოსტატთა ამ თხზულება-შრომებს გავცნობოდი, რუსულად სულ რამდენიმე მათგანი იყო თარგმნილი... ასპირანტურის მესამე წელს გამოირკვა, რომ ე.წ. სადოქტორო გამოცდები, რომლებისთვისაც ხდებოდა, არსებითად, ეს სამზადისი, მოხსნილია, გაუქმებულია და ასპირანტს მხოლოდ დისერტაციის დაცვა მოეთხოვებოდა.

ახლა სასწრაფოდ შემირჩია ბ-ნმა ლუარსაბმა სადისერტაციო თემა. ეს იყო „ბრუნვიდან ამოღებული საგნები“, ე.წ. *Res extra commercium*, მათი იურიდიული ბუნება. ასეთია ვთქვათ, ზღვები, მდინარეები, წყაროები, გზები და სხვ., რომლებიც მონათმფლობელურ რომაულ საზოგადოებაშიც კი არ შეიძლებოდა საკუთრებისა და ყიდვა-გაყიდვის საგანი ყოფილიყო. უნდა გამომეკვლია სამართლის ამ ობიექტების იურიდიული ბუნება ძველ რომაულ სამართალში, შემდეგ ფეოდალურ საზოგადოებაში, *Allgemeines Recht*

ისა, შუასაუკუნეებრივ საადათო წესებისა და ეროვნულ კანონ-მდებლობათა მიხედვით; შემდეგ ცხადმყოფი მათი არსი ახალი დროის კაპიტალისტურსა და ბოლოს, უახლეს სოციალისტურ საზოგადოებაში, სადაც ბრუნვიდან ამოღებული საგნების მოცულობა უმაგალითოდ გაფართოვდა, შეუდარებლად გაიზარდა საყოველთაო სახალხო საკუთრებაში მყოფ საგნების სფერო...

შევეუდექი საქმეს... მოვათავე ბრუნვიდან ამოღებული საგნების იურიდიული ბუნების გარჩევა რომაული სამართლის მიხედვით, — ეს შედარებით გამიადვილდა, რადგან რომაულ სამართალს საკმაოდ ვიცნობდი. გადავედი ფეოდალურ ხანაზე; აქ სამუშაო გაძნელდა, რადგან სხვადასხვა ქვეყნებში, საუკუნეთა მანძილზე კანონმდებლობის ერთგვარმა სიჭრელემ, დაქსაქსულობამ იჩინა თავი. მაგრამ, როგორც შემეძლო, ვიშრომე და, შეიძლება ითქვას, რომ სანახევროდ სადისერტაციო შრომა უკვე დაწერილი იყო მესამე წლის მაისისთვის. მაგრამ აქვე ცხადი გახდა, რომ უახლოეს 3-4 თვეში, ე.ი. ასპირანტურის ვადის დამთავრებამდე სამუშაოს დასრულება ვერ მოესწრებოდა, კიდევ დამატებით რამდენიმე ხანი დასჭირდებოდა. ბ-ნ ლუარსაბს ეს არ აშინებდა. ამბობდა: ძალიან გვჭირდება ასისტენტები, შემოდგომას ასისტენტად გადაგ-რიცხავთ, სტუდენტებთან პრაქტიკული მუშაობის ჩატარებაშიც დამეხმარებით და სადისერტაციო შრომასაც მოასრულებთო.

მაგრამ ყველა ამ გეგმებს არ ეწერა განხორციელება, იმ დროს იურიდიულ ფაკულტეტზე შექმნილ არაჯანსაღ ურთიერთობათა გამო.

ფაკულტეტის დეკანს ერქომაიშვილს, რომელმაც მიიმხრო სტუდენტთა ერთი ჯგუფი, ათვალწუნებული ჰყავდა ლუარსაბ ანდრონიკაშვილი. მან ისარგებლა იმ ფაქტით, რომ ბ-მა ლუარსაბმა არ მოინდომა, რათა მისი ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო, სტუდენტები გამცდარიყვნენ და დაგვავალა თავის ასპირანტებს ჩაგვეტარებინა მეორე კურსზე სტუდენტებისათვის რამდენიმე მოხსენება და პრაქტიკუმი... იმ საბაბით, რომ ჩემს მიერ ჩატარებული სამუშაო თითქოს თვითნებურად ლექციის წაკითხვა იყო, ფაკულტეტის დეკანმა ერქომაიშვილმა გამრიცხა უნივერსიტეტიდან...



ამ ფაქტის შესახებ მიტომ მოგახსენებთ, რომ პატივცემულმა პროფესორმა თინათინ წერეთელმა ბ-ნ ლუარსაბის არქივში აღმოაჩინა ის ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელიც ამ ამბით ფრიად შეწუხებულმა ჩემმა ხელმძღვანელმა უნივერსიტეტს გაუგზავნა. ეს დოკუმენტი მკაფიოდ გვისახავს ამ დიდბუნებოვანი ადამიანის მაღალ ზნეობრივ სახეს, მის დაუღალავ ზრუნვას სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერული ძალების ზრდისა და ცოდნის სრულყოფის გზების გამონახვაზე მისთვის საყვარელ, მშობლიურ უნივერსიტეტში...

ამავე დროს ეს ვრცელი, 14-გვერდიანი ახსნა-განმარტებითი ბარათი ბატონ ლუარსაბ ანდრონიკაშვილის უდრეკი ლოგიკითა და ბრწყინვალე იურიდიული არგუმენტაციის შესანიშნავი ნიმუშია.

მისი შინაარსი, მოკლედ, შემდეგია:

1. ბატონი ლუარსაბი ამტკიცებდა, რომ საკითხი ჩემი უნივერსიტეტიდან დათხოვნის შესახებ დაისვა ფაკულტეტის სხდომაზე წინასწარ გაუფრთხილებლად, დღის წესრიგში შეუტანლად.

2. იგი გადაწყდა დადებითად მხოლოდ ფაკულტეტის დეკანისა და დამსწრე წევრ-სტუდენტების ხმებით, რადგან საბჭოს სხდომაზე მყოფი ყველა პროფესორ-მასწავლებელი ამ წინადადების წინააღმდეგ წავიდა.

3. ბ-ნი ლუარსაბი მიუთითებდა, რომ ის არც კი გამოიძახეს სხდომაზე, არც არაფერი შეატყობინეს, არც ის ჩათვალეს საჭიროდ, რომ გადაედოთ საქმე მის გამოჯანსაღებამდე.

4. მოხსენებით ბარათში მოკლედ აღწერილი იყო, რაც მოხდა, და მითითებული, რომ არავითარი „დანაშაული“ არ მომხდარა. ასპირანტებმა ჩაატარეს ხელმძღვანელის მითითებით პრაქტიკუმები, ნაიკითხეს მოხსენებები, გაარჩიეს კაზუსები. ახსნა-განმარტებაში ეწერა:

«Странно подумать, что если бы я, заболев тяжелой болезнью, представил бы факультету свидетельство, оставил бы на произвол судьбы студентов 2-го курса на все время болезни, то и я, и оставленная при университетте Фатма Гокиели и она не была бы поставлена в столь трагическое положение. Но оттого, что совесть педагога мучила меня, оттого, что аспирантка, желая притти мне и студентам на помощь, прервала свой обычный труд, выполнила данную ей задачу, словом оттого, что она была так бескорыстна. –за

это она должна потерпеть высшую меру дисциплинарного наказания и раз навсегда оторваться от жизни университета».

5. ახსნა-განმარტებაში ხაზგასმით აღნიშნული იყო ცოცხალი ახალგაზრდა მეცნიერული ძალების გამოყენების მიზანშეწონილობა უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში; ასპირანტებისა და ასისტენტების რაოდენობის გაზრდის საჭიროება, მით უფრო რომ სტუდენტები მხოლოდ ზოგნი ფლობენ რუსულსა და ძალიან იშვიათად თუ ფლობენ უცხო ენებს, ხოლო ქართულად იურიდიული მეცნიერული ლიტერატურა მაშინ თითქმის არ არსებობდა, და ამიტომ სტუდენტების ნაკითხობა სპეციალურ საგნებში მინიმალური იყო.

6. ბ-ნი ლუარსაბი ამტკიცებდა, რომ ასპირანტების დაახლოება აუდიტორიასთან, მათი ჩაბმა საყოველღეო მუშაობაში ყოველთვის ნაყოფიერია და კარგ შედეგებს იძლევა; მიუთითებდა, რომ ასეთი პრაქტიკა არსებობდა და დღესაც არსებობს ლენინგრადისა და მოსკოვის უნივერსიტეტებში. ეს სასარგებლო ტრადიცია თბილისის უნივერსიტეტშიც უნდა გადმოვიტანოთ.

7. ახსნა-განმარტებაში დასაბუთებული იყო ისიც, რომ მე, ასპირანტმა მხოლოდ მოხსენება ნავიკითხე სემინარზე და არა ლექცია. თვით მას, ძირითად ლექტორს არასდროს არ განუცხადებია უარი კურსის ან მისი რომელიმე ნაწილის ნაკითხვაზე. მხოლოდ ზოგი საკითხის ღრმად შესწავლის პედაგოგიური მიზნით მან გამოიყენა თავისი ასპირანტების ცოდნა.

8. მაგრამ თუ ეს მაინც დანაშაულია, — ამტკიცებდა ბ-ნი ლუარსაბი, — ეს თვით მისი, კათედრის გამგის და ხელმძღვანელის დანაშაულია, და არა ასპირანტისა. ის წერდა:

«Но допустим на минуту, что было нарушено правило и я должен был просить разрешения на прочтение доклада у декана. Спрашивается, при чем тут аспирантка Фатъма Гокиели? Ведь если виноват кто либо, то это только я.

Это я предложил прочитать доклад. Я являюсь руководителем, определяю задания, которые она выполняет.

Моя аспирантка считает меня своим наставником, руководителем, авторитетом.

Если, поверив мне, она подчинилась, разве, этому можно удивляться?! Скорее обратное, а именно неподчинение должно было казаться странным и непонятным...».

მთელ „ბრალს“, თუკი ასეთი არსებობდა, ჩემი ხელმძღვანელი თავის თავზე იღებდა. ბოლოს იგი დაასკვნინდა:

დამნაშავეც რომ იყოს ჩემი ასპირანტი, არსებობს დისციპლინარული სასჯელის სხვადასხვა ზომები. განა მართებული და სამართლიანია, უმცირესი დანაშაულისთვის, თუკი იგი სახეზეა, სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენება, როგორცაა ნევრის განდევნა კორპორაციისგან? აქ ხომ ვითომდა ჩადენილი დანაშაული და სასჯელი შეუწყნარებელ წინააღმდეგობაშია ერთმანეთთან!

ბ-ნ ლუარსაბის დაულალავი შუამდგომლობის შედეგად გააუქმეს დადგენილება ჩემი უნივერსიტეტიდან გარიცხვის შესახებ, კვლავ აღმადგინეს, მაგრამ მოკლე დროით, სულ 2-3 თვით.

დადგა 1927 წლის შემოდგომა, ჩემი ასპირანტურის დამთავრებისა და ასისტენტად გადაყვანის ვადა, მაგრამ ამ დროს უნივერსიტეტში სულ სხვაგვარი, ახალი ამბები დატრიალდა, სახელდობრ, დაიწყო ბრძოლა მეცნიერთა უფროს თაობასთან (კონდრატიევშჩინა?). ასეთი კამპანია ჯერ რუსეთის, უმთავრესად, მოსკოვისა და ლენინგრადის უმაღლეს სასწავლებლებში დაიწყო, ხოლო აქედან ფართოდ გავრცელდა. პრესაში და საჯარო კრებებზე ამხელდნენ და კიცხავდნენ რეაქციულ მოაზროვნეებად, თითქმის კონტრრევოლუციონერებად აღიარებულ პროფესორ-მასწავლებლებს, რასაც თან სდევდა მათი დათხოვნა უმაღლეს სასწავლებლიდან და ზოგჯერ უფრო მკაცრი ზომებიც. ეს მხილება და გაკიცხვა უნდა ეწარმოებინათ ახალგაზრდა მეცნიერულ კადრებს, — ასპირანტ-ასისტენტებსა და მონიშნავ სტუდენტებს.

ვერ მოგახსენებთ, შესაძლოა, რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მართლაც იყვნენ მოკალათებული ძველი დროიდან შემორჩენილი, რეაქციულად განწყობილი მეცნიერ-სწავლულები და საჭირო იყო მათი გაძევება. მაგრამ საქართველოს ნორჩ, ახლად აღმოცენებულ უნივერსიტეტში ასეთები არ იყვნენ და ამ ღონისძიების გადმოტანა ჩვენთან, თუნდაც შერბილებული სახით, ერთობ სავალალო მოვლენა იყო.

ეს თუ გნებავთ იმითაც მტკიცდება, რომ იერიში მიიტანეს ისეთ მეცნიერებზე, როგორებიც იყვნენ ივანე ჯავახიშვილი, გიორგი

გეხტმანი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი და სხვ., რომლებიც ამჟამად საყოველთაოდ აღიარებულნი არიან ქართული მეცნიერებისა და კულტურის უდიდეს ამაგდარებად და რომელთა ღვანლის ნაყოფით ახლაც ძალიან ფართოდ ვსარგებლობთ.

წარმოსადგენია იმ ასპირანტებისა, ასისტენტების და მონინავე სტუდენტების შესაბრალისი მდგომარეობა, რომელთაც დაევალით პრესაში ან საჯარო კრებებზე გაექირდათ და რეაქციონერებად დაესახათ მათი მასწავლებლები.

ჰო და ერთ დღეს თავის კაბინეტში მომიხმო უნივერსიტეტის მაშინდელმა პრორექტორმა კონსტანტინე სულაქველიძემ... ჩვენს შორის გაიმართა დაახლოებით ასეთი დიალოგი:

- თქვენ ხართ ასპირანტი ფატი გოკიელი?
- ექიმი გაბო გოკიელი რაა თქვენი?
- ჩემი მამაა.

— ჰო, მამათქვენს ვიცნობ და დიდად პატივს ვცემ.

ჩემი მამა საკმაოდ ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე გახლდათ. ხოლო ამ შენიშვნით ბ-ნ კონსტანტინეს უნდოდა შეექმნა ჩემში შთაბეჭდილება, რომ მას ჩემდამი მხოლოდ კეთილგანწყობა ამოძრავებს. ეგებ ეს ასეც იყო...

— ერთი მითხარით, თქვენ სამართლის მეცნიერების ყველა სა-კითხებში ეთანხმებით ლუარსაბ ანდრონიკაშვილს?

— აბა, მე რას წარმოვადგენ მეცნიერებაში, რომ დავეთანხმო ან არ დავეთანხმო ასეთ დიდ მცოდნეს?

— კი მაგრამ, ყველაფერში ხომ არ ეთანხმებით, პატარა რამეში მაინც გექნებათ თქვენი საკუთარი მოსაზრებები მის შეხედულებათა წინააღმდეგ. ჰო და ზეგ კრებაა, მოიფიქრეთ და გამოდით კრებაზე. თქვენგან არ მოითხოვება უკმეხად გამოსვლა, ცილისწამება, ოღონდ დალაგებით აღნიშნეთ მისი შეცდომები.

- არა, მე ამას არ გავაკეთებ.
- რატომ?

— იმიტომ, რომ მაშინ საკუთარ თავისადმი პატივისცემას დავკარგავ. ეს კი ყველაზე საშინელია, რაც კი შეიძლება დაემართოს ადამიანს.

— ჰო და თუ არ გამოხვალთ კრებაზე, უნივერსიტეტს დაკარგავთ, მომავალს დაკარგავთ... გამიფრთხილებიხართ...

ამ სიტყვებით გამიშვა.

რა თქმა უნდა, კრებას ახლოს არ მივკარებივარ... გავიდა სულ რამდენიმე დღე და მივიღე ოფიციალური ცნობა: რადგან ჩემი ასპირანტურის ვადა დამთავრდა და გადაწყდა ჩემი ასისტენტად გადაყვანის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდეს, მეცნობოს, რომ თავისუფალი ვარ უნივერსიტეტში მუშაობიდან...

უნივერსიტეტის დატოვების შემდეგ თანდათან ჩამოვცილდი ბ-ნი ლუარსაბის ირგვლივ თავმოყრილ ახალგაზრდა მეცნიერული ძალების წრეს. სულიერი ტრავმა იმდენად ძლიერი იყო, რომ არც პრაქტიკოს-იურისტის პროფესიის ათვისება მოვინდომე და დავინწყე მუშაობა სხვა განხრით.

მაგრამ ის ცოდნა, ინტელექტუალური მუშაობის ჩვევები და ხერხები, ინტერესი მეცნიერებისა და ხელოვნების მრავალი საკითხისადმი, რომლებიც შევიძინე და შევითვისე ჩემი მასწავლებლის პროფესორ ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით, — ყოველივე ეს დიდ დახმარებას მინევდა მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში.

მშობლიურ უნივერსიტეტში მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა აღზარდა ჩვენი დროის გამოჩენილ მეცნიერთა და პრაქტიკოს-იურისტთა მთელი თაობები. თავისი მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობით მან სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი მაღლიერი ქართველი ხალხის გულში.